ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს პ ე კ ა ლ ი

(ომარ ხაიამიდან ვლადიმირ ვისოცკიმდე)

თარგმნა **თინა შიოშვილმა**

ბათუმი
2021

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კრებულში წარმოდგენილია სხვადასხვა ეპოქათა მსოფლიოს გამ-
ოჩენილი პოეტების ლექსთა თარგმანები.

რედაქტორი
დავით თედორაძე

ტექნიკური რედაქტორი
და დამკაბადონებელი
მალხაზ ფაღავა

UDC (უაკ) 821.1/9.03=353.1
ს-764
ISBN 978-9941-460-55-5
© თინა შიოშვილი, 2021
© ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“, 2021
© ა(ა)იპ „აჭარის მწერალთა სახლი“, 2021

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კრებული ეძღვნება დიდებული მთარგმნელის, „ლიტერატურის მთარგმნელთა ასოციაციის“ დამაარსებლისა და ხელმძღვანელის – ბატონი **ალექსანდრე ელერდაშვილის** ხსოვნას

მთარგმნელისაგან

„ყოველი წერილი ძეგლი არს მეტყუელი, გამომაჩინებელი აღმწერელისაჲ საუკუნოდ: რომელსამე საქებელყოფოდ, ხოლო სხვა – განქიქებად უმეცრებასა“, – გვასწავლის მე-13 საუკუნის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, დიდებული ჰიმნოგრაფი არსენ ბულმაისიმისძე (1185-1250). ეს ბრძნული შეგონება მით უფრო ეხება თარგმანს. მართლაც, ჭეშმარიტ მთარგმნელს უდიდესი მისია აკისრია: უცვლელად, პირველქმნადობის ხიბლის შეუბღალავად უნდა წარმოაჩინოს ავტორი. სწორედაც, ამგვარი მთარგმნელები იყვნენ ჩვენი ღირსი სასულიერო მოღვაწენი – პირველი ქართველი მთარგმნელები, ბიბლიითა და სხვა სასულიერო დაწერილობებით რომ აფაქიზებდნენ და ფხიზელ დარაჯებად ედგნენ ერის ზნეობასა და ღირსებას.

წინამდებარე კრებულში შესული თარგმანები წლების განმავლობაში უდიდესი პასუხისმგებლობით ვთარგმნე; ვცდილობდი, დამეცვა მთარგმნელობითი პრინციპები ეფრემ მცირედან მოყოლებული დღევანდელ თეორეტიკოსთა თუ პრაქტიკოსთა შეხედულებებისა და თვით ავტორთა სულისკვეთების გათვალისწინებით. სწორედ ამას გვასწავლიდა ჩვენი უსაყვარლესი მაესტრო – „ლიტერატურის მთარგმნელთა ასოციაციის“ დამაარსებელი და ხელმძღვანელი, თავად უზადო მთარგმნელი და ღრმად განსწავლული ლიტერატურათმცოდნე, პოეტი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, ივანე მაჩაბლისა და ზეზვა მედულაშვილის პრემიების ლაურეატი, ჩვენგან ნაადრევად წასული გულმხურვალე მამულიშვილი, ჭეშმარიტი კაი ყმა **ალექსანდრე ელერდაშვილი** (1956-2021), ვისაც ეკუთვნის კრებულში შესული სპარსული ლირიკის ნიმუშთა პწკარედები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ომარ ხაიამი

(1048-1131)



რუბაიები

*
* *

მოდი ლამაზო, მომეთბე მზე ვით,
ამხსენ ვარამი მაგ შენი ქცევით!
ეს ერთი დოქი ღვინო დავლიოთ,
ვიდრე სადოქე მიწად ვიქცევით!

*
* *

ბედისწერა რომ ყოფილიყო სამართლიანი,
დაეგებოდნენ მაშინ ფერხთით ვარდნი, იანი;
თუ სამართალი იქნებოდა მეგზური მისი,
ტანჯული კაცი იქნებოდა მაშინ სვიანი.

*
* *

არავინ იცის, რას მოგვიტანს დღე ხვალინდელი,
დღეს იხალისე და განაგდე დარდები მწველი;
დალიე ღვინო მთვარის შუქზე, რადგანაც მთვარე
სულ იციაგებს, ჩვენ მოგვცელავს სიკვდილის ცელი.

*
* *

ზურმუხტი მდელო აყვავილდა, შეხედე, მწდეო!
თუმც ერთ კვირაში ეს მიდამო, ასე რომ მზეობს,
იქცევა მიწად. შესვი ღვინო, დატკბი სურნელით,
ვიდრე ქცეულა მიწად ვარდი და თივად – მდელო!

*
* *

ორი რამ არის ცხოვრებაში სიბრძნისა წყარო
და სჯობს, მისდიო, თუკი გინდა, რომ გაიხარო:
ყველაფრის ჭამას შიმშილობა გიჯობს, არჩიო
და სიმარტოვე, ვიდრე ყველა რომ შეიყვარო.

*
* *

ვიდრე გამოსცლი სასიკვდილო მწარე ფიალას
და ბედმა ვიდრე წაღმა-უკუღმა გატრიალა,
ამქვეყნად უნდა მოიხვეჭო სახელი კაცის,
იქ წასაყოლი სახელია, ფული კი არა.

*
* *

უფალო, თიხად შენ მომზილე, მე რა ბრალში ვარ?
შენ გამომძერწე ერთიანად, მე რა ვალში ვარ?
თუ რამ სიკეთე-ბოროტება ჩამიდენია,
მე რად მამწყრალებ, შენ მიბიძგე, მე რა ბრალში ვარ?

*
* *

მიკიჟინებენ, მოყვარული რომ ღვინისა ვარ,
მეუბნებიან, ლოთი ვარ და ცუდი ზნისა ვარ.
ჩემს გარეგნობას ნუ უყურებთ, მერწმუნოთ უნდა,
რომ სულიერად რაც ვიყავი, ისევ ისა ვარ.

*
* *

ხაიამ, ცალკე რომ გაშალე შენი კარავი,
კარვის კარი რომ გადარაზე, არ გსურს არავინ,
სოფლიურ ღვინის წვეთი რომ ხარ, უნდა იცოდე,
ზეციურმა მწდემ შენნაირი შექმნა მრავალი.

*
* *

ჩემი გაჩენით რა შევმატე ზეციერს, ნეტა?
არც ჩემი წასვლით გაბრწყინდება ამაზე მეტად.
არც არასოდეს არავისგან გამიგონია,
რატომ დამბადა ან სიკვდილი რად დამიბედა.

*
* *

განთიადისას სიოს მოჰყვა შენი სურნელი
და გულში გრძნობა გააჩაღა განუკურნელი;
ახლა ეს გული შენ გეკუთვნის, სულ შენ დაგეძებს,
შენ დაგემგვანა, აღარ არის ჩემი მსურველი.

*
* *

ყოველი წამი ცხოვრებისა შეირგო უნდა,
უსიხარულოდ ვინც გახარჯა, გზა გაიმრუდა;
ელოლიავე და გახსოვდეს, ცხოვრება შენი
ისე ჩაივლის, როგორადაც შენ თვითონ გსურდა.

*
* *

ის კაცი არ ვარ, მაშინებდეს სიკვდილის ცელი,
სააქაოს ან საიქიოს კეთილს არ ველი.
სული რომ მიდგას, ესეც ღმერთმა მომაბარა და
დრო მოვა, მასვე ჩავაბარებ – ერთგული მცველი.

*
* *

ფერიებიაო სამოთხის მშვენება,
მე ყურძნის ნაჟურით დაკბობა მენება;
ეს ნაღდი სჯობია, რად გინდა ნისია,
შორიდან დოლის ხმაც გეამოს , ეგება.

*
* *

ოი, ზეცაო, ეს რა წესი დაგიდგენია,
ყველა სიკეთე ნაძირლისთვის მიგირთმევია!
კეთილშობილი პურის ქერქსაც ყიდულობს ვალით,
ასეთ სამართალს რა ვუთხარი, შემირცხვენია!

*
* *

ყველა მიწიერ სიკეთისგან სახელი რჩება
და, ღვინის გარდა, ყველა გტოვებს შენ ნება-ნება.
თუ მაჯას ძალა შერჩენია, აიღე დოქი,
ასე სჯობს, ხელში მხოლოდ ღვინის ჯამი შეგრჩება.

*
* *

ბრძენო მოხუცო, ნუ აყოვნებ, წადი, იჩქარე
და იმ ყმაწვილკაცს, მიწას რომ სცრის, მკაცრად უთხარი,
ფრთხილად მოეპყროს, რადგან მიწა ქაიყობადის[1]
თავის ტვინია და თვალები ფარვიზის არი.

[1] ქაიყობადი – ირანის მითიური მეფე.

*
* *

ნუ დანებდები, თუკი ბედი მოგექცა ავად,
წარსულს შეეშვი, ნუ გაიხდი დარდის მთესავად;
ვით სატრფოს დალალს, მოეკიდე გულსაც ხალისით,
დალიე ღვინო, ნუ იმწარებ სიცოცხლეს თავად.

*
* *

ადექ, ღვინო მომიტანე, რა დროს ლაპარაკი არი,
ქვეყანაზე ჩემი სარჩო შენი ბაგე რაკი არი,
ჩამომისხი მაგ ღაწვებისფერი ღვინო საამური,
გამფანტვია რწმენა, როგორც შენი დალალ-კავი არი.

*
* *

შემოქმედმა ჩვენნაირი თესა, მომკა, ლეწა ბევრი,
მომავალზე ნუღარ ფიქრობ, მოიშორე დარდის ტევრი!
მაშ, გამივსე ღვინით თასი, ხელის გულზე დამიდევი,
მოსახდენი მოხდება და არ სჭირდება ენა მჭევრი.

*
* *

ზეცისაგან, სულ რომ ბრუნავს, ავს ელოდე მარტო,
ჩათვალე, ხარ მარტოსული, შენზე არვინ დარდობს;
არც გუშინდელს გაეტირო და არც ხვალეს უხმო,
ვიდრე შეძლებ, დარჩი ვინც ხარ, არვის შეეფარდო.

*
* *

სიბრძნის მარგალიტს ვინც გონებით შეავლო ხელი
და ვინაც უფლის დედაარსზე იუბნა ბევრი,
ვერვინ მიაგნო საიდუმლო გორგალის ბოლოს,
დატოვეს სიტყვა და არჩიეს სიზმრების ტევრი.

*
* *

გამოარჩია ის განგებამ უმრავლეს სხვაში
და ვარსკვლავეთის სიმაღლეზე ატყორცნა ცაში;
როს ვერ შეიცნო ჭეშმარიტი ბუნება ზეცის,
განცვიფრებისგან თავი მძიმედ ჩაჰკიდა მაშინ.

*
* *

ზამთრის მილევას გაზაფხული მოსდევს საამო,
თუმცა ჟამთასვლა დღეს გვიმოკლებს, სიავეს ლამობს;
დალიე ღვინო, ნურას ნაღვლობ, რჩევაა ბრძენის:
„დარდი შხამია, ღვინო არის მისი მალამო“.

*
* *

მწდეო, ერთ დღესაც, ალბათ, ჩემი გულიც გაცვდება,
მაგრამ სად წავა? ამ სამყაროს ხომ ვერ გასცდება?
იქნება ღვინოდ გადაიქცეს, შესვამს დერვიში,
ერთ წვეთს შესვამს და ისიც თავში აუვარდება.

*
* *

სანამ შეძლებ, რინდებს[1] უნდა შეაშვლო ხელი,
ლოცვა-მარხვა ნუ გგონია მხოლოდ სულის მხსნელი.
გესმას ომარ ხაიამის ეს მართალი სიტყვა:
ღვინო სვი და ჰქმენ სიკეთე, იყავ მუდამ წრფელი.

[1] რინდები – მოხეტიალენი, რომლებიც გაჭირვებულებს ეხმარებოდნენ და არავის საქმეში არ ერეოდნენ.

*
* *

სჯულის კანონზე მე რომ ხელი მიმიწვდებოდეს,
მას ჩემებურად გადავწერდი და, თანაც, ოდეს
ამ სამყაროდან განვდევნიდი სევდა-კაეშანს,
სიხარულისგან ზეცის თაღებს გული სწვდებოდეს.

*
* *

სულსაც შევწირავ, ვისაც ღმერთმა უბოძა გონი,
ფიანდაზადაც დავეგები, მისი გამგონი.
თუ გსურს, შეიცნო ჯოჯოხეთის ნამდვილი არსი,
ელაპარაკე ბრიყვს და მაშინ მიხვდები, მგონი.

*
* *

სამწუხაროა, რომ ასე, სულ ცუდუბრალოდ, დავბერდით,
ქარტეხილები გვარბევდა, ვერ გავუმკლავდით, ავბედითს.
დარდ-ვაებაში საწუთრო თვალდახელშუა დაგვიდნა,
ვერ ავიხდინეთ ოცნება, იმქვეყნად ისე წავედით.

*
* *

ღვინის გარეშე ჩვენი ყოფა გასაჭირია,
სტვირი თუ ჰანგებს არ გამოსცემს, რაღა სტვირია?!
ლხინის გარეშე ეს სამყარო ყოფილა ფუჭი,
მე ვამბობ, ვისი ცხოვრებაც რომ დასატირია.

*
* *

შენს არსებობას ნუ ირთულებ ახალ-ახლებით,
არ ღირს, ისურვო მასზე მეტი, რაც გაქვს ნარგები;
არსთა გამრიგემ საიმქვეყნოდ რომ გაიმეტა,
ის არის შენი, არც მეტი და არცა – ნაკლები.

*
* *

მექოთნეებმა, თიხასთან რომ გამართეს ომი,
სულ ცოტა ჭკუა თუ მოიხმეს, სულ ცოტა გონი,
აღარასოდეს დაუწყებენ ჭყლეტას და თელვას,
მოეპყრობოდნენ მამების მტვერს სათუთათ, მგონი.

*
* *

რაც მოგველის, საიდუმლოდ მოგახსენებ მყისვე,
მოკლედ გეტყვი, სიყვარული, გულს რომ სევდას მისევს,
დამამიწებს, მაგრამ ისევ შენი ტრფობის ძალა
დამაბრუნებს ყვავილებად, რომ გიყურო ისევ.

*
* *

მერიქიფის წყალობაა, დღე თუ დამრჩა ორიოდე,
ხალხთა ამო საუბარი გულიდან ვერ მოგხსნის ლოდებს;
გუშინდელი ღვინიდანაც ჯამს წვეთიც არ შერჩენია,
ნეტავ, სოფლად რა დარჩება, საიქიოს წავალ ოდეს?

*
* *

ღვინის სახლიდან ხმა გაისმა გამთენიისას:
ჰეი, ლოთებო წარმავალი წუთისოფლისა,
შევავსოთ თასი ღვინით, ვიდრე თავის ქალები
გადაგვექცევა სასმისებად მიწის ღვინისა!

*
* *

იმას, ვინაც რომ ამ ფიალის შექმნა ინება,
მემთვრალეთათვის არ დაურთავს გატეხის ნება.
თუმცა, ამდენი ლამაზმანი ვის გამო შობა,
ანდა, ვის გამო მიუსაჯა მათ მოკვდინება?

*
* *

მოხუცებულნიც და ჭაბუკნიც, დღეს რომ არიან,
ყველა იმქვეყნად მიმავალი, ყველა მგზავრია;
ამ სამყაროში მუდმივად ხომ არავინ რჩება –
მოდის... მიდის და... წავა – ყველა წარმავალია.

*
* *

ლამაზმანები ვინც შეამკო მომღიმარ ბაგით,
ჭირისუფლები – ცრემლთა დენით, წვითა და დაგვით,
თუკი მუდმივად სიხარული ვეღარ გვიბოძა,
არაფერია, ბევრი ცხოვრობს დარდით და ახით.

*
* *

მერა რა, თუკი ლამაზი მაქვს დალალ-კავები,
ტანით კვიპაროსს, ლოყით ტიტას დავედარები;
საოცარია, მარადიულ მხატვრის ყალამმა
დროებით ბაღში რად ჩაგვხატა დახშულ კარებით?

*
* *

შენი პური არსობისა ღმერთმა მოგცეს უნდა,
ბევრია თუ ცოტა არი, გეყოს ერთი გუნდაც;
ნუ გაწუხებს, რაც არა გაქვს, მოიშორე დარდი,
რაც გებოძა, კმაყოფილი იმით დარჩი მუდამ.

*
* *

სიკვდილის შემდეგ დამიკარგეთ ძვალთშესალაგი,
ხალხს კი უამბეთ ჩემს შესახებ ჭკუის სავარგი,
მერე, მტვრადქცეულს, თუკი ვინმე დამასხამს ღვინოს,
მაქცევს აგურად, მით მოპირეთ ქვევრის ალაგი.

*
* *

ვიდრე ნამსხვანში ერთად არის ხორცი და ძვალი,
იყავი ფხიზლად, დაიცავი რაც შენი არი!
ქედს ნუ მოუხრი, თუნდ წინ გედგას როსტომ-ზაალი[1],
ნურც ჰათემთაის[2] ქონებაზე დაგრჩება თვალი.

*
* *

ვარდფურცლობისთვის ნოვრუზობის სიოა მარგი,
მწვანე მდელოზე – სატრფოს სახე, ეშხით ნაქარგი.
რაც წარიტაცა გუშინდელმა, ნუღარ ინაღვლებ,
მაშ, მოილხინე, დღევანდელი დღე არის კარგი!

*
* *

შეუცნობელის წვდომით, ნეტავ, ვინ გაიხარა,
ვერც შენ ჩასწვდები განსწავლულთა სიბრძნეს ანკარას;
ლალისფერ ღვინით აქ მოიწყე სამოთხე, გულო,
იმ სამოთხემდე ან მიაღწევ, ან კიდევ – არა.

*
* *

იმ ერთი ხარის სამყოფელი ზეცაა შორი,
მეორე მიწის წიაღშია ჩამდგარი, მგონი;
თუ ჭკუა გიჭრის და აზრზე ხარ, ირწმუნე ერთი:
ვირების ნახირს დაინახავ ამ ხარებს შორის.

---

[1] „შაჰნამეს“ გმირები.
[2] სიმდიდრით განთქმული პირები.

*
* *

უფალო, რატომ დამიმსხვრიე ღვინის ხელადა?
სიხარულისთვის, ხომ იცი, რომ ესღა მეშადა!
დაუნანებლად ღვინო ძირში რომ დამიქციე,
მაპატიე და, შენც დათვერი? დახვალ ხელადა?

*
* *

ჩქარობს ცხოვრების ქარავანი, მიდის და მიდის...
ამ სიამესაც გადაფარავს დრო-ჟამის ბინდი;
მაშ, ნუღარ ჯარვობ, მოიშორე ხვალის წუხილი,
მომეც ფიალა, მერიქიფევ, ეს ღამეც მიდის!

*
* *

ცოდვილი არის ეს ქვეყანა, მეც ვცოდავ, ვიცი –
ლალისფერ ღვინის სიყვარულით დღემუდამ ვიწვი;
ამბობენ, ღმერთი შეუნდობსო ცოდვიანს ყველას,
არ შემინდობს და არც მჭირდება შენდობა მისი!

*
* *

ღვინის სარდაფში ადგილია მხოლოდ ღვინისა,
წაბილწულ ნიჭით არ ეგების ქმნა კეთილისა;
ეს სათნოების ტალავარიც ისე დავფლირთეთ,
აღარაფრად ღირს ხელმეორედ ჩაცმა იმისა.

*
* *

უფლის შენდობის იმედი ყოველთვის გქონდეს, იცოდე,
რაგინდ ცოდვაში ჩავარდე, სასოწარკვეთით იწვოდე!
უგონოდ მთვრალი, თუ ხელებს უმწეოდ გულზე დაიკრებ,
შენს ძვლებსაც მიუტევებენ, შეგინდობ-შეგიცოდებენ.

*
* *

ცხოვრებას ღვინით ეფინება სულ სხვა იერი,
ღვინო გვავიწყებს, რაც ტკივილი გვაქვს მიწიერი;
მომეცით ხელში სავსე ჯამი, რადგან სიცოცხლე
წარმავალია, უნდობარი და წამიერი.

*
* *

სევდას მეგობრად ნუ გაიხდი, ნუ მისცემ ნებას,
აგედევნოს და უკურნებელს შეგყაროს სნებას!
შენს ცხოვრების წიგნს არ დააკლო ფურცელიც ერთი,
ვიდრე ცოცხლობ და ვიდრე მიწა შენით დათვრება.

*
* *

ნეტავ, ამ ღამით ასე მთვრალთან ვინ მოგიყვანა?
ჰარამხანიდან ჩემთან სატრფოდ მოხვედი განა? –
რომ უშენობით ალმოდებულ მიჯნურის სუნთქვას
მაცოცხლებელი ნიავივით მოედო, განა?

*
* *

გუშინ ბაზარში შევესწარი, მექოთნე ერთი
თიხის გუნდას რომ გამალებით ურტყამდა ფეხით,
ხოლო თიხა კი ღაღადებდა მისეულ ენით:
„მეც კაცი ვიყავ, ნუ მაწვალებ, იწამე ღმერთი!“

*
* *

დაფიქრდი და გონს მოეგე და უჭკუოდ ნუ იქცევი, –
შიშვლად მოხველ და შიშველი წახვალ, როცა წაიქცევი!
თურმე, ღვინოს შემოსწყერი, გითქვამს: „მომკლავს, აღარ დავლევ!“
გინდ დალიე და გინდ არა, სიკვდილს ვერსად გაექცევი!

*
* *

ვაგლახ, წიგნი ჩემი ყრმობის ჩაიფურცლა, ჩაინაცრა,
ჩაირბინა ცხოვრებამ და გაზაფხულის შემრჩა არც რა.
სიჭაბუკედ რომ უხმობენ, ის ჩიტიც ხომ გამიფრინდა,
აფსუს, ვერა გავიგე რა – ვერც მოსვლა და ვერცა – წასვლა!

*
* *

მიწოდე რაც გსურს, არ დამინდო აცერთი წამით,
თქვი, რომ უზნეო, ურწმუნო ვარ, ფიცხი და ავი;
მზადა ვარ, ყველა სალანძღავი სიტყვა მივიღო,
მაგრამ შენ რაც ხარ, არ დამალო ამხილე თავიც.

*
* *

თუნდ გულისსწორთან გაატარო სიცოცხლე შენი,
თუნდ წუთისოფელს გამოსტაცო სიამე მთელი,
თუ დასაბამით სიკვდილია ყველაფრის ბოლო,
ეს ყოველივე სიზმარია, სხვა – არაფერი.

*
* *

ღრუბელმა მინდორს დააწვიმა ცრემლების რემა,
უღვინოდ ქვეყნად ვერ მიაღწევ ვერაფერს, მჯერა.
დღეს ეს სიმწვანე, ჩვენს გულებს რომ ასე ახარებს,
ჩვენს საფლავებზე რომ ამოვა, ვის მოჰგვრის ლხენას?

*
* *

რა კარგი დღეა! არცა ხვატია და არცა – თქეში,
ჟუჟუნებს წვიმა, ეფერება ყვავილებს ეშხით;
მთვრალი ბულბული ვარდის ტოტზე ზის და იძახის:
„ახლა კი დროა, სავსე ჭიქა აიღოთ ხელში!“

*
* *

ამბობენ, ლოთებს დახშული აქვთ სამოთხის კარი,
ვერ დავიჯერებ! აბა, ეს რა სარწმუნო არი?!
თუ ლოთს და მიჯნურს ჯოჯოხეთი ელის სასჯელად,
ხვალისთვის იყოს, დღეს ვსვათ ღვინო გულგასახარი!

*
* *

მოლავ, თუმც ვლოთობთ და აღარა გაგვეგონება,
იცოდე, შენზე ფხიზელი გვაქვს თვალი გონების!
ჩვენ ვეწაფებით ღვინოს, შენ კი სისხლს სვამ კაცისას,
ვინ უფრო მეტად ცოდვილი ვართ, გაგეგონება.

*
* *

ღვინო უძლურსაც გოლიათის მიმადლებს ღონეს,
ბორკილიც ედოს, მწუხარებას არ მოაგონებს;
თვითონ ეშმაკსაც, თუკი წვეთი ღვინო დალია,
დაჩოქილს ნახავ, მის ლოცვასაც კი გაიგონებ.

*
* *

ღვინის სარდაფებს ვასულდგმულებთ მხოლოდ ლოთები
და ათასობით ცოდვა გვადევს, როგორც ლოდები,
მაგრამ თუ ცოდვას არ ჩავიდენთ, რას შეგვინდობენ?
შენდობას ცოდვა აციაგებს ნათლის ზოდებად.

*
* *

არცა მეჩეთის მრევლი ვარ და არც – ცოდვის ბილწის,
რა თიხითაც ვარ მოზელილი, უფალმა იცის;
ღვთის მგმობელი ვარ თუ ბოგანო ვარ მაწანწალა,
არცა სამოთხის იმედად ვარ, არც – დედამიწის.

*
* *

ყვავის მიდამო... რა სჯობია წყაროს ანკარას,
გვერდით კი – ქალწულს თვალისმომჭრელს, ტუჩებთაკარას,
დოქით კი – ღვინოს და ფიალაც თუკი ხელთა მაქვს,
არც მეჩეთი მსურს, არც სამოთხე და არც – აღარა!

*
* *

ყოველგვარ სასოს წარგიკვეთავს სიკვდილის ხელი,
თუნდ ყვავილებად მოგეჩვენოს, საშველს ნუ ელი;
ვით უდაბნოში დაცემული თოვლის ფიფქები,
უცებ გაქრება და გადნება ცხოვრება შენი.

*
* *

უნდა მოვეშვათ საწუთროზე წუხილს ამაოს,
ვილხინოთ, ვიდრე ეს ქვეყანა წარამარაობს;
შეხედეთ, დატკბით დედამიწის აზურმუხტებით,
დასწვდით ფიალას, სადაც ღვინის ეშხი ნანაობს.

*
* *

ვერ აიცილებ თუკი სიკვდილს, გარდუვალია,
მაშინ რას დარდობ, აბა, რაღა საწუხარია!
არარაობა არის თუკი სხეული შენი,
მისთვის წუხილი სიცოცხლის ჟამს რაღა ვალია?!

*
* *

ჩემივე ცოდნით ავისრულე მე ყველაფერი,
ავხსენი ბევრი საიდუმლო სიბრძნის საფერი;
მოხერხებითაც ეს ცხოვრება გავიადვილე,
სიკვდილს კი მაინც ვერ გავუგე მე ვერაფერი.

*
* *

სიცოცხლე დნება, როს სიბერემ ხელი დამრია,
მიახლოვდება სიკვდილი და ვდარდობ ძალიან, –
იმ ქვეყნიდან კი დაბრუნებულს ვერვის წავაწყდი,
რომ ეთქვა მაინც, წასულები როგორ არიან.

*
* *

გულო ჩემო, აწყმო სანდო აღარ არი,
მისგან ოდენ ტკივილი გაქვს, საწუხარი;
შენი თავის შემწე შენვე უნდა იყო,
არვინ იცის, როგორია მომავალი.

*
* *

მერიქიფევ, ჩვენზე ადრე გაემგზავრა ვინაც,
შავ მიწაში დაიძინა, იქ დაიდო ბინა;
მაშ, შეავსე ფიალა და გაიგონე ჩემი:
აბა, მითხარ, ვინც არა სვამს, მან რა შეიძინა?

*
* *

თუ ორიოდე დღის სამყოფი გეგულვის პური
და პირწატეხილ დოქშიც გიდგას წყალი სარწყული,
აბა, რად უნდა დაემონო შენზე უარესს,
ანდა, შენ თვითონ რაღად გინდა სხვათ სამსახური?

*
* *

მე ვეძებ შემწეს და სადაა მწეობა შენი?
გულში ღამეა, ჩაქრა სხივი სიცოცხლის მფენი;
შენ მე სამოთხეს რომ მპირდები მორჩილების წილ,
ეს ვაჭრობაა და სად არის წყალობა შენი?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საადი შირაზელი

(1203-1292)



რუბაიები

*
* *

ბოროტი თესლი, დასაბამით სულ პაწაწინა,
ჟამთა დინებამ დროდადრო რომ მეტი შესძინა,
აზვავდა ერთობ, აბობოქრდა, გამედიდურდა,
ზღვად გადაიქცა, სიკეთეზე გაიჯეჯილა.

*
* *

გეტყვით ერთ სიბრძნეს: ძველთაგანვე არის თქმულება,
რომ არასოდეს (ასეთია კაცთა ბუნება),
საცა გინდ იყოს, მზისქვეშეთში მუდამ ასეა –
მეფე და გლახა არავის არ ემორჩილება.

*
* *

თუ მოსამართლე მეინახე გახდება ჩვენი,
ბოლომდე უნდა შესვას ღვინო სიამით, ლხენით
და მაშინ, როცა დაითვრება წესის დამცველი,
ხამს, რომ ლოთებსაც აპატიონ თრობის სასჯელი.

*
* *

დღეს შეაფურთხეს სიკეთის და სიქველის ცნებას,
კაცს სიტყვისა და ძაღლს კი ყეფის არა აქვს ნება;
აღარც წიგნის სწამთ და აღარცა – კალამ-ყალამის,
თქვეს გულისა და ამოივსეს ბინძური ვნება.

*
* *

ვისაც სიმაძღრე ბედმა აგემა,
მას უნდა ჰქონდეს მეტი გაგება,
მაგრამ ზოგ მაძღარს ასე ჰგონია,
მარტო ჭამისთვის შექმნა განგებამ.

*
* *

ჭკუა-გონება ვისაც არ უჭრის,
სჯობს, ჩუმად იყოს, ვითარცა – მუნჯი,
მაგრამ ამისთვის საჭირო არის,
ჭკუა ჰქონდეს და გონება უნჯი.

*
* *

მეფევ, გაგიმხელ ერთ რჩევას მარტო,
უკეთესს წიგნიც ვერ გეტყვის, ვატყობ:
ქვეყნის ამბავი ბრძენს შეეკითხე,
თუმც, ბრძენს არა სურს, ქვეყანა მართოს.

*
* *

თუ ადამიანს ერთადერთი და საესავი
აქვს გარეგნობა, ამით მოაქვს მარტოდენ თავი,
ეს იმასა ჰგავს (არც მეტი და არცა ნაკლები),
კედელზე იყოს მიხატული, უტყვად მხედავი.

*
* *

აბა, როგორ შეფასდება სიტყვა ჯერ ართქმული –
ავია თუ კარგი არის, იქნებ – მოქარგული!
არ გეგონოს, ყველა ტევრი ცარიელი არის, –
იქნება და ვეფხვი ბუდობს, ჯერეთ დამალული!

ყაზალი

მინდა, მჯეროდეს, შენი ქუჩის გავხდები მტვერი,
შენზე ფიქრში რომ დამელევა სიცოცხლის დღენი;

გამთენიისას, როს დადგება განკითხვის ჯერი,
შენი ხსენებით განვიწმინდო და შენი ცქერით;

როს იბრწყინებენ ორთავ ქვეყნის ლამაზთა მზენი,
შენ დაგინახავ და ვიქნები მსახური შენი.

ათას წელიწადს რომ მბოჭავდეს სიკვდილის ცელი,
გამომაღვიძებს შენი თმების ნაზი სურნელი.

არაფრად მიღირს ედემი და იმისი ბჭენი,
ჰურების ხიბლი, მძებნელი ვარ მე შენი მზერის.

არ შევსვამ ღვინოს სამოთხეში ანგელოზთ ხელით,
რად მინდა ღვინო, როცა მათრობს მშვენება შენი!

როდესაც მიხმობ, შარაგზაა უდაბნო ცხელი
და, თუ უარმყოფ, მეც საადის გავხდები მტერი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგავი

სულელმა დედიშობილამ,
ტანზე რომ არა ეცვა რა,
ერთი დილემი ისესხა,
სიშიშვლე ქურქით შეცვალა,
მერე დაიწყო წუწუნი:
„ბედმა მიმუხთლა ნეტა რად?
დავიწვი, ამ უხეშ ტყავში
თავს ვეღარა ვგრძნობ ნეტარად!“

როს ქურქიანი უტვინო
თავის გასაჭირს მოთქვამდა,
დილეგში მჯდომმა ტუსაღმა
უყვირა: „– რასა ოხრავ და
რას ჩივი, ბრიყვო, იყუჩე!
ნეტავი, რაზე სტირიო?!
უფალს უმადლე, რომ არ ხარ
ჩემსავით დაბორკილიო!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰაფეზი
(1300-1389)



რობაიები

*
* *

აიღე დოქი ღვინით სავსე, მოდი, დავლიოთ!
მალულად მოდი, რაყიფი კი ეჭვით ავრიოთ;
არ შეისმინო შურიანის, სახლში დარჩიო,
მე დამიჯერე, მწუხარება-დარდი გავლიოთ!

*
* *

ვინაც მომეთბო, გამიღიმა, მიჩვენა გული,
მტერი გამიხდა, საქმე მიქნა მან ვერაგული;
მე რომ მეგონა, სათნოებით იყო აღსავსე,
ფლიდი ყოფილა, ბოროტი და სულგაყიდული.

*
* *

სიხარულზე უფრო მეტი მე ვარამი გამაჩნია,
არც რა მქონდა, არც მაქვს, დარდმა გულს იარა დამაჩნია;
ვისაც ვეძმე და მივენდე, მიღალატა, დამაქცია,
ეს რა ბედი მერგო! ქვეყნად უიმედოდ დავალ, ჩია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯალალ ედ-დინ რუმი

(1207-1273)



რობაიები

*
* *

ჩემთვის არსებობს სულ სხვა ენაც, ამ ენის გარდა,
სხვაც არს სავანე, ედემის და ჯოჯოხეთს გარდა;
თავისუფალი გულის კაცს ხომ სხვა სული აქვს და
ის წმინდა თვალიც სხვა ქანისაგან ჩამოქანდაკდა.

*
* *

ნუ შეჩერდები, წინ იარე, თუნდ მეგობარი
შეიცვალო და მიატოვო ბინა-საფარი,
რაც გუშინ იყო – ყველაფერი, რაც უკვე ითქვა,
აღარ გარგია, ახალია დღეს საძებარი.

*
* *

გესმას ეს სიტყვა: განერიდე სულით მწუხარეს,
მხიარულს ეძმე, იქეიფე, დრო გაატარე;
მინდვრად ერიდე ჭინჭარს – მწარედ დასუსხვა იცის,
ვარდ-ყვავილები გიყვარდეს და გული ახარე!

*
* *

აღსასრულის ჟამს, როცა სული ხორცს გაეყრება
როგორც ძველ სამოსს (ასეთია ძველთაგან მცნება),
ხორცი მიწაა და მიწასავე მიებარება,
სული კი ახალ უკვდავებას ეზიარება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეიხ ბაჰაი

(1547-1621)

რუბაიები

*
* *

შენზე დარდისგან, ო, ფერიავ, რას გადვეკიდე,
ვერ გამიგია, სად ფეხი მაქვს, სად – თავი კიდე;
ვთქვი, დარდს შევეშვა და ვაამო სულსა და გულსა,
ორივ დავკარგე, ხოლო დარდი ვერსად მივკიდე.

*
* *

ავზნიანია, ვინაც ავი მიწოდა მე და
კეთილი არის, ვინც სიკეთე გამოიმეტა;
ნათქვამი სიტყვით გამოჩნდება ბუნება კაცის,
კოკა გადმოღვრის, რაც მასშია, რაც დაებედა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღუბეითი

(სპარსული ხალხური ლექსი)

ჩანგი არ მქონდა
და ტირიფის ტოტით გეახელ,
მჭმუნვარე სახით
და შევერცხლილ თმებით გეახელ,
უსასობას რომ უღმერთობის
ანიჭებ სახელს,
დაგემორჩილე
და იმედით სავსე გეახელ.

ფრანჩესკო პეტრარკა

(1304-1374)

სონეტი №2

მე სიყვარული არად მიჩნდა, ვიყავ ეული,
მაგრამ ამურმა მოიმარჯვა მაშინ ისარი,
შურისძიებით ანთებოდა გულისფიცარი,
რადგანაც ჩემი სიყვარულით იყო სნეული.

თუმც გული მქონდა მაგარი და სალი, კლდეული
და ნება ჩემი ერთადერთი იყო მიზანი,
მაგრამ ამურის ისრის სუსხი აქაც ვიცანი,
სად ყველა გრძნობა აქამდისაც იყო ძლეული.

ამ დაძგერებით შეძრულ გულს კი სად ჰქონდა ღონე,
შებრძოლებოდა ყოვლისშემძლე ძალას ისართა!..
როგორ შეეძლო, ყოფილიყო ჩემი გამგონე,

ან იარაღით, განრიდებით, ანდა მისანთა
მოშველიებით დავეხსენი, ტანჯვის არმქონე...
ახლა კი ცდილობს, თუმც შორსაა ძალზე მიზანთან.

სონეტი №4

რა უსამანო ძალისხმევა, წინასწარჭვრეტა,
რა ოსტატობა და რა ხიბლი ერგუნა ახლის,
ვინც შექმნა ზეცა – დედამიწის ცისფერი თაღი
და იუპიტერს ეს სინაზე არგუნა, ნეტა?

ვინც დედამიწას უშურველად უბოძა მზე და
სინათლის სვეტით ჩაანაცვლა უკუნი თალხი,
ბადეს მოსწყვიტა მებადურნი, არგუნა სახლი –
ზეცის სამეფოს დაასახლა, მათივე ბედად.

მერე იესო მოუვლინა – მეოხი კაცთა,
არა, რომს არა! – იუდეას მიწას საზეოს
და მიანიჭა ღვთაებრივის მარადი განცდა.

ახლა, ჩვენს დროში, ერთ პატარა სოფელში მზეობს
მნათობი ერთი, დამამშვენი უტურფეს დასთა;
ხარობს ბუნებაც – ზეიმია ქვეყანაზეო.

სონეტი №209

იმ ტკბილ ბორცვებთან განვეშორე არსებას ჩემსას,
იქ დარჩა ჩემი სიყვარული, ოცნება, რადგან
ვერ შეველევი, ვიდრე ტრფობის გვირგვინი მადგა,
ვიდრე გულს ტვირთი სიყვარულის ტანჯავს და ესავს.

ყოველ ცისმარე გზაზე ვარ და ფიქრები მგესლავს,
საკუთარ თავის მიკვირს, მაგრამ ვეღარას ვუფლობ;
გავურბი, თუმცა, რაც ვშორდები, ახლოა უფრო –
მე ამ უღლის ქვეშ მომესაჯა ლხენაც და კვნესაც.

ვითარცა ირემს, უმოწყალოდ დაჭრილ-დაკოდილს,
მკერდს რომ უსერავს შხამიანი ბუნიკის წვერი,
უფრო მამწარებს ეს სირბილი – შვება არ მოდის...

მივრბივარ, დამაქვს ავბედითი ფოლადი მწველი, –
მკლავს და იმავ დროს მაზიარებს საამო ლოდინს
და ამ სრბოლაში თავს იწონებს სიკვდილის ცელი...

სონეტი №292

თვალებმა, მე რომ არაერთხელ მომგვარეს შვება,
ხელებმა, სახემ, აშოლტილმა ტანმა რხეულმა
დამტოვეს ასე მიუსაფარად, ასე ეულად,
არცერთ მოყვასთან აღარ მომცეს მე ყოფნის ნება.

შრიალა თმებმა – ოქროსფერმა დალალთა წყებამ,
ანგელოზისებრ გაღიმებამ, ჩემთან ჩვეულმა,
ცხოვრებამ, ჩემთვის თვით სამოთხედ გადაქცეულმა,
სახე იცვალეს და მტვრად მექცა ყოველი ვნება.

მე ვცოცხლობ, თუმცა ცრემლი აღარ მიშრება თვალში,
ფიქრი მესევა იმ ნათელის გარეშე ავი,
უსიყვარულოდ ვარ მენავე დამსხვრეულ ნავში.

სასიყვარულო სიმღერებმაც მოიკლეს თავი,
ენამჭევრობის ყველა ძარღვი ჩამიწყდა ხმაში
და ტირის ქნარი – დაუდია ცრემლებთან ზავი.

სონეტი №343

მასზე რომ ვფიქრობ, ვინც ამ ზეცას დასდო პატივი
იქ ყოფნით... ოქროს კულულებით და ნაზი მზერით,
მწყაზარი სახით, ანგელოზებრ ღვთიური ენით, –
რამაც დამატკბო, თან დამნაცრა მწველი ხვატივით,

მიკვირს, ცოცხალ ვარ... ეს ძალაა ანდამატივით,
მასზე ფიქრია, ვის ესწრაფვის ოცნება მწველი,
ვისი სიტურფეც, სათნოებაც ენით უთქმელი,
მიფანტავს ეჭვებს, სულს მივსებს და მათბობს ხატივით.

რა საამოა, როს ღიმილით ფიანდაზს მიგებს,
გულისხმიერი, რა სითბოთი მისმენს და მიგებს
ჩემი წუხილის უსაბამო ამბების წყებას...

და როს მოუსწრებს ალისფერი შუქი აისის,
კვლავ გაუყვება ზეცის ბილიკს და ვხედავ, ისიც
ტირილს იწყებს და ემონება ცრემლების ნებას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სუ ში
(1037-1101)

*
* *

იასპის ბანზე ჩრდილები რუხი
სულ ერთმანეთში იხლართებნიან...
მათ მოსაგველად მსახურ ბიჭს ვუხმე
უკვე რამდენჯერ!.. არ ნებდებიან...

თუმც დაისის ჟამს, მზე რომ ჩავიდა,
ჩრდილების ხომლიც თან ჩაიყოლა;
მერე მოცურდა ბადრი მთვარე და
ისევ მოგვართვა ჩრდილების კონა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯოვანი ბოკაჩო

(1313-1375)

სონეტი

წყაროს მახლობლად, სად ზურმუხტით მორთულა არე
და ყვავილებით მოჩითულა ხასხასა მდელო,
სამი პატარა ანგელოზი ოცნებობს, მსჯელობს
სიყვარულზე და თან კეკლუცად ნაბავენ თვალებს.

თავსარქმელებად მოურგიათ გვირგვინი მწვანე,
ჩამოუშლიათ დალალები – მზისფერი ჩერო
და, ღვთაებრივად მოლივლივეთ, ასე რომ შვენობს,
ნაზად გრეხს სიო, ათამაშებს, ერთურთში ურევს.

სამთაგან ერთმა იკითხა (თუ მომესმა, ნეტავ):
„– ო, საოცრება რომ ვიხილოთ ახლა ჩვენს მწველად –
ჩვენი მეტრფენი აქ რომ გაჩნდნენ სულ უცაბედად,

გავიქცეოდით, დარცხვენილნი, აქედან ხელად?“
ორმა მიუგო: „– რად გავიქცეთ, თუ, ჩვენდა ბედად,
ბედნიერება გვეღირსება მოულოდნელად?“

იოჰან ვოლფანგ ფონ გოეთე

(1749-1832)



მგზავრის ღამეული სიმღერა

ღამეულ მწუხრში
მინაბულან მთის მწვერვალები,
მშვიდი ხეობა
ავსებულა სინედლის გზნებით,
გარინდულ ტყეში
აღარ ისმის ფრინველთა ხმები,
ურჩმა სიომაც
მიატოვა ნავარდი ნებით.
სულ ცოტა კიდევ...
იყუჩე და შენც დამშვიდდები...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვინჩენცო მონტი

(1754-1828)



*
* *

მუდმივად კარზე მიკაკუნებს, აღარ მეშვება
საბედისწერო, უნდობარი, ჯიუტი აზრი;
მომეახლება და იმწამსვე გამიშეშდება
გულიც და გონიც – ყველას მისი ბეჭედი აზის!
დავხუჭავ თვალებს, რათა აღარ ვიხილო მეტად,
ორივე ხელებს შემოვიჭდობ გაყინულ შუბლზე,
მაგრამ შუბლზეც და მთელს სხეულშიც, თითქოსდა ბედად,
კვალდაკვალ დამდევს აბეზარი და ცხადად ვუმზერ –
შემომციცინებს სიბრალულით – ამასაც ბედავს.
ვეცემი პირქვე, ვბღუჯავ ბალიშს მე ყოველ ღამით,
ვაწვები სახით, მკერდით, რათა განვაგდო უნდო,
თუმც არ მშორდება ეს ხატება თვალთაგან წამით,
პირიქით – უფრო ახლოს მოდის, ის ჩემში ბუდობს;
თვალებში მიმზერს, თავსაც მიხრის და მეჩვენება,
ლოყას მომადებს, მასთან ძილის მიბოძებს ნებას.

ვიქტორ ჰიუგო

(1802-1885)



სიყვარული

მეფე რომ ვიყო, მოგიძღვნიდი სრულად სამყაროს,
ტახტრევანს, სკიპტრას, მორჩილებას დაჩოქილ ხალხთა,
ჩემს ოქროს გვირგვინს და პორფირის ჩემს აბაზანას,
ზღვა რომ ვერ იტევს, მოგიძღვნიდი ფლოტსაც შენ, ქალო,
ერთხელ გეტყორცნა ისარი თვალთა!

ღმერთი რომ ვიყო, ზღვას და ხმელეთს შენ გაჩუქებდი,
ანგელოზებსაც და ჩემს მორჩილ დემონებს ბოროტთ,
მიწისქვეშეთის საუნჯეებს ფერხთ დაგიფენდი,
მარადისობას, ზეცას, სივრცეს, სამყაროს ფერებს
გავიმეტებდი შენს საამბოროდ!

* * *

ხვალვე, სოფელს რომ მოედება ცისკრის ლაციცი[1],
წამოვალ შენთან მე ხომ ვიცი, რარიგად მელი!
ვივლი ტყეებით, გადავივლი მთებსაც და იცი,
მეც გამიჭირდა, უშენობა ვეღარ შევძელი.

---

[1] ეს ლექსი ვიქტორ ჰიუგომ მიუძღვნა ქალიშვილს, რომელიც 1843 წელს 19 წლის ასაკში, მის დაბადების დღეს – 4 სექტემბერს, ნავით სეირნობისას დაიხრჩო მდინარე სენაში. ლექსი მოგვიანებით, 1847 წლის 3 სექტემბერს, დაიწერა; მანამდე, 4 წელი, ვ. ჰიუგო სულიერად ავადმყოფობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვივლი... ვიფიქრებ მხოლოდ შენზე, ყოფაგამწყრალი,
ჩემს თვალთა მზერას წარიტაცებს გზად ვერაფერი;
ვივლი ყარიბი, სევდიანი და დამაშვრალი,
დღეცა და ღამეც ერთნაირად მექნება ბნელი.

არ ვნახავ, დაისს როგორ ამკობს მზე ოქროსფერით,
შორეულ აფრებს არფლორისას, სივრცეს რომ ტოვებს;
მოგეახლები და საფლავზე დაგიწყობ ცრემლით
ბაძგის ხასხასა თაიგულს და მანანის რტოებს.

ჭიამაია

შეიშმუშნა, „– რაღაც შემომიჩნდა!“ –
შემომჩივლა შეჭირვებულ მზერით.
დავინახე, ვარდისფერი მწერი
მის კისერზე ნებიერად იჯდა.

ვაგლახ, როცა თექვსმეტის ხარ შენ და
უმეცარი, თუნდაც – გონიერი,
რად მინდოდა დევნა მე იმ მწერის,
რომ მეკოცნა, ბევრად აჯობებდა!

ნიჟარას რომ გავდა, იმ პაწიას
ზურგზე ჰქონდა შავ-შავი ხალები.
ფოთლებიდან აღერილ თავებით
ჩიტუნების მზერაც მიეწია.

დავიხარე – მოლოდინი ბინდავს
შეუცნობი მისი ბაგის ციალს...
მოვაცილე მე მაია ჭია,
მაგრამ კოცნაც სადღაც გამიფრინდა.

ამ დროს მწერმა ციდან ჩამომძახა:
„– შვილო, ახლა მაინც დაიხსომე:
ჩვენ უფალმა შეგვქმნა, ხოლო ყოველ
სიბრიყვეს კი კაცის ხელი ახლავს!“

* * *

ეუბნებოდა: „ნეტავი, ასე
ანთებულ გულით და რწმენით სავსეთ,
ათასი კვანძი რომ აგველაგმა,
რითაც შეგვბოჭა დედაქალაქმა,

გავექცეოდით სევდიან პარიზს –
შეშლილს... და სადმე შორს, სადაც არის
სიმშვიდე, შური სად ვერ ივანებს,
ჩვენ ვიპოვიდით მყუდრო სავანეს

ხეებში ჩაფლულ პატარა სახლში
ყვავილებით და ბუჩქნარით. მაშინ
ყურს დაგვიტკბობდა ჩიტის გალობა
და რად გვინდოდა სხვა რამ წყალობა?“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემილი დიკინსონი

(1830-1886)



*
* *

შევძლებთ, გულო, დავივიწყებთ
ამაღამვე ერთად!
შენ ის სითბო დაივიწყე,
რაც მან გაიმეტა;
მე მის ნათელს დავივიწყებ,
არ ვინატრებ ფიქრშიც;
ოღონდ ყოყმანს ნუ დაიწყებ,
თორემ მახსოვს იგი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიიომ აპოლინერი

(1880-1918)

შენი თვალების ტბაში

ეს ჩემი გული –
უბედური, განაწამები,
ჩაიყოლია უძირო ტბამ
შენი თვალების
და ფლეთს და ჯიჯგნის
უმწეო მსხვერპლს
გიჟური ვნების
მელანქოლია
და უღონო მოგონებები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იანკა კუპალა
(1880-1942)

ნუ ეძებ

შენ ბედს და იღბალს ნუ ეძებ სხვაგან –
უცხო ველებზე თუ ტყეში, რადგან
ის ყველაფერი, რაიც შენია,
სხვათა ტევრს და ზღვებს არ შერჩენია...
შენს ბედს და იღბალს ნუ ეძებ სხვაგან!

ყველაფერს ნახავ აქ, სადმე ახლოს,
სად დედის ლანდი მუდმივად სახლობს,
სად გიმღეროდა „ნანინას“ ლხენით,
სადაც დაირწა აკვანი შენი...
ოღონდ შეძელი, რომ მიეახლო!

ნურც მეგობრების დაიწყებ ძებნას,
ნუ გსურს უცხოთა, ბოროტთა ხლება,
ხიბლი ქალაქთა, სრასასახლენის,
პანების მშვიდი ცხოვრების, ლხენის –
იქ ნუ დაიწყებ მეგობართ ძებნას!

შენ მათ იპოვი მახლობლად სახლის,
სად ბავშვობაში მწყემსავდი ნახირს,
სად სიყმაწვილე შენი ელავდა,
სად ყოველ დილით ბალახს ცელავდი...
ოღონდ შეძელი, ეძებო ახლოს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვაგან ნუ ეძებ სამშობლოს, ძმაო,
ნუ ედევნები ქარებს ამაოს!
ნუ ეძებ უცხო ხმელეთზე, ზღვაში,
ნუღარც ლხინში და ნუღარცა ჭირში –
სხვაგან ნუ ეძებ სამშობლოს, ძმაო!

შენ მას ძალიან ახლოს მიაგნებ,
როგორც პოულობს ტყეებს ნიავი,
თუ ჩაიხედავ საკუთარ გულში,
თუ ჩაიბუდებ ამ სურვილს სულში,
სამშობლოს შენსას ახლოს მიაგნებ!

ვარსკვლავები

ცაზე მუდმივად ოთხ ვარსკვლავს ვხედავ,
სახლიდან ღამით გავდივარ როცა.
აბდღვიალებენ ცეცხლოვან ფრთებს და
უმალვე ვიწყებ მხურვალე ლოცვას.

პირველი სახეს მაგონებს მამის,
მეორე – დედის, ზრუნვით რომ იწვის,
მესამე სატრფოს ვარსკვლავი არის,
მეოთხე – ჩვენი მშობელი მიწის.

პირველი ჩაქრა დიდი ხანია,
მეორეც კარგავს ფერსა და იერს,
მესამეს ბინდმა ხელი დარია,
მეოთხე მუდამ ციმციმებს ძლიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბინდისას

მე მიყვარს ფიქრი ბინდბუნდში, როცა
სამყარო ისხამს მწუხრის მანტიას,
მაშინ აზრები ზეცას ადიან,
როცა სარკმელში ვარსკვლავი მოჩანს

და ეს აზრები, გამჯდარნი სულში,
მაცნე წყვდიადის, უღვთოდ მაწამებს;
ხშირად მისველებს ცრემლი წამწამებს,
თუმცა გრძნობები ჩამკვდარან გულში.

ვფიქრობ, ვოცნებობ, რაღაცას ველი,
იქნებ მეტს? ესეც ხვედრია ჩემი –
რას მომაგებებს მე ბედისწერა.

თუ არ მარგუნა ბედნიერება,
ნაღველს და ტკივილს რა ეშველება?
კუბოს და საფლავს მივაპყრო მზერა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი სახლი

ჩემი სახლი – ვარსკვლავეთის ლაჟვარდი,
არწივების სამეფო და ქართა
სათარეშო, სადაც ქარი ნავარდობს
და პაექრობს ღრუბელთ ქარავანთან.

ჩემი სახლი – ტყეთა ხავსს და ლიანს
და ნაძვნარს რომ დაუფარავს – მძივი,
სად ნიმფების ხარხარს დაუპყრია
მყუდროება მარადიულ ძილის.

ჩემი სახლი – ქვიშით დაფარული,
მორიგეობს სად ყინვა და ხვატი,
სადაც გუთანს სიმწრით გააქვს ხნული,
სისხლისფერი ოფლი წვეთ-წვეთ დასდის.

ჩემი სახლი – აბზინდების მაგია
და ყორღანთა ვერხვები რომ რთავენ;
იქ წინაპართ ძვალთა შესალაგია,
გლოვის მგოსნად ნისლია და ღამე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჟაკ პრევერი

(1900-1977)



*
* *

ეს მომღერალი მე არ გეგონოთ,
ეს ყვავილების სიხარულია,
ან ეს სიცილი ჩემი როდია, –
ღვინო ხარხარებს, ლხენა სწყურია.
ასე მწარედ კი მე როდი ვტირი, –
ეს დაკარგული სიყვარულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსუელო ველასკეს ტორესი

(1924-2005)

*
* *

მაკოცე, ბევრჯერ მაკოცო, მინდა![1]
უკანასკნელი ღამეა თითქოს,
მაკოცე, ბევრჯერ მაკოცო, მინდა,
ხვალინდელი დღე იქნებ არც იყოს!

მინდა, მარადჟამს სულ გვერდით მყავდე,
რომ შენს თვალებში ჩემსას ვხედავდე.
ეგებ, ხვალ უკვე ვერ მნახო, კარგო,
ეგება, სადმე გადავიკარგო!

[1] ლექსი დაიწერა 1940 წელს, როცა ავტორი 15 წლის გოგონა იყო.

ათაოლ ბეჭრამოღლუ

(1942)



სიყვარული

რა უსწრაფესად ჩამოიღვენთა
ტრფიალი, უცბად დაიწყო რაიც;
გვიყვარდა, ჯუფთი ვიყავით ერთად,
ეს განშორება რა იყო მაინც!..

ერთხანს გვერდიგვერდ ვიდოდით ლხენით,
ცხოვრებამ – ავი მეისრის სრბოლამ
ვითარცა ორი მატარებელი,
სხვადსხვა რელსზე გადაგვისროლა.

ჰარმონიკა

ვგიჟდები, როცა თოვლიან ღამით
მატარებელი ბაქანს აფხიზლებს
და სიფრიფანა ფარდების მიღმა
ვხედავ ლამაზებს – ვაგონის ხიზნებს.
მიღიმიან და მეც ვცდილობ, მივწვდე,
თუმცა მიველტვი ამაო მიზნებს –
ვერც ავცოცდი და ვერც დავეწიე...
ხოლო უმწეო ცრემლების მიზეზს
ჰარმონიკაზე სიმღერას ვანდობ.
გული ქათქათა ქუჩაში იწევს –

ქალაქში, ყოველ ღამით რომ აწვიმს,
ვკვდები და დილით ვცოცხლდები ისევ...
საითკენ მიდის მატარებელი?
ნუ დამიმალავთ, გავყვები მყისვე.

გაზაფხული

ღრუბლებისაკენ გამირბის მზერა,
ვბუტბუტებ, ლოცვად მუხლზე დავეშვი;
ბალახებთან და ჩიტებთან ერთად
ვნანაობ გაზაფხულის ქარებში.
გაზაფხულის მზე უნდოა ერთობ –
ქუთუთოებშიც რომ ჩამეღვენთა!
თითქოს ვარსებობ და არც ვარსებობ,
სიზმარში ვარ თუ ცხადში ვარ, ნეტა?
აქ, ამ სამხრეთულ ყავახანაში,
მარტო დარჩენილს საკუთარ თავთან,
ძალგიძს თავთუხთა უწყვეტელ მარშში
სიცოცხლისათვის წერტილის დასმა...
ჩიტის ნისკარტზე არ მიკოცნია,
ერთ დღეს, იქნება, ვაკოცო კიდეც!
თავთუხებშიაც შევიძლებ სრიალს –
ეგება, ერთ დღეს ქარად გადვიქცე!..
ზახულის დღესთან დავდო ზავი და
ფრთოსანთ ჟღურტულში ვიშვა თავიდან.

ყაზალი გასულ ზაფხულზე

განვლო ზაფხულმა, დამიტოვა დარდი სულისა,
ტუჩებს შემორჩა კვალი კოცნის გარდასულისა.

ვარსკვლავთა ხომლი აღარ სწყალობს ღამეულ ზეცას,
ცივი და მრუმე დღეები დგას – ფარდი სულისა.

თითებზე უკვე წაიშალა ლაქები მაყვლის,
მუხლებს კი შერჩათ ნაკვალევი ამ ზაფხულისა.

გადაიქროლეს ფრინველებმა სამხრეთისაკენ,
დარჩნენ უძლურნი, შერჩათ სევდა უსასობისა.

უკადრისა და ჰორტენზია დგანან მოწყენით,
გაქრა სილურჯე, ზღვებს აჩნიათ დარდი გულისა.

ჩამოიღვენთა კიდევ ერთი ზაფხული, თუმცა,
ვინ იცის, რამდენ ზაფხულს ითვლის ხსოვნა სულისა!

დილაადრიან

ყველა სისხამი დილა
ლამაზი იყო ერთობ –
ჩემს დედასთან და მამასთან
გატარებული, ღმერთო!..
საწოლს რომ დასთამაშებდა
მზის ათინათი თბილი,
მე ყველაფერი მახსოვს
იმ ადრიანი დილის –
კარი, ჩუმად რომ იღება

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იხურება უხმოდ
და დინჯად მდგომი მაგიდა
ოჯახს თავისკენ უხმობს...
კვლავ მენატრება, ვნახო
მზე, ჩვენს სარკეს რომ კოცნის,
სარკე არეკლილ სხივებს
უმალ დერეფანს სტყორცნის...
ახლა, ამ დილაადრიან,
ეს მონატრება ძველის
ისე ძლიერი არის,
ისე ძლიერი, მწველი!..
იმ ადრიანი დილის
ყველა კადრს ნათლად ვხედავ, –
მამა – სათნო და დინჯი
და ბრძნული გამოხედვა!
და დედაჩემიც იქვე,
ვით მოფარფატე ლანდი,
ნაღვლიანი და უხმო,
თავის ჩვეული დარდით...

მელანქოლია

ჰეი, ძვირფასო პაწაწინა ქალაქო ჩემო,
ტკბილ-მწარე გრძნობა რომ მაგემე პირევლ ტრფიალის;
ქნარო, უსასო საღამოთა თანაზიარო,
ჯადოსნური ხმით წუხილის მჩენო;

ჰეი, შუქურავ, ზარხოშიან ღამეთ ნუგეშო,
ჩემს პირველ ლექსთა და სევდათა მოწმევ პირველო;
ღუმელო, ზამთრის ცივ ღამეთა გამათბობელო;
მატარებლის ხმავ გასაკვირველო;

ოთახო, ჩემი სურვილები რომ შეიფარე;
სარკმელო, ვარსკვლავთ მოტრფიალეთ ძმავ, მეგობარო;
მანქანავ, რამდენ მიმწუხრის ჟამს, როგორ მოვთვალო,
რომ მიმაფრენდი სასურველ მხარეს;

ქუჩავ, ჩემი ხმა მწუხარი რომ ვერ მოგაწვდინე;
მე, სულამღვრეულს, მახსოვს, თმას რომ მიწეწდი, ქარო;
და დედაჩემო, ჭაღარავ და სპეტაკო ქალო,
ფანჯარასთან რომ ცრემლებს აწვიმებ;

გაგიჭირდებათ, მაგრამ რა ვქნა, სხვა გზა არ არი,
რადგანაც უკვე წასვლა უნდა ამ გულს თავნებას,
ჰოდა, ერთ დილას ცისფერ ღრუბელს ავედევნები,
მოუსავლეთის გზაზე დამდგარი...

დაბოლოს

დაბოლოს მაინც ლექსი მიჯობს სულის მალამოდ,
ჩემს თავთან მინდა მარტოდმარტო მხოლოდ დარჩენა;
მქონდეს მაგიდა ნათურითა და მარჯვე კალმით,
რვეულიც მქონდეს ლექსთა ჩემთა გადასარჩენად.
სხვა არაფერი ქვეყანაზე არ მინდა, ღმერთო!

დაბოლოს მაინც მარტოობას ველტვი ოდინდელს,
რომ უკეთ ჩავხვდე ჩემი გულის ქაოსურ ძგერას,
ჰო, სიყვარულიც მოვა! იცის, როდის მოვიდეს,
დიახ, ჩემს თავთან ვამჯობინებ მარტო დარჩენას
და ხეტიალსაც უცხო გზებზე ვინატრი ერთობ...

ჩემს მარტოობას ნოსტალგია არ ემუქრება,
სამშობლო არ აქვს ლექსს ალალს და ცრემლივით წმინდას;
ადამიანი ხომ საკუთარს ეკუთვნის ნებას,
ჰოდა, ჩემს თავთან მარტოდმარტო დარჩენა მინდა –
შეუცნობელის შეცნობის მწველ ვნებასაც ვერ ვთმობ...

დაბოლოს, რაგინდ ტანჯვასა და წამებას მგვრიდეს,
უძღებ სიტყვათა ფორიაქსაც გავუძლებ მრავალს.
მოვა სიკვდილიც! მანაც იცის, როდის მოვიდეს,
მზადა ვარ გავყვე, მწვერვალზე თუ ფსკერამდე დავალ,
განვიწმინდო და უზენაესს ისე შევერთო.

ამ გზას ვადგავარ, გზას – ჭაღარაშემოსილს მარტო,
უკვე დაწერილ და წაკითხულ ლექსების მერე,
უკვე განცდილი სიყვარულის შემდეგ და ვნატრობ
ტირიფის დუდუკს, ერთ ჯაყვასაც კი შევიფერებ
და ალუჩებით გამობესკნილ ჯიბეთა ფერდებს.

არზუ ქარაღალი

(1975)

ქარიანი აივანი

ამ ღამეებს სულ სხვაგვარი
დამშვენდება აივანი –
ფეხქვეშ რომ გიქროდეს ქარი,
მოგვეფეროს და იანცოს,
შენი ჭმუნვა-მწუხარება
აისისკენ წარიტაცოს;
თუმც პოეტებს და მპარავებს
უყვართ, როცა არვინ არი...
ამ ღამეებს დამშვენდება
ქარიანი აივანი,
რომ მწუხარე ქალბატონებს
შორეთისკენ ჰქონდეთ თვალი...

ჩიტები, ქუჩები, ადამიანები

გადაფრენისას იღლებიან, ნეტავ, ფრთოსნები?
მე კი დამღალა საკუთარი თავის სიშორემ.
ისინი ერთად ათასია, მე კი ოცნების
დავკარგე ნიჭი, მარტოობას ვეღარ ვიშორებ...
სახეტიალოდ მრავალია ქუჩები ერთობ –
უკანა ქუჩა, ქუჩაბანდი, მერე – ჩიხები...
იმათ რომ აწვიმთ, მე ცვარიც კი არ მხვდება, წვეთიც,
გადაიკარებს, მე კი მუდამ აქვე ვიქნები.
რაც ახლოს მიველ, უფრო მეტად რატომ მიგანეს?
ყველა მათგანი შორეული ტაძრის დარია,
ისინი ტურფა ვარდობისთვეს მივამგვანე და
ჩემი თავი კი – შემოდგომას, ისიც – ავდრიანს...
იმათ სათქმელი ჰქონდათ, მე კი, დარდის მთოვარი,
ჩემი ბავშვობის მოგონებებს უხმოდ ვბარდები...
მაინც რა დამრჩა ამ ქალაქში ღირსსახსოვარი –
ჩიტები?
ხალხი?
იქნებ სწორედ ქუჩაბანდები?
და მე, საკუთარ თავისაგან გამოქცეული,
ვარსებობ, ვცხოვრობ, ჩაფიქრებას ხანდახან ვბედავ;
დავალ ეული, დამფრთხალი და სულარეული...
ნუ გამაღვიძებ აისის ჟამს, ამას გთხოვ, დედა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავიწყება

ნეტავ, საიდან მოვედი შენთან,
სიცოცხლევ ჩემო,
ან დასაწყისი, ანდა ბოლო გზისა სად არი?
ფეხებზე სისხლის და წყლულების
მაჩნია კვალი...
სად არი გული?
გონი სად არი?
საიდან საით გავემართე,
ველარ ვიგონებ...
არ მახსოვს,
რომელ მოსახვევში შემოვტრიალდი,
სად შევუხვიე, ისიც არ მახსოვს...
რომელ დარდ-ვარამს
ჩავუდექი კვალში, არ ვიცი,
ან – რას ვგლოვობ და რად გავტიალდი!..
არვინ გამოჩნდა,
თითზე ძაფი შეება მაინც
და არც არავინ დამიტოვა კვალი სავალი,
არ მომძახიან, დაბრუნდიო,
არც სიხარულის
შემრჩენია მე ნატამალი...
სიცოცხლევ ჩემო,
ნეტავ, შენსკენ როგორ ვიარე,
მეგონა,
ზურგზე სავსე იყო ჩემი ხურჯინი...
საიდან მოველ,
სად მივდივარ,
რისთვის ვწრიალებ –
რად დამავიწყდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატომ დავალ ასე მუნჯივით?
სირენების ხმას ავედევნე?
იქნებ – ბავშვების?
იქნებ ქალების ხმები იყო?
იქნებ – ხეების?
ჩიტების, ანდა?
სიცოცხლევ ჩემო,
გპოულობდი, ნეტავი, როგორ?
რა ძალა ჩანდა?
ის დრო თუ იყო,
როცა გული მქონდა ცოცხალი?
ნეტავ, გონებამ ჩემმა შიში თუ დაიჩემა?
ხსოვნა თუ მქონდა
ერთადერთის, დაუვიწყარის?
როგორ ვკვდებოდი, ნეტავ, შენით,
სიცოცხლევ ჩემო?..
აღარ მეცნობა არაფერი,
ხსოვნა გამიწყდა!..
საიდან მოვალ,
სად მივდივარ
ანდა რას ვბედავ,
როგორი ვიყავ,
რა ვარ ახლა, – გადამავიწყდა...
შენთან რა გზებით მოვდიოდი,
სიცოცხლევ, ნეტა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაჯზუნ ღოლანი

(1964)



დედაჩემი მკათათვეში

მკათათვე იყო,
დედაჩემმა რომ მიიძინა...
მაშინ ოქროსფრად ელვარებდნენ პურის ყანები,
არსთაგამრიგემ
ზესთასოფელს რომ გაუყენა
მივიწყებული ჩვენი სოფლიდან...
ჩვენი სამზადის სარკმელი კი იძვროდა ნელა –
ეთხოვებოდა ჩამქრალ თვალებით...
და მამაჩემიც გამოერკვა მაშინ ძილიდან...

თურმე, კოშკურის ცივ მინაზე მიადო თავი
(სხვას რას იზამდა ჯარისკაცი, გუშაგად მდგარი!)
და გაახსენდა დედაჩემი – ძვირფასი ქალი;
გული ჩააწო
მთვარის შუქის მელანში მაშინ,
გულით დაბეჭდა
ღამეული უჟამო ჟამი...
ჩაიხრიგინეს ვაგონებმა კოშკურის გვერდით,
როს მკათათვეში დედამიწა დაობლდა დედით...

ბუღენთ გუღალი

(1954)

მოგზაური

თოთო კვირტივით ნაზად და ქალწულური გზნებით
მთის კალთას ეფინება საღამეული ბინდი.
გულდარდიანი მგზავრი, გადაქანცული გზებით,
არად დაგიდევს ასაკს, ისევ ჯიუტად მიდის
და მწვერვალიდან მქროლავ ქარებით ფილტვებს ივსებს.
მდუმარ აივანს ხიბლი დაჰბრუნებია უკვე
(აქ ოცნებას და ფიქრებს არასდროს არვინ გიშლის!),
ხოლო საღამოს ცისკენ მზირალ აივნის კუთხეს
ჩაუმუხლავს და ვარცხნის ეშხით დალალებს გიშრის.
იდუმალი მთაც მალე გამოიღვიძებს, ალბათ,
და ჩემს ეზოშიც უხვად გადმოიღვრება ხმები
მინდვრების ფერიათა, რითაც ყოველდღე ვტკბები;
რეჰანის სურნელებას დავეწაფები ხარბად...
დიახ, რეჰანის სუნი ახლავს დასასრულ ბილიკს, –
მარადიული ბაღის შეიცავს სურნელს ნეტარს,
მემახსოვრება მუდამ მე ეს საღამო გრილი...
წლები მიჰქრიან სწრაფად თუ ჩვენ ვბერდებით, ნეტა?
ჰო, თუმცა ვერცხლისფერმა უკვე იძალა თმებში,
მაგრამ უჭკნობი ვარდი ისევ გვიფეთქავს მკერდში –
თვალებბრიალა სატრფო ჩიტების მაყრიონით
სარკმელთან ისე მოჩანს, ვითარცა ამბიონი.

ჰუსეინ ფერჰაღი
(1954)



იმრი ულ ქაისი

ცხენების ენა ვიცი, ქალების
იდუმალებაც დამინახია,
თუმც, სამწუხაროდ, ჭორიკანები
მე მაწანწალა ძაღლს მეძახიან.

შემოვლილი მაქვს სახლი ყოველი,
შემორბენილი – ბაღჩა-ბაღები.
შხამიც, იმრი ულ ქაისის მკვლელი,
მეც არაერთჯერ მაქვს ნაგემები.

ოთხით ვირბინე იესრიბამდე,
მერე დავიდე ბინა მექაშიც;
რათა მეხილა პოეტის მხარე,
მე იემენსაც ვეწვიე მაშინ.

ამოქარგული ეგვიპტურ სელზე
ხელნაწერია ოქროცურვილი,
ასი ათასი აქლემით მზეზე
და იმდენივე კითხვის სურვილით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგას იემენი – უდაბნოს კალთას
გადაფენილი საწმისი ვრცელი;
დგას ასი ათას მოჭიქულ თასთა
და ჭრიჭინების საგალობელით.

მე უმი ყავის სიმწარე მხიბლავს,
რძის საოცარი ცისფერი ლილა;
ყურს თუ დაუგდებთ ცრუსა და მჩხიბავს,
სხვათა დარდს არ ვთვლი მე არცა ჩირად.

ნეჯიდი ყვავილთ საბადო არი,
ადენი დაფნის რტოს ედარება;
მზერას ვერ მოსწყვეტს ვერარა თვალი,
როს წითელ ზღვაში მზე შეცურდება.

ავიკვიატე, მადგას ენაზე
და, სურეიას მსგავსად, მეცა მწამს:
„განუყრელია ამ ქვეყანაზე
სიყვარული და ლექსი მარადმჟამს“.

კისერზე ვერცხლის ჯაჭვით და რიხით,
მარცხენა ყურზე – წარმართთ საყურით
ყველა შეიცნობს ქაისის, ვიცი,
თუკი კვლავ მოსვლას დაიმსახურებს.

ყველა სიყვარულს, როგორც ქალაქი,
ინახავს ლექსის ზეშთაგონება,
ერთ დღეს ეს გულიც, ვითარც ზვარაკი,
ანკარის ზეცას დაემონება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იუნუს ემრე

(1238-1321)



ისმინეთ, მეგობრებო

მეგობრებო, სიყვარული მზის დარია, იცოდეთ,
სიყვარულის უმეცარი გული ქვაა, იცოდეთ.

გულქვა როგორ გაიხარებს, შხამს დაიდებს ენაზე,
მისი ნაზი სიტყვებიც კი ჩხუბის ხმაა, იცოდეთ.

მოყვარული გული მუდამ სანთელივით ენთება,
ქვაგულს ვერაფერი ათბობს, შლეგი ზღვაა, იცოდეთ.

მუდამ უფლის გზას მისდიეთ, უფლის კარზე ილოცეთ,
მიჯნურ გულს რომ გზას უნათებს, მაღლით ცაა, იცოდეთ.

ნუ, იუნუს, ნურას შიშობ, დაივიწყე დარდები,
მორწმუნეს რომ დერვიშად ხდის, ტრფობის გზაა, იცოდე.

ავნი თემიზი

(1957)

ჩვენი შავშეთი

თოვლიანი მწვერვალების და ზურმუხტი ბუნების
თუკი ნახვა მოგინდება, თუკი ესალბუნები,
თუ მიირთმევ ქათმერსა და თან ჰაშილსაც გუნებით,
მობრძანდი და ინახულე ჩვენი ტურფა შავშეთი!

თუ არ ნახავ, იცოდე, რომ უარს ამბობ იღბალზე,
ყარაგოლის კამკამა წყლის მოცეკვავე თევზებზე...
გაზაფხულის და ზაფხულის შეგრძნებები ეძებე –
მობრძანდი და მოიარე ჩვენი ტურფა შავშეთი!

დაინახავ, მწვერვალს ყინჩად ყიზგოლი ახურია,
თოვლილიან და ნისლიან ველს, მზის სხივი რომ სწყურია...
აქ ყველაზე ლამაზი ხომ მაინც გაზაფხულია! –
უნდა მოიწადინო და ნახო ჩვენი შავშეთი!

ვერ დაითვლი ამ მხარეში მწვანე ფერთა სიუხვეს,
დარდს და ნაღველს დაგავიწყებს, ამ წალკოტს თუ მიუხველ;
ღირსეული ხალხის ხილვა თუკი შენს სულს მოალხენს,
მობრძანდი და ინახულე ჩვენი ტურფა შავშეთი!

აქ მოყვასის სიყვარული ამ მთებივით დიდია,
ამ მთა-ბარის გამოცანას ვერ მიხვდება მინდიაც...
აქ უსტუმროდ მასპინძლისთვის ნათელიც კი ბინდია,
მაშ, მობრძანდი, მოიარე ჩვენი ტურფა შავშეთი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაჰსეთი განჯევი

(1089-1181)

რუბაიები

*
* *

რა გამოულევს შეყვარებულს წუხილს და სევდას,
კაეშნით სავსე მის გულს მუდამ ისარი სდევს და
მიესათუთეთ თქვენს მიჯნურებს, გულს ნუ მოუკლავთ
და ცოდვა-მადლის განკითხვის დღეს ნუ დაუბედავთ.

*
* *

ვარდის ფურცლები შეაყარა მთვრალებს ნიავმა,
მოვიდა სატრფო და გულებში გრძნობამ იალა,
მერე წაიღო ეს სურნელი, ფხიზლებს ეახლა,
მათაც შეასვა სიყვარულით სავსე ფიალა.

მავჯუდა ჰაქიმოვა

(1932-1993)

იმედის ნიავი

შენს სიკეთეს ვაშუქებ და სანთელივით დავდნი, განა,
ღრუბელი ვარ და ცრემლები ბაგეებზე დამდის, განა,
ცეცხლსა და წყალს შუაში ვარ, ეჭვის ჭიამ დამაღონა,
დღე და ღამე ერთი გახდა ჩემთვის შენზე დარდისგანა!
ხან შეგხვდები და უკუნი განთიადად გადიქცევა
და იმედის ნაპერწკალი სულში სხივად ჩადის, განა.
შენი ხილვის იმედი რომ ნიავივით ჩაიქროლებს,
გავიხარებ, გავცოცხლდები – ჩემ იმედად მყავდი, განა!
მავჯუდას გულს ტრფიალების ცხრათვალა მზე ესალბუნა
და სურს, აღმოსავლით ყველას ერტყას ამ მზის ფარდი, განა.

მურათჰან მუნგანი

(1955)



*
* *

ჩემო ძვირფასო, საყვარელო, ობოლო ჩემო,
თვეები რბიან, მაგრამ ეს დრო ვინ გააჩერა!
ჩარაზულია ყველა კარი, ქვეყანა ჯერაც
გათოშილია, ჩამდნარია ნისლისფერ ბინდში
და ამჩნევს ჩემი გაყინული თვალების მზერა,
ეს უმოქმედო ცხოვრება რომ მიდის და მიდის...

ორივეს ნაცვლად ვეწაფები სიმღერებს დღემდე,
სიმღერებს, შენ რომ აგრერიგად გიყვარდა, გზნებით,
ძილის წინ ვიცმევ შენს მაისურს, ჯემპრეს ან პერანგს
და გახვეულნი შენს სურნელში, ჩემი თვალები
გხედავენ სიზმრად, მკვდარივით რომ დამეძინება,
გათენდება და ყავის ფინჯანს მივებარები...

არ ვაღებ კარებს, არ ვპასუხობ ტელეფონის ზარს,
ჰო, მე ჯიუტად დავუჯექი თავსასთუმალთან
იმ მოგონებებს, მომავალი რომ არსაით ჩანს...
რარიგ მიცინი, საყვარელო, რარიგ მიცინი...
მე მიხარია ამ ალალი ღიმილის ნახვა!
ვაგლახ, ამ შენმა სურათებმა ხომ არ იციან,
ხომ არ იციან, რომ აღარა ხარ!..

ჰასან ჰელიმიში
(1907-1976)



აი, ცეკვა ლაზური

ვაჟკაცურად რომ მღერიხარ,
სადაური ხარ, ნეტა?
თუ იცი ცეკვა ლაზური?
ვისგან ისწავლე, ნეტა?

აი, იცეკვე ჭანური,
თან ჩააქსოვე სული!
მოდი და ჩემგან ისწავლე
ეს ცეკვა ძველებური!

რას შვრები, ეს რა როკვაა,
ამას რა უნდა ერქვას!
ბაბუაჩემის ცეკვას –
ძველებურ ლაზურს ვცეკვავ!

მე ამაყოლე ფეხი და
იყავი მუდამ ფხიანი!
სხვისი მსახური რაკი ხარ,
ჭკვიანი იყავ, ჭკვიანი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოფელებს ისევ ვუმღერ ლაზურად

ხოფელებისთვის გავმხდარვარ უცხო,
თუმც ხოფაშია კვლავ ჩემი გული
და, ვიდრე გული ხოფაში არი,
არ ამომივა ტანჯული სული.
გამიშვერია ხოფისკენ ხელი,
ხოფელებისთვის ლაზურად ვმღერი.

> რა ვქნა, რა ვქნა, ვის მივენდო,
> გამიმწარდა ყოფა!
> სულო, გულო, საით დარჩი,
> მშობლიურო ხოფა!

ხოფაში არ მაქვს მიწა და ღობე,
არც სახლი და არც – თავს ზემოთ ჭერი;
დავიარები ძმას მონატრული,
მიუსაფარი, დერვიში, ხელი...
სადაც ვაღამებ, იქვე ვათენებ
და ყველგან ისევ ლაზურად ვმღერი.

> რა ვქნა, რა ვქნა, ვის მივენდო,
> გამიმწარდა ყოფა!
> სულო, გულო, ერთხელ მაინც
> დამენახე, ხოფა!

იქ დამირწია დედამ აკვანი,
იქ შრომობდა ბარითა და ხელით,
იქ, ხოფაში, ალბათ გახსოვთ, ძმებო,
ჩვენც ჩავყარეთ სახლის საძირკველი,
მაგრამ ახლა უსახლკაროდ დავალ
და, ეული, კვლავ ლაზურად ვმღერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ვქნა, რა ვქნა, ვის მივენდო,
გამიმწარდა ყოფა!
სულო, გულო, ერთხელ მაინც
დამენახე, ხოფა!

ლაზებისთვის მე ხომ ბევრი ვიწვალე,
განვიცადე მძიმე განსაცდელი;
რაც ვიყავი, ისევ იმად დავრჩი და
სრულებითაც არ შემცვლია ფერი.
თავზე ჭინჭრის ამოსვლა თუ დამაკლდა,
მაგრამ მაინც კვლავ ლაზურად ვმღერი.

რა ვქნა, რა ვქნა, ვის მივენდო,
გამიმწარდა ყოფა!
სულო, გულო, ნუთუ ვეღარ
დაგინახავ, ხოფა!

ყველა ხოფელს ბრძენი როდი ვგონივარ,
ზოგისათვის უფრო გავხდი შტერი.
ასეთია ჩემი ბედი, რას იზამ,
ამ იღბალსაც დღემდე გავუძელი.
ბევრჯერ ხელში ოქროც მექცა ნახშირად,
მე კი მაინც კვლავ ლაზურად ვმღერი.

რა ვქნა, რა ვქნა, ვის მივენდო,
გამიმწარდა ყოფა!
სულო, გულო, საით დარჩი,
მშობლიურო ხოფა!

მოვკვდები და ჩემი ლექსი დარჩება
და იცოცხლებს კვლავ სახელი ჩემი.
ზოგი ლაზი შემიბრალებს, ეგება,
ზოგისთვის კი კვლავ დავრჩები შტერი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანამდე კი, ასე მიუსაფარი,
ხოფელთათვის კვლავ ლაზურად ვმღერი.

რა ვქნა, რა ვქნა, ვის მივენდო,
გამიმწარდა ყოფა!
სულო, გულო, ნუთუ ვეღარ
დაგინახავ, ხოფა!

ბრიყვი არ ვარ, არც – სულელი, კარგებო,
სიღარიბე სათაკილო არ არი!
ჩემი შრომით ლუკმას ვჭამ და ვარსებობ,
მე არავის ვემონები, ალალი,
არც ვარ ვინმეს სიამაყის მტერი,
ხოფელთათვის კი ლაზურად ვმღერი.

რა ვქნა, რა ვქნა, ვის მივენდო,
გამიმწარდა ყოფა!
სულო, გულო, საით დარჩი,
მშობლიურო ხოფა!

ვიდრე თბილი სისხლი გვიდუღს ძარღვებში,
წუთისოფლის სტუმრები ვართ ნაფერი.
თავს ზემოთ კი ჭინჭარი რომ ამოვა,
მიწის ზემოთ დაგვრჩება ყველაფერი.
მანამდე კი, ასე განაწამები,
ხოფელთათვის კვლავ ლაზურად ვმღერი.

ეს ქვეყანა ძუნწი არი,
დაიხსომო ეგება.
სუდარის და კუბოს მეტი
არაფერი გერგება!

დრო დადგება, მიწასაც არ შერჩები,
შენი კვალი პირწმინდად წაიშლება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

წუთისოფელს დააკლდება არც რა,
ყველაფერი ძველებურად იქნება –
ცაზე კვლავაც იბრწყინებენ ვარსკვლავნი,
მანამდე კი აღარც ღირს დაფიქრება.

ქვეყნად უშენოდ რაც იყო,
მერეც ისევ ის იქნება;
ასე ყოფილა ძველთაგან,
არავის არ ეკითხება.

ეს ლექსებიც განა მართლა ჩემია,
ქვეყნად ვარ და ქვეყნისაა მხოლოდ;
ხვალ კი, როცა ლაზურს ველარ ვიმღერებ,
როცა უკვე მომეღება ბოლო,
ვერ გავიგებ, სხვები რას იმღერებენ,
მანამდე კი უნდა გამიგონო:

მუხთალია ეს სოფელი,
დაიხსომე კარგად;
არ არსებობს არაფერი
საიქიოს გარდა.

მე თბილისი უცხოდ არ მიმაჩნია,
თუნდ მამისგან ვიყო უარყოფილი;
ცხოვრებამ გულს ბევრი ჭდე დამაჩნია,
მაინც ვხედნე ჩემი წუთისოფელი;
სააქაოს არ ვყოფილვარ ზვარაკი,
არად მიჩნდა საიქიოს არაკი.

ბრიყვი არ ვარ, დამიჯერეთ,
გულმართალი ლაზი ვარ!
საუკუნის შვილი ვარ და
ჩემი დროის საზი ვარ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ დავიკარგები[1]

შორს ვარ, მაგრამ განა დავიკარგები,
ვნატრობ ლაზეთს – ჩემს სათუთ ნაბინავარს...
მე სად ვარ და თქვენ კი – სადა, კარგებო,
ბევრი მსინჯეს, ვერ კი მიცნეს, ვინა ვარ.

ბედისწერამ ნარიმს ყოფნა მარგუნა,
ნუთუ აქვე გამითხრიან სამარეს!
მოვა დრო და ჩემს ძვლებს მოიკითხავენ,
ჩემს ნაწერებს არვინ დაასამარებს.

მართალ სიტყვას თოვლი ვეღარ დაფარავს,
ნარიმის მზეც იჩახჩახებს თაღებად;

დადგება დრო და ეს თოვლიც დადნება,
ალალ სიტყვას ყინვა შემოალღვება.

ამ ყინვაში ნარიმს მარტო როდი ვარ,
ჩემთან არის მზე – სიცოცხლის მთოვარი.
მეც ვიცოცხლებ, ვიდრე ეს მზე ანათებს,
დამიჯერეთ, ვარ ამისი მთხოვარი.

[1] ლექსი დაწერილია გადასახლებაში ყოფნისას ციმბირში, ნარიმას მხარეში, ქ. ვასიუგანში 1949 წელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოცი წლით მოვსულვართ[1]

გადმოგვასახლეს ოცი წლით,
ეს წლებიც მალე გავა.
ღმერთით, აქ არ გავთავდებით,
აქ არ ჩავრჩებით, არა!
გადასახლების ვადები
მუდამ ზუსტია განა?

> რა ვქნა, რა ვქნა, ვის მივენდო,
> გამიმწარდა ყოფა!
> სულო, გულო, საით დარჩი,
> მშობლიურო ხოფა!

ჩვენი სარფი

ჩვენს სარფს ამშვენებს ბულბულთა მღერა,
თუ არ გინახავთ მობრძანდით, გელით!
ნახავთ ყვავილნარს ლიმონ-ფორთოხლის,
მათ სურნელებას შეიგრძნობთ ლხენით.

> გამოღმა სარფი, გამოღმა სარფი,
> უფალი მის მკვიდრთ სიხარულს აფენს.

აქ ფერდობებიც იღიმებიან,
ბულბულის სტვენა ყვავილნარს ავსებს;
ზღვისპირეთს სძინავს სიმყუდროვეში,
დაჰქრის ნიავი სურნელით სავსე.

---

[1] ლექსი დაწერილია გადასახლებაში ყოფნისას ციმბირში, ნარიმას მხარეში, ქ. ვასიუგანში 1949 წელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოღმა სარფი, გამოღმა სარფი,
უფალი მის მკვიდრთ სიხარულს აფენს.

ხასხასა ჩაის კრეფენ ქალები,
თანაც ლაზურად ტკბილად მღერიან;
დაფრენენ ხიდან ხეზე ჩიტები,
აქ ხომ ქვაც და ხეც ბედნიერია!

გამოღმა სარფი, გამოღმა სარფი,
უფალი მის მკვიდრთ სიხარულს აფენს.

აი, სარფელი ყმაწვილი ქალი!..
მახსოვს, ჩაიში ადრეც მოვიდა.
ღირს მისი ქება, ლამაზი არი,
ის კი ლაზურად მიმღერს შორიდან...

გამოღმა სარფი, გამოღმა სარფი,
უფალი მის მკვიდრთ სიხარულს აფენს.

საზღვრის ღელე

საზღვრის ღელეო, საზღვარი არ ხარ,
შენ ორ ძმას შორის ცრემლი ხარ მწარე,
შენც ხომ ჩემსავით გულდამწვარი ხარ,
ასე უგულოდ ზღვას ჩამდინარე!

ძმათა გაყოფა ვინ დაგასწავლა?
მე გული კვლავაც დამრჩა მცხუნვარე;
ვერ გააცია ციმბირის ყინვამ,
კვლავ ცოცხალია, გაუხუნარი!

ვიცი, რომ ჩემი ხარ მოიმედე,
ვაგლახ, არა მაქვს მოსართმეველი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაცლილ სხეულში ეს გული მიდევს –
მარად თბილი და დაულეველი.

არ დამიკარგავს ერთგული გული,
უცხოობამ ვერ გადამაშენა.
ტანჯულ სხეულში კვლავ მიდგას სული,
რათა ლაზურად გიმღერო შენა.

ექიმო[1]

სად მტკივა და სად მიბერავ სულს! –
ვის ვუნდივარ, ვისთვის გავლამაზდები?..
შენც, ექიმი, ვერ მიპოვი გულს,
ვიდრე მყვანან მე ობოლი ლაზები.

შენ არა ხარ ჩემი დარდის მკურნალი,
სულ სხვა არის ჩემი გულის ხინჯები –
წყლულით სავსე გული ტანში როდი მაქვს,
ნუ, ექიმო, ამაოდ ნუ ირჯები!

რუსულად ვთქვა თუ ლაზურად გიამბო,
დარდმა როგორ დამაბერა, რა მომდის;
გულს ვერ ნახავ ამ ცარიელ სხეულში,
უგულოდ კი სულიც აღარ ამოდის.

მაჯა აქ სცემს, გული – მშობელ მდელოზე,
თუმც მისი ხმა ლაზებს არ ეყურებათ;
ოცი გრძელი წელიწადი მელოდნენ,
შენ ამაოდ ცდილობ ჩემს განკურნებას.

[1] ლექსი დაწერილია გადასახლებაში ყოფნისას ციმბირში, ნარიმას მხარეში, ქ. ვასიუგანში 1951 წელს. „ფილტვების ანთება მქონდა და ექიმი მსინჯავდა; ამ დროს გამოვთქვი და დავწერე ეს ბირაფაო,“ – უთხრა ხასანმა ჩამწერს – ზურაბ თანდილავას 1960 წელს ქ. სოხუმში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქ ხორცით ვარ, დარდისაგან დაგული,
უგულოდ კი რას უშველი იარებს!
ლაზეთს ხეზე შემრჩენია მე გული,
იქ წითელი ვაშლივით რომ ბდღვრიალებს.

რომ დაგეცეს ქვა და ხე[1]

რომ დაგეცეს ქვა და ხე,
სხვას არ მისცე დაი შენი, –
სიძეობა მე შემშვენის.

ჰელესსა ჯალესსა,
ჰეჯამოლი ჯასსა, ჯისსა ჰოჯ.

თვალგიშერა გოგოვ მწველო,
რად ხარ ასე საყვარელი,
განა საქმროს აღარ ელი?

ჰელესსა ჯალესსა,
ჰეჯამოლი ჯასსა, ჯისსა ჰოჯ.

გინათდება თვალთა ტევრი,
დაგავიწყდა სიკეთენი,
ასე უნდა დასწვა ბევრი?

ჰელესსა ჯალესსა,
ჰეჯამოლი ჯასსა, ჯისსა ჰოჯ.

[1] ლექსი დაწერილია 1931 წელს ქ. ხოფაში. ჩაიწერა ზურაბ თანდილავამ 1960 წელს ქ. სოხუმში ავტორისაგან.

შავო ბიჭო

ქ ა ლ ე ბ ი:
– ცეცხლში გამოწრთობილია,
შენი შავი თვალები;
შავო ბიჭო, შავო ბიჭო,
შენი შავი თვალები!

მაგ ახალი ჩოხა-ძიქვით
ცეკვავ ნიავ-ქარივით;
შავო ბიჭო, შავო ბიჭო,
ცეკვავ ნიავ-ქარივით!

გეტყობა, რომ ფირალი ხარ,
გიკრიალებს სავაზნე;
შავო ბიჭო, შავო ბიჭო,
გიკრიალებს სავაზნე!

თუ მძიმეა, ძირს დააგდე
შენი ტყავის ხურჯინი;
შავო ბიჭო, შავო ბიჭო,
ძირს დააგდე ხურჯინი!

რომ იცოდე, როგორ გშვენის
ყაბალახი სირმებით!
შავო ბიჭო, როგორ გშვენის
ყაბალახი სირმებით!

აგრე რატომ ჩამოუშვი
ულვაშები თავდაღმა?
შავო ბიჭო, რად დაუშვი
ულვაშები თავდაღმა?

ვ ა ჟ ე ბ ი:
– ეშინიათ ქალიშვილებს,
აღმა არ ვიყურები;
ქალიშვილო, ქალიშვილო,
აღმა არ ვიყურები!

ქ ა ლ ე ბ ი:
– მითხარი, რომ დავისწავლო,
ბიჭო, შენი სახელი!
შავო ბიჭო, შავო ბიჭო,
მითხარ შენი სახელი!

ვ ა ჟ ე ბ ი:
– ზოგიერთი ლაზს მიწოდებს,
ზოგიერთი კი – ჭანსა;
ქალიშვილო, ქალიშვილო,
ზოგი მეძახის ჭანსა.

ქ ა ლ ე ბ ი:
– ნეტარება შენსა ბედსა,
ვენაცვალე შენს სახელს!
შავო ბიჭო, შავო ბიჭო,
ვენაცვალე შენს სახელს!

სიძე-პატარძლის დალოცვა

ისე ტკბილად შეაბერდით ერთმანეთს,
ვით ეს ღვინო, ბადაგივით ტკბილი!
თქვენი ფრთის ქვეშ, როგორც ფუტკრის მართვენი,
გაგიმრავლოთ ძე და შვილთაშვილი!

იცოცხლეთ და ინეტარეთ მუდამ,
ცხოვრებაში სულ სიმართლით იარეთ!
ყველასაგან დალოცვილი იყავით
და სიკეთით სული გაიმზიანეთ!

ცოლი დასტიროდა ქმარს

დასტიროდა ცოლი ქმარსა
დარდითა და მწუხრით სავსე,
მოთქვამდა და მოითვლიდა,
ჩასძახოდა ბედკრულს ასე:

– ამ შენს ახალ ჩოხა-ძიქვას,
შენს შავ ქუდს და ახალ დანას
ვის უტოვებ, ნეტავ, ვისა?
ნეტავი, არ დაგენანა?

– ნუთუ მართლა ექნებოდა?! –
გაუკვირდათ ძალზე ქალებს
და ცოლს ჰკითხეს: – მართლა ჰქონდა,
რაც ტირილში ჩამოთვალე?

– ქონებით სად ექნებოდა,
სურვილი კი ჰქონდა გულით,
მხოლოდ მათზე ოცნებობდა,
ნატრობდაო ცხონებული...

დალიე ყურძნის წითელი წვენი

დალიე ყურძნის წითელი წვენი,
დაგეუფლება მადა ცხოველი;
გაქრება ყველა ჯავრი, წუხილი,
როს გაგითბება ძარღვი ყოველი.

განა ამქვეყნად იქნები მუდამ,
სვი ყურძნის წვენი, დარდი გაფანტე!

ყანწი ბოლომდე დაცალო უნდა,
თუ ღვინოს გულის წუხილი ანდე.

ვიდრე დაიყრი ცხრა მტკაველ მიწას,
ღვინოს ეძალე, წყალიც ნუ გინდა;
შენ ცარიელი მოხველ ამქვეყნად,
იმქვეყნად ღვინოს წაიღებ მინდად.

უხვად შეირგე სიამე სოფლის,
თუ არ იმარჯვე, ვინ რას გიშველის;
ნუ ელოდები სიკეთეს უფლის,
შიშველი მოხველ, წახვალ შიშველი.

სიტყვა გქონდეს კაცური

კაცი თუ ხარ, სიტყვაც გქონდეს კაცური,
სხვათა ზურგზე გამდიდრება ნუ გსურს!
შიმშილისგან სული გაგძვრეს, სჯობია,
ტყუილებით საჭმლისათვის სუნსულს.

მართალი თქვი, თუნდ სიკვდილიც გელოდეს,
ჩვევად გქონდეს სწორად თვალის ახელა;
ნუ აყვები ავყიებს და ავგულებს,
თორემ მზად გაქვს წუწკი ძაღლის სახელი.

სიტყვა განა გასაყიდი მსხალია,
კაცმა სიტყვას ფასი უნდა დასდო!
სიმართლე თქვი და სიმართლე წერე,
ტყუილებით ნუ ეძიებ საზრდოს!

ალექსანდრე პუშკინი
(1799-1837)

მე თქვენ მიყვარდით...

მე თქვენ მიყვარდით... ჩემში ეს გზნება
ალბათ, ბოლომდე არც დანაცრულა.
თქვენ არ ინაღვლოთ! ეს აღსარება
აწ აღარაფერს გავალებთ სულაც.

მიყვარდით ნაზად, უხმოდ, გულწრფელად...
იმ სატანჯველით მე დღემდე ვხარობ
და უფალს შევთხოვ, ისე ძლიერად
ოდესმე სხვამაც რომ შეგიყვაროთ!

*
* *

მოყვასნო ჩემნო, მომეცით ნება,[1]
ამ სულიერი მარტვილობისას
კვლავ დიდებული გაზაფხულისა
რომ მოგილოცოთ შემობრძანება!

ჩაიმარცვლება, ჩაიქილიკებს
ყველა ნაღველი, შფოთი და ვნება,
ბაღნარი ისევ აფერადდება,
კვლავ დავადგებით ნანატრ ბილიკებს.

[1] ალექსანდრე პუშკინმა ეს ლექსი დაწერა ქოლერის კარანტინში ყოფნისას ბოროდინოში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გონებას ვუხმოთ საშველად უნდა
და ცოდნის ძალით შევებათ სნებას,
ერთობა იყოს დღეს ჩვენი მცნება, –
უნდა შევიკრათ ყველა ერთ გუნდად!

გავხდებით უფრო ბრძენნი და მთმენნი,
არ დავნებდებით თუკი ამ წყვდიადს,
სიკეთის გზას თუ გავყვებით დიადს,
თუ სულს გავუთბობთ ერთმანეთს ლხენით.

დე, საზეიმო ტრაპეზზე გვესმას
კვლავ ძველებური ხალისი, ტაში!
ბედნიერება მომადლოს მაშინ
ჩვენს ყველა ოჯახს უზენაესმა!

*
* *

მახსოვს ის წამი
უცხო,
თავნება,
ჩემ წინ რომ გაკრთი,
როგორც ფერია;
ნეტავ, ეს იყო
მხოლოდ ზმანება
თუ საოცარი
ხიბლის გენია!

დიმიტრი ვენევიტინოვი

(1805-1827)

*
* *

სიცოცხლის ველზე დღენი ჩემნი ვიდოდნენ მშვიდად,
ოცნებებით და სიხარულით ვიყავი სავსე;
ჩემს ფანტაზიას აპურებდა, სიამეს მგვრიდა
სამშობლო ჩემი თვალწარმტაცი – მზე და სინაზე.

თუმც გრძნობა იგი – სულიერი ჩემი ზეობა
ბოროტი ძალით დაიმსხვრა და სევდამ დაფარა;
ჩამიქრა სხივი, ჩაინავლა კეთილდღეობა
და მოგონების გარდა უკვე შემრჩა არარა!

მუზავ, შევიცან ხიბლი შენი, მე რომ მიყვარდა!
ვიგემე ტალღის ულმობლობა, ისრებიც ელვის,
ჭექა-ქუხილიც ჩამესმოდა, ხმებიც გრიგალთა:

რა შეედრება, მომღერალი როდესაც მღერის
ვნებით აღვსილი!.. შემინდე და, აღზრდილი როცა
გაწირე შენი, დაღუპე და ის მაინც გლოცავს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხეილ ლერმონტოვი

(1814-1841)

შენ მიმატოვე

დამტოვე, მაგრამ შენი ხატება
გადავაბარე ამ გულს ნამშვილდევს,
ვით სახსოვარი გარდასულ დღეთა,
რაიც, უბედურს, ასე მამშვიდებს.

მრავალგვარ ვნების აგორდა გუნდა,
გულს მხოლოდ შენი ტრფიალი უნდა! –
საკურთხეველი წმინდაა მუდამ,
კერპიც კერპია, დაიმსხვრეს თუნდაც.

*
* *

როს იღიმები, ნანატრო ქალო,
გული მზის სხივით გადამევსება
და მაშინ მინდა, გადმოგიშალო
რასაც ეს გული მეჩურჩულება.

როცა ვიგონებ დღეებს გარდასულს,
მინდა, გაგენდო, ძალიან მინდა:
ვწყევლი, თან ვლოცავ და ვიწამებ სულს –
თვალთაგან ცრემლი მოწვეთავს წმინდა,

რადგანაც, ჩემო, თუ არ მოგელი,
შენი მგზნებარე მზერის გარეშე,
ვით ცა უღმერთოდ, ვარ ცარიელი,
სევდა-ვარამი მომითარეშებს.

ეს ახირება სულს შერჩენია –
ხო, სანატრელო, იმ დღეებს ვლოცავ,
ბედნიერებად ის დრო მჩენია,
როცა გულს მტკენდი, მტანჯავდი როცა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აპოლონ მაიკოვი
(1821-1897)



ქრისტე აღდგა!

სიკეთე დუღს ყველგან ახლა,
ტაძრებს ელტვის ხალხის ტალღა,
აისი დგას ზეცის კართან –
ქრისტე აღდგა!
ქრისტე აღდგა!

თოვლის საბანს ვერსად ნახავ,
მდინარე კი ნაპირს ლახავს,
ტყეს ზურმუხტის თაღი ადგას –
ქრისტე აღდგა!
ქრისტე აღდგა!

დედამიწა იფშვნეტს თვალებს,
იმოსება ველი მწვანედ,
გაზაფხული კარს მოგვადგა –
ქრისტე აღდგა!
ქრისტე აღდგა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლევ მეი
(1822-1862)

შოგა

რა დრო იყო და რა აცხადება
წინასწარმეტყველთ სიტყვების ყოვლის! –
ზეცით მოფრინდა ანგელოზთ წყება,
აღმოსავლითგან – ვარსკვლავთა ხომლი!

სამყარო დიდხანს ელოდა მხსნელს და
ღარიბ ბაგაში, ბეთლეჰემს შინა,
ედემის ტკბილი ჰანგი რომ სდევდა,
ნანატრი ჩვილი გამოაბრწყინა!

იგორ სევერიანინი (ლოტარევი)

(1887-1941)



ყველა ერთსა და იმავეს უბნობს

მონასტრის ბაღის მწვანე უბეში
ბულბულები, ვით მგოსანნი ყველა,
ხმობენ, არისო ქვეყნად ნუგეში –
მას სიყვარული ჰქვია სახელად.

მონასტრის ბაღის ყვავილთა დასი
ჩვეულ სურნელის ფიანდაზს აგებს
და ხმობს: ჯილდოა უზენაესი –
სასიყვარულო იგემო ბაგე.

ტბები მონასტრის, ტყეების ბადე –
სავანე ცისფერ მტრედების გუნდთა
უბნობენ: არ არს სხვა სილაჟვარდე
თვინიერ მზერის შეყვარებულთა.

*
* *

საგაზაფხულო ვნებასა და ზეობას სულის
ისე შერწყმია, ისე ცხოვლად ღვთიური სახე,
სამარადჟამოდ ჩავიბეჭდე, რაც დავინახე –
ლამაზი იყო უჩვეულოდ... წრეგადასულად...

ფაფუკი თმები, მოლივლივე მთვარის ნათელით,
ველარ დახატა, ამოდ დაშვრა ფუნჯი მხატვრისა;
გამოხედვა კი – ნაღველჩამდგარ თვალთა მატრიცა,
ღრმა მწუხარებით ელვარებდა, როგორც სანთელი.

საოცარია: ხელში ჩამრჩა სასოწარკვეთა,
თუმც ეს სურათი გარდასული დროა და ჯერაც
კაბინეტიდან, სად მეფობდა უსაზღვრო სევდა,

სარკმლის გადაღმა მიმართულა უსასო მზერა...
უსამანოა ეს ტკივილიც და ვიცი, ბედად
გაჰყვება ხსოვნას საუკუნოდ, ვით – ბედისწერა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამუილ მარშაკი

(1887-1964)

*
* *

კალენდარი ქარმა ააშრიალა,
ბოლო კვირის გააშიშვლა დღეები;
დაურბინა ივნისს, მერე – იანვარს
და აპრილსაც არ დააკლო ფერება.

ორი-სამი დღეც ერია სალხენად,
თუმცა არც ერთი გადაშალა სათნომ, –
გამიფრთხილდა, აღარ გამახსენა,
რაც დავკარგე, რაც გულს დღემდე ადნობს.

ROBERT ROJESTVENSKI
(1932-1994)

*
* *

სიყვარულს ჩემში სძინებია მრავალი წელი,
ეს სიტყვა ჩემთვის იყო მუნჯი, არაფრისმთქმელი;
ის დროს ელოდა – უჩინარი, ღრმად ჩამალული,
გამოიღვიძა და მომაპყრო თვალები მწველი!

ახლა მე არა, სიყვარული ამღერდა ჩემში,
მისი ექოა, მთელ სამყაროს რომ ეფინება!
მოვიდა იგი, როგორც მოდის აისის ეშხი,
სიყვარულია, ხან რომ ვტირი, ხან მეცინება!

და აი, ჩემ წინ გადიშალა მთელი პლანეტა...
არ განელდება, ვითარცა მზე, ეს სიხარული!
ვერ გაექცევი ამ ცეცხლის ალს მწველსა და ნეტარს,
საცა გინდ იყო, დაგეწევა შენ სიყვარული!

სიყვარულს ჩემში სძინებია მრავალი წელი,
ეს სიტყვა ჩემთვის იყო მუნჯი, არაფრისმთქმელი;
ის დროს ელოდა – უჩინარი, გადამალული,
გამოიღვიძა და მომაპყრო თვალები მწველი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონსტანტინე ბალმონტი

(1867-1942)

ორი სამყარო

გარდასულ დროის შეწირულთა ხმამ მიკარნახა –
მზეს სვამდნენ, როგორც ჩვენ ვსვამთ ღვინოს იდუმალ გზნებით,
მთვარესთან ერთად ჩაიფერფლნენ ერთსულოვნებით...
ისიც იცოდნენ, რომ იქცევა სული ბალახად.

მუდამ ჩამესმის ზართა რეკვა და ვაი-ვიში,
უკიდეგანო სივრცეში რომ მიმოაქვთ ხმები:
გამოიჭედა სულ ახალი უკვე ჯაჭვები
სულებისათვის, ვინც იგემეს სიკვდილის შიში!

მე იმ ძველებთან ვახლობლობ და მათი ვიწამე,
სიმართლის სხივით რომ უბრწყინავთ სახე დამწვარი,
სამარადისოდ რომ ჩაეკვრნენ მშობლიურ მიწას

და, გარინდულნი, ვალმოხდილნი – ზვარაკნი მთვარის
სდევენ ჟამთასვლას... გვანიჭებენ ბედნიერ წამებს,
დაგვაპურეს და უხმოდ გაჰყვნენ სიკვდილის ქარებს...

ანა ახმატოვა
(1889-1966)

წარწერა წიგნზე

„რასაცა გასცემ – შენია“
შოთა რუსთაველი

რომელ ნანგრევებს ერწყმის ჩემი ხმა,
რომელ ზვავიდან გავყვირი გზნებით!
ვიწვი ავბედით სარდაფის მიღმა
ვერდაფარული ამბების ვნებით.

გარდვისახები მდუმარე ზამთრად,
კარს სამუდამოდ გავიჯახუნებ,
თუმც, შეიცნობენ მაინც ჩემს ხმას და
ნდობასაც ისევ დავიმსახურებ.

ბოლო სადღეგრძელო

მე ვადღეგრძელებ
სახლს შემორღვეულს,
თავზე დამხობილ სვეს,
შენს გვერდით რომ ვარ და ვგავარ ეულს
და გადღეგრძელებ დღეს, –

მე ვადღეგრძელებ
ბაგეებს ორპირს,
მზერას გაყინულ წვეთის,
ვსვამ სადღეგრძელოს მუხთალი სოფლის
და შემომწყრალი ღმერთის...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბორის პასტერნაკი

(1890-1960)

*
* *

მძიმე ჯვარია ზოგის ტრფიალი,
შენ კი – მარტივად ლამაზი ქალი;
სიმშვენიერის შენის ციალი
ყოფნა-არყოფნის არაკი არი.

გაზაფხულს მოაქვს სიზმართა ცხადი
ჭეშმარიტების შრიალის ჩენით;
შენც ამგვარი ხარ – როგორც ლაჟვარდი,
უანგაროა ფიქრები შენი.

იღვიძებდე და იყო ფხიზელი,
გულს არ შეახო ბილწი და ბნელი;
მერე იცხოვრო ასე უზადოდ,
თურმე, არც ისე ყოფილა ძნელი!

მარინა ცვეტაევა

(1892-1941)

*
* *

ვერ მომიხურავ ვერასდროს კარებს:
ვინ აუქნია გაზაფხულს ხელი?!
ვიცი, რომ თითსაც ვერ დამაკარებ:
ძილშიაც ისე ნაზად გიმღერი!
ვერ დაამცირებ ღირსებას ჩემსას:
მე წყარო მქვია ბაგეთ მშველელი!
ვერ მიმატოვებ ვერასდროს ვერსად:
კარღია სახლი გაქვს ცარიელი!

*
* *

...მხოლოდ თქვენს გვერდით ყოფნა მინდოდა,
თქვენს ქალაქს გულით შევიყვარებდი,
სადაც მუდმივად მეფობს ბინდი და
გამუდმებულად რეკენ ზარები.
სადაც სასტუმრო პატარა, მყუდრო
ძველ საათების ტიკტიკს ნებდება
და მათ დახვეწილ ხმაში საწუთრო
მიედინება დროის წვეთებად.
სად ღამით ისმის ფლეიტის ხმები,
უკრავს ვიღაცა მიღმა მანსარდის,
ფანჯრის რაფაზე ჩანან ტოტები.
ჰო, შესაძლოა, არც კი გიყვარდით...

*
* *

ახალ წელიწადს შევხვდი ეული,
მე, უმდიდრესი, უპოვრად ვიქეც,
მე, ფრთებშესხმული, გავხდი წყეული.
იქ, სადაც იყო შეკრული მტკიცედ
მრავალი სული და ღვინოც მთვრალებს
შეესვათ ბევრი... და, ფრთებშესხმული,
იყო ეული, ვითარცა მთვარე,
სარკმლის თვალებში გამომწყვდეული.

*
* *

ქარაფშუტობავ – კეთილო ცოდვავ,
თანამგზავრო და მტერო, გნებდები!
თვალებს ღიმილი შენიდან მოსდგამთ,
ძარღვებს „მაზურკის“ უბოძე ფრთები.

მასწავლე, ვუთხრა უარი ბეჭდებს,
ცხოვრებამ რომ არ მარგუნა სულაც!
სასრული მქონდეს მე ალალბედზე,
დასაწყისი კი ვპოვო სასრულად.

ვიყო ბალახის ღეროც, ფოლადიც,
რომ არ გავება ყოფის მახეში,
დარდს ვუმკურნალო მე შოკოლადით,
შევციცინებდე გამვლელს სახეში.

*
* *

თუ ფრთებით იშვა სული, რად უნდა
ან სასახლე და ანდა მიწური!
რის ჩინგიზ ხანი,
რა მისი ურდო!..
ორი მტერი მყავს გულდასაწური –
ტყუპები,
სულზე ლაღად რომ მაზის:
მშიერთ შიმშილი,
სიმაძღრე მაძღრის.

*
* *

მოვკვდები, როცა ცას ჩაჰკოცნის სხივთა ნათელი,
ოღონდ ვინ იცის, – ცისკარი თუ სხივი დაისის?
ნეტავ, ერთბაშად ორჯერ ჩაქრეს ჩემი სანთელი –
მიმწუხრისას და საოცნებო ალზე აისის!

ვესათუთები დედამიწას ზეცის ასული –
ვარდის რტოებით სავსე დამაქვს წინსაფრის კალთა!
ვიცი, მოვკვდები განთიადზე! – ეს გედის სული
ყორნისფერ ღამით არ წარსდგება ვიცი უფალთან.

ჯერაც უკოცნელ ჯვარს შევახებ ხელს ნაზი გზნებით,
დე, სული ჩემი მეწამული ზეცისკენ რბოდეს!
რიჟრაჟის ღიმილს მეც ღიმილით შევეგებები,
სიკვდილის ჟამსაც მე პოეტად დავრჩები ოდენ.

*
* *

მალე დაგტოვებთ – დღენი მაქვს მცირე,
სწორედ ამიტომ სინაზით ეგზომ
მოვიფიქრე და გავანაწილე,
ჩემი მგლის ქურქი ვის უნდა ერგოს;

ვინ ინებივრებს პლედით, ნატიფი
ხელჯოხი ჩემი ვისი წილია;
ვინ დაიმშვენებს ვერცხლის სამაჯურს,
ფირუზებით რომ მოჭედილია;

ყველა ბარათი, ყვავილი ყველა,
დრომ რომ გაცრიცა და ვეღარ ვჩემობ,
ბოლო რითმა და ჰო, შენაც, ბნელო
უკანასკნელო ღამეო ჩემო.

*
* *

მზე ერთია და
ყველა ქალაქს ესალბუნება,
მზე ჩემია და ძეხორციელს დავუთმობ არვის;
თუნდაც საათით ერთი სხივიც მოეგუნებოს,
უარი ყველას აწ და მარადის!
თუნდაც უკუნეთს
შერჩენიან ეს ქალაქები!
მზეს ავიტაცებ ხელში, რათა აღარ ბრუნავდეს...
დაე, დანაცროს ბაგე ჩემი, გული, ხელები! –
ერთად ვემსხვერპლოთ მარადიულ სიბნელის ბადეს...
ჩემი ხარ, მზეო, აწ და მარადის!

სერგეი ესენინი

(1895-1925)

*
* *

ლურჯი ღამეა, მოციმციმე მთვარის იერით,
ერთ დროს მეც ვიყავ ახალგაზრდა და სახიერი.

მოუხელთებელ, დაუოკარ დრო-ჟამს ვერ ვდიე,
ჩამიქროლა და შორს გაფრინდა... ვერ დავეწიე!..

გულიც განელდა და ციალმაც უგანა თვალებს,
მოაკლდა ხიბლი ლურჯ სიხარულს, მთვარიან ღამეს...

*
* *

წახვედი, ახლა ჩემთან უკვე არ დაბრუნდები,
წახვედი, უკვე დაივიწყე ჩემი სავანე;
სხვისაკენ ილტვი, სხვას ეკუთვნის ღიმილი, ვნება,
თეთრი მანდილის მიღმიდან რომ ვეღარ დამალე.

ახლა ჩემს სულში სევდაა და ძალიან ბნელა
და სიმყუდროვის ნატამალიც არ შერჩა ბუხარს,
თუმცა, დამჭკნარი ია, წიგნში რომ ჩარჩენილა,
მაგონებს წარსულ ნეტარებას, აწმყოთი მწუხარს.

მშვიდობით, მეგობარო!

გემშვიდობები,
მეგობარო, გემშვიდობები!
ჩემს გულს შერჩება შენი ხსოვნა, ძვირფასო, მუდამ.
საბედისწერო განშორებაც იმას გვპირდება,
რომ მომავალში ისევ ერთად შეგვყაროს უნდა.

მაშ, შეხვედრამდე!
მწუხარებამ ცრემლი დალია,
ან წარბის შეკვრა, მეგობარო, რისი მთქმელია –
ამ ცხოვრებაში სიკვდილი ხომ არ ახალია
და თვით სიცოცხლეც, რა თქმა უნდა, ძველთაძველია.

სერგეი ნოვიკი
(1906-1994)

შემოდგომა

შემოდგომაა, ოქროსფერი მეფობს მიწაზე,
სიხარულსა და სიმშვიდეს თესავს;
ჩამოიღვენთა რა ხანია ღრუბელთ სინაზე,
წეროთა გუნდი მიხაზავს ზეცას...

რა ლამაზია ნაწნავებში ჩაწნულ-ჩადნობილ
ვერცხლისფერ სხივთა მოციმციმე შუქი მზიური!
რა ლამაზია ლაჟვარდოვან ზეცის ტატნობი!
ირგვლივ სიჩუმე მეფობს ღვთიური...

და ტყის ბილიკებს თბილს, სასურველ ფიანდაზს თითქოს –
დავემგზავრები, მივუყვები მე ნება-ნება;
შემოდგომა კი ღიმილით და თავაზით მიხმობს,
ტყის პაემანზე მეპატიჟება.

ეს სილამაზე შეუქმნია ნეტავ რა ხელებს!
რა წარმტაცია, ღმერთო ჩემო, ბუჩქიც და ხეცა!..
ეს დედამიწა, ოქროსფერით თვალს რომ ახელებს,
რა უშურველად მოხატა ზეცამ!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბულატ ოკუჯავა

(1924-1997)



მეზობელი ქალი

ო, ეს ქალი! შევხედავ და ვმუნჯდები,
ამიტომაც თვალს ვარიდებ უდავოდ.
არც გუგულებს, არც გვირილებს ვუჯერებ,
არც გავრბივარ ბოშებთან სამკითხაოდ.

დამჩხავიან: ამგვარ ქალის ტრფიალი
დილამდე რომ გაგყვეს, ისიც დიდია,
მოგნუსხავენ, გაგჩხიბავენ ტიალნი...
ეს ქალი კი ჩვენი ქუჩის მკვიდრია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აპრილის გოგონა

ბოლო დეკემბერს გაუთოშავს ვიდრე წარსული,
მივეახლებით მოგონების ზანდუკს ჭაღარას –
აბრიალდება უცაბედად წრეგადასული
სიყვარული და იმედების დაჰკრავს ნაღარა
და მოგვინდება, როგორც ჭაბუკს, გული რომ უცემს
მკერდში ოცი წლის უშიშარი ბიჭის – ალმასის,
ველოდოთ აპრილს და შილიფად ჩაცმულნი უცებ
გავჩნდეთ გოგოს წინ, ხელში რომ აქვს ყვავილი ნაზი.
დაე, დაგვძრახონ, დაგვიძახონ შლეგი სახელად,
მკერდში ჩავიკრათ გოგონა და მისი თვალების
ცისფერი ზეცა დავუკოცნოთ ტრფობის გამხელად, –
კვლავ შემოგვენთოს ჭაბუკური გრძნობის ალები.
თუმც, ეს სიცივე, მეგობრებო, ცრემლთა მჩენია,
გაუცხოებამ, სიამაყემ დაგვრია ხელი...
კაბინეტებში, ვით წყვდიადში, რა დაგვრჩენია?!
ხოლო აპრილის გოგონა კი უკვე სხვას ელის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიმა კაზაკოვა

(1932)

*
* *

გადაიქროლეთ?
ო, წლებო, წლებო!..
ანდა, იქნება აქვე ხართ ჯერაც?
ვით დავიჯერო, იადონებმა
მოიწყინეს და შეწყვიტეს სტვენა!

იყო კაშკაშა დღეების წყება,
თუმც ყველაფერში – ბნელშიც და მნათშიც –
ის, რაც ტკბილ-მწარედ მომაგონდება,
მიყვარს ყოველი მისხალი მათი.

რა ბედენაა, ცხელა თუ ცივა,
შრომაც, გართობაც არის ადვილი...
თუმცა სიკვდილი ყურთან მიწივის,
ბავშვის გაჩენის კვლავ მწვავს წადილი!..

და ნუ ჩამითვლით ცოდვად, დიადი
ჟამთასვლის წინ რომ ასე ვყმაწვილობ, –
გაზაფხულისკენ შემოვტრიალდი
და, იქნებ, ასეც არის საჭირო!

*
* *

მოუხელთებელ რაღაც წამში უეცრად ვიგრძენ,
წლების მანძილზე რომ მიჭირდა ამის მიგნება –
მივხვდი, დამიდგა ჟამი, როცა ამქვეყნად ვინმეს
რომ არ ვუყვარდე, არასოდეს აღარ იქნება.

რა არ ვიწვნიე – მათრახი თუ ბადეში ხლართვა,
არც კალენდარი მიგზავნიდა ზეიმს და სითბოს,
მაგრამ არსებობს სამყაროში სიკეთე მართლა
და თანაგრძნობაც სიკეთეა სამარადისო.

ხოლო ცხოვრება არც სცენაა არც – ვერნისაჟი,
არ უნდა ხარჯო უშურველად, ხელგაშლით, ცივად
და, თუ რაიმე არის ჩვენში უბადლო განძი,
ეს გულებია, უსაშველოდ რომლებიც გვტკივა.

*
* *

ვამბობ არა ბოღმითა და ბაძვით,
არა ვწყალობ მე მიამიტ სიტყვას:
სამშობლოა ერთადერთი განძი,
უპირობოდ, ცალსახად რომ გვიყვარს.
მას კი ასე ბევრი ვყავართ, ღმერთო,
და მკაცრებიც ნუ ვიქნებით ერთობ!..
სულ წუწუნი,
უხეშობა,
თხოვნა?
იქნება და არც არიან მარტონი,
დედულ-მამულს ვინც ერთგულად პატრონობს,
ვინც ღირსებით იცის მათი მოვლა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

დე, იყუჩოს და პასუხიც მალოს,
ნუ შეგვამჩნევს ტრფიალებით მზირალთ...
ჩვენ ხომ იგი უპირობოდ გვიყვარს,
გვესმის მისი და სიცოცხლეს ვწირავთ.

ჩვენ ის უბრალოდ გვიყვარს,
ჩვენ ის ცალსახად გვიყვარს
და ჩვენი სიყვარული
არის პასუხი სრული.

* * *

შევივერცხლები, ვით ზამთარში მიწა თეთრდება,
შენით სნეული, იდუმალო, მეც დავბერდები.
მე გადავლახავ უსაშველო ტკივილს და სევდას,
რაც ჩემში არის, უშენობამ რაც დამიბედა.

ვერ დამაკავებს ვერც ქვესკნელი და ვერცა – ზეცა,
შენი ვიქნები, იდუმალო, უშენოდ თუმცა.
შენ, ძველისძველო მსაჯულო და ბედო მდევარო,
დავიტანჯები, რათა თავი ვიპოვო მერე.

ხიფათიანი, ცეცხლოვანი ნაპირით ვივლი,
შენით გადავღლი სიყმაწვილის ფერების ლივლივს...
ეს გზა სახლისკენ ზიგზაგებს და სიძნელეს ჩემობს,
მომიგონებდე, იდუმალო ტკივილო ჩემო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვალენტინ გაფტი

(1935-2020)



*
* *

მადლობა ყველას,
ვინაც გეგმავს ჩვენდამი ზიანს,
ვისაც განზრახვა ამოძრავებს ბოროტი, ავი!
ნეტავ, ესმოდეთ საცოდავებს, უნდოთ, ავზნიანთ,
რა როლი ერგოთ, ჩვენთვის როგორ გაწირეს თავი!

თუ არ გატკინეს,
არ შეუნდე საოხად სულის,
ბედნიერებას ვით შეიგრძნობ? – ჩვენთვის ხიდია!
რა დაგვაბრძენებს მათ გარეშე? ბოროტთა შური
და ხელისშეშლა ათასობით ბადებს იდეას

სიკეთით სავსეთ, ამიტომაც, თუმცაღა, გვდევდით,
ასჯერ მადლობა!
თქვენს გარეშე რას მივაღწევდით?

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოსებ ბროდსკი

(1940-1996)



შოგა

მოვიდნენ მოგვნი. ჩვილს ეძინა ღრმა ძილით მაშინ,
ნამქერს აყრიდა ქარაშოტი ქვიშიან ბილიკს,
როს ბდღვიალებდა მახარობლად ვარსკვლავი ცაში,
ბაგის წინ კოცონს ტკაცატკუცი გაჰქონდა თბილი.

სანთლად დიოდა ზეცას ბოლი და ცეცხლის ალით
ჩრდილი გრძლად ჩანდა, ხანაც უცებ დამოკლდებოდა,
ინასკვებოდა და უწყოდა ირგვლივ არავინ,
ჟამთასვლის ათვლა ამ ღამიდან რომ იწყებოდა.

მოგვნი მოვიდნენ. ჩვილს ეძინა ღრმა ძილით მაშინ,
ბაგას გარს ერტყა თეთრი თაღი მძლავრი ბოძებით;
ბორგავდა თოვლი, სისპეტაკე ილხენდა ცაში,
იწვა ყრმა – უფლის ნაჩუქარი და ნაბოძები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსეი კარელინი

(1967)



სონეტი №0

ცდილობ, რომ სონეტს დაეუფლო და დაოსტატდე,
ლამაზ სტრიქონებს დაეძებ და რითმებსაც ითვლი?
იცი, რას ნიშნავს, რომ აღზევდე პოეტის ტახტზე? –
ვულკანი არის სონეტი და მტერია მწიკვლის.

თოთხმეტ სტრიქონში აღმაფრემა გპირდება ნობათს,
ყველა მათგანში შეფარული ცეცხლის ალია;
სონეტი – ვნება, ტკივილი და გულგახსნილობა,
განა წარსული, ის ცოცხალი ნაუბარია.

სონეტს მწუხარე კათარსისით მთელი სამყარო
ნაპირზე გაჰყავს და უშუშებს მწვავე იარას;
სონეტი ლაღი ფრთოსანია, არა – უბრალო,

იგი ლექსების ხელმწიფეა, მჭმუნვარე გზნება,
ხოლო რითმები თამაშია, დასტურიც, წყაროც –
ფენიქსი მუდამ რომ იწვის და რომ იფერფლება.

სონეტი №1

ასი ათასი „არა“ – უარმყოფელი ახლის,
დავშორდით ერთურთს, ტკივილი გამიორმაგდა მკერდში;
ვეღარ ავაგეთ ჩვენი ის საოცნებო სახლი,
დაძაბულია დღენი, ვითარცა – ომის ცეცხლში.

ასი ათასი „არა“, აღარც ფული, არც – ბედი,
აღარც ხალისი, არც დრო მოსვენების და ძილის;
აღარც მომავლის რწმენა. უნისონშია, ვხვდები
დაძირვა-დამცირების სიტყვები ერთობ ძვირი...

აღარც ცრემლების დროა, იმედს გიფანტავს ქარი,
რათა დატოვო შენი მარადიული კვალი.
სიზმარ-ცხადში ხარ ასე მტკიცე „არაზე“ მდგარი

და მთელ სამყაროს მართავს უარმყოფელი ყოვლის
ასი ათასი „არა“... თუმც „არას“ ზემოთ ციალს
იწყებს არსკვლავი, ოდეს რწმენით მითხარი „დიახ“...

სონეტი №3

ისევ და ისევ რატომ მტანჯავ, რატომ არ მწყალობ,
ანდა, რას ნიშნავს ჩაცინება, საყვედურები?
იცი, რაოდენ მძიმეა, რომ გულში დავმალო
შენდამი ტრფობა, როს შორსაა ჩვენი გულები

და თანაც – ახლოს, ვით მდინარის ნაპირი ორი?
ცხოვრებამ ასე დაგვაშორა, არ გვწყალობს ბედი;
ჩემგან შენამდი გაწოლილა მანძილი შორი,
ჩემგან შენამდე სიცივეა და ყინულეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ დაგიკარგავს რწმენა, შენი იდეალები –
ეგ ჩაცინება ფარია და ბრალდება – ხმალი
ორი ნაპირის ეშმაკეულ გამყინვარების...

ღმერთო, გვაცოცხლე, ნუ დაგვღუპავ, გვიბოძე ძალი! –
მდინარე ჩვენი სიყვარულის ყინულს თავს ახლის...
გათოშილია გაზაფხულიც და ჩვენი სახლიც.

სონეტი №62

დავწვი ფურცლები ჩამოცვენილ ფოთოლთა დარად
და ფოთოლცვენად გადავიქეცი უმალ, მარტვილი;
ფერფლადქცეული, ვისწრაფვოდი უფლისკენ ქარად,
თუმცა ვირწმუნე, ჯოჯოხეთი იყო ნამდვილი.

აცრემლებული ვიყავ ფერფლი, ვით თოვლის ფიფქი,
ნაგლეჯ-ნაფლერთი, ქარბორბალას თანაზიარი;
არსაით ღმერთი, ნეტარება, განცხრომის ფიქრი...
მხოლოდ – ტკივილი, ჭრილობაში შუბის ტრიალი...

და არ მახსოვდა იმ სიზმარში, რომ ეს მახეა –
ილუზიაა დაფერფლილი გმირის გონისა,
სინამდვილეში მე ხომ ლანგრით, როგორც ლაქია,

დავატარებდი ჩემს სიყვარულს, მომცველს ყოვლისას;
და როს რითმებმა აიწყვიტეს, ვით ფოთოლცვენამ,
სამოთხე იყო? ჯოჯოხეთი? არ ვიცი ჯერაც...

ვლადიმირ ვისოცკი

(1938-1980)



*
* *

ჯავრით ყვრიმალის ძვლები მეკვრება:
უკვე წლებია, ნეტავ, რა მომდის, –
მგონი, სადაც ვარ, სიცოცხლე ქრება,
სადაც არა ვარ – დუღს და გადმოდის...

და უფრო მეტიც – ნეტავ, გენახა,
ყოველდღე ისმის სისინი მტრული:
„ილუზიაა, სადაც შენა ხარ,
სადაც არა ხარ, არს სასწაული!

შენ მხოლოდ ელი, მისდევ ნიადაგ,
თუ დაეწევი, იცრუებ, მჯერა;
დაგვიანების გეშინია და
ცოტას იცინი, ივიწყებ მღერას!

ქანცგამოცლილი, ნისლივით დნები,
ყველაფერს კარგავ ამ დარდ-ვარამში, –
სადაც შენა ხარ, არვის აქვს ფრთები,
სადაც არა ხარ, ფრენენ ლაჟვარდში“.

მე კი გავურბი საკუთარ მესაც,
ვყვირივარ, ვყმუი და ვიყეფები...
მეგობრებიც მყავს და ვიტყვი ერთსაც:
მე არ მოვიშლი დაცინვას მტრების!

ვცხოვრობ... სასწაულს არაფერს ველი,
თუმცა ძარღვები სირცხვილით დასკდნენ, –
მუდმივად მინდა სურვილით მწველით,
რომ აქ არ ვიყო, გავიქცე სადმე...

გული იჯერო თუნდაც სიმღერით,
თუნდ ტიტლიკანა ეჩვენო ყველას –
უღიმღამოა ირგვლივ ყოველი,
ხოლო სადღაც იქ სიცოცხლე ელავს!..

მე გამიმართლა, რადგანაც ბრუნავს
დედამიწა და გადავხტი ეშხით! –
იქ გავჩნდი, მაგრამ მომინდა უმალ
აქ დაბრუნება – ჩემს სამყოფელში.

* * *

ის გენიოსი არ არისო, – ჩემზე აუგებს
თხზავენ... ეპოქას ჩემი კვალი ვერ დავაჩნიე. –
ჰო, ინტეგრალებს, სხვა გამოთვლებს ვერა გავუგე,
მე სამაგისო ინტელექტი არ გამაჩნია.

ერთხელ მე ვთქვი, რომ ოკეანე აუზი არი
და არაერთხელ მეგობარი მამუნათებდა –
თუმც დიდებული ფიზიკოსი აინშტაინი
ირგვლივ ყველაფერს ფარდობითად შეიმეცნებდა.

მე კი ვწერ ლექსებს – დაბამბული ტანსაცმლის სევდას, –
სხვაგვარ ლექსებსაც!.. გამოვტყდები (ქება რად მინდა!):
ღამით მეზობელ პალატიდან მოფოფხდა ჩემთან
კაცი, რომელიც ჩემს ლექსებზე მწარედ ატირდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვწერ ყველაფერზე: ცხოველებზე, საგნებზე ვმღერი,
ხალხზეც მინდოდა, ქალის ტრფობას თუმცა ვმალავდი, –
არ ეჭაშნიკა რედაქციას, შემხედეს ცერად,
შემინდე, მუზავ, მაპატიე ესე ღალატი!

ამბობენ, რომ ვარ მოსაწყენი, – რომ მე ნიცაში
არ ვყოფილვარ და ორთქლზე, წყალზე წერა მენება...
ეჰ, მეგობარი ლოთობისგან ჩაწვა მიწაში,
თორემ იტყოდა ჩემს ლექსებზე აღფრთოვანებას!

დავემშვიდობე ხანგრძლივ ძილსაც – არგათენებას,
უარი ვუთხარ კოშმარებს და მიეთ-მოეთებს, –
მე გამოვფხიზლდი, დავეთხოვე ციებ-ცხელებას,
შემდგომი ციებ-ცხელების წინ ისევ ვპოეტობ.

* * *

შეუჩერებლად ბუზღუნებს ხალხი –
ხალხი ოდითგან სამართალს უკმევს:
„რიგში ვიდექით, პირველნი გახლდით,
ჩვენს უკან მდგომნი ჭამენო უკვე!“

უთხრეს, არ ღირსო ეს გახელება:
„გთხოვთ, გაგვეცალოთ, ძვირფასნო, სწრაფად!
ურიგოდ ჭამენ უცხოელები,
თქვენ კი, ბოდიში, ვინა ხართ, აბა?“

ისევ და ისევ ბუზღუნებს ხალხი,
რადგან ოდითგან სამართალს უკმევს:
„რიგში ვიდექით, პირველნი გახლდით,
ჩვენს უკან მდგომნი ჭამენო უკვე!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მმართველმა ისევ გახსნა კარტები:
„გთხოვთ, გაგვეცალოთ, ძვირფასნო, სწრაფად!
ურიგოდ ჭამენ დელეგატები,
თქვენ კი, ბოდიში, ვინა ხართ, აბა?“

და მაინც ისევ ბუზღუნებს ხალხი,
რადგან ოდითგან სამართალს უკმევს:
„რიგში ვიდექით, პირველნი გახლდით,
ჩვენს უკან მდგომნი ჭამენო უკვე!“

სიმღერა მაბეზღარაზე

ჩვენს ვიწრო წრეში ვინ შეაბიჯებს,
თუმც ერთხელ – და მე ვწყევლი იმ თარიღს –
თან გავიყოლე და ვუთხარ ბიჭებს:
„დავუსხათ, ძმებო, ის ჩემთან არის!“

ილხენდა, სვამდა, ჩვენებრ აიშვა,
მივიღეთ გულით, ჩვენ ძმობა გსურდა...
მეორე დღეს კი ყველა ჩაგვიშვა. –
შევცდი – შემინდოთ, ბიჭებო, უნდა!

სნეულს, არ მახსოვს სამსჯავრო წამით,
თუმც გაყინული მახსოვს ბარაკი –
საფლავის მსგავსი. უკუნი ღამის
ბადალი იყო ჩვენი არაკი...

შევინარჩუნებ როგორმე ძალას...
ნაადრევად რომ დაგვმარხა ერთობ,
ის მაბეზღარა ფიქრობს, საწყალი,
ვერ დავბრუნდებით, თუმც ცდება, ძმებო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის დღეც დადგება – ინათებს ზეცით
(მუდამჟამს ხომ არ იქნება ღამე!)
და გეტყვით: „ძმებო, მე გადმომეცით,
თქვენთან ხომ იგი მე მოვიყვანე!“

*
* *

და აი, უცებ გაიყარა სავალი გზები:
ერთი ჩრდილოეთს გაემგზავრა, თავისი ბედი
დასავლეთს ანდო მეორემ და მე დარდით ვთვრები –
მასევდიანებს განშორება ეს უცაბედი.

წავიდა! ბევრი ამ დანაკლისს არაფრად ჩათვლის,
ბევრისთვის ეს ხომ უმნიშვნელო გაყრაა გზების...
არ ვიცი, სხვები რას ფიქრობენ, მე კი მწამს მათი –
მწამს მეგობრების!

დადგა დრო მარცხის, უბედობის დრო დადგა მწარე,
ქარბუქმა სული დაზაფრა და კვალიც წაშალა,
ხელმოცარულმა, გინდ – იტირე, გინდ – ცრემლი მალე,
შენ მეგობარი აღარა გყავს, არა გყავს, არა!

წავიდა! ბევრი ამ დანაკლისს არაფრად ჩათვლის,
ბევრისთვის ეს ხომ უმნიშვნელო გაყრაა გზების...
არ ვიცი, სხვები რას ფიქრობენ, მე კი მწამს მათი, –
მწამს მეგობრების!

და, როცა წყენას დაძლევს, მოვა, მე ასე მჯერა,
იტყვის: „ის შფოთი უსარგებლო იყო, შეცდომა“.
წარსულისაკენ ღიმილიანს მივაპყრობთ მზერას
და ჩვენს თვალებში დაიწყება ღიმილის თოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წავიდა! ბევრი ამ დანაკლისს არაფრად ჩათვლის,
ბევრისთვის ეს ხომ უმნიშვნელო გაყრაა გზების...
არ ვიცი, სხვები რას ფიქრობენ, მე კი მწამს მათი –
მწამს მეგობრების!

სვირინგი[1]

არც კამათი გაგვიმართავს, არც ცილობა ძალიან
და ორივეს გრძნობები კი წარსულმა დაირიგა...
შენი სახე სამუდამოდ გულში ჩამრჩა, ვალია,
ლიოშამ კი შენი სახე გულზე მოისვირინგა.

განშორების ჟამს იქ, სადგურზე, რა დამავიწყებს,
როცა ყინული და ქარბუქი ჩამიდგა ხმაში,
მე დაგპირდი, რომ სიკვდილამდე არ დაგივიწყებ,
„მე მით უმეტეს!“ – მიპასუხა ლიოშამ მაშინ.

ახლა შენ მიხვდი, რომელს უფრო გვიჭირს ძალიან,
ვინ რა დღეშია, უშენობა ვის უძნელდება;
მას შენი სახე სვირინგად აქვს მკერდზე, ვალია,
მე კი სულში მაქვს დაჩხვლეტილი შენი ხატება.

როს მენატრები, ცრემლი მახრჩობს როცა ვერაგი,
გთხოვ, არ გეწყინოს სანატრელო, ჩემი სიტყვები, –
ლიოშას ვთხოვ, რომ გადაიხსნას მაშინ პერანგი
და საათობით გიყურებ და შენით ვერ ვძღები.

სულ ახლახან კი მეგობარმა, ლოცავს გამჩენი,
ჩემს გულის წუხილს განაჩენი გამოუტანა:

[1] 1961 წელს ვ. ვისოცკის მიერ დაწერილი პირველი სიმღერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დააკოპირა მან ლიოშას მკერდი და შენი
ზუსტი პროფილი ამ ჩემს მკერდზე გადმოიტანა.

ძმაკაცს რომ ვამცრობ, ვიცი, ძალზე უხერხულია,
მაგრამ შენ ამით ახლოს მყავხარ – მკერდში ჩაგისვი
და ეს სვირინგიც ჩემი, ანუ შენი, ვალია,
უკეთესი და ლამაზია, ვიდრე – იმისი.

ჰო, ეს სვირინგი ჩემი, ანუ შენი, ვალია,
უფრო ნაღდი და ლამაზია, ვიდრე – იმისი.

დაჭიმული ბაგირი

არ სურს დიდება ამო,
არც დარდიმანდის რიხით,
არც საზღაურის გამო
არ გამოსულა იგი.
არა სჩვევია ფართო
ხიდებზე ლაღად სვლა,
მას სულ სხვა რამე ართობს,
სხვა მიზანი აქვს, სხვა –
სულს ლაღი სივრცე უნდა,
ვერ ეგუება აღვირს
და მიესწრაფვის მუდამ
ნერვად დაჭიმულ ბაგირს.

დამზღვევი თოკიც არ ჩანს,
მოდის გაშლილი ხელით...
ოდნავ მარჯვნივ და – მორჩა,
სულს ვერ ჩაიტანს ქვევით!
ოდნავ მარცხნივ და – ახლა
მაინც არ მოშლის მისას!..

ალბათ სჭირდება გავლა
ოთხი მეოთხედი გზისა.

მზერა ვერ უძლებს ულევ
სხივს, ირგვლივ მიმოფენილს,
თვალს უხშობს, ნაბიჯს ურევს,
თან შარავანდად შვენის.
გახელებული გზნებით,
საყვირი ორად სკდება
და „ბრავო-ბრავოს“ ხმები
ლამის მოზვავდეს მთებად.
ნეტავი, ამ აგონიას
რა დააწყნარებს, რა!..
მეხის გავარდნა ჰგონია
ყურს ლიტავრების ხმა!

დამზღვევი თოკიც არ ჩანს,
მოდის გაშლილი ხელით...
ოდნავ მარჯვნივ და – მორჩა,
სული გახდება ცისა!
ოდნავ მარცხნივ და – ახლა
აღარ მოიშლის მისას...
უკვე ცოტაღა დარჩა –
სამი მეოთხედი გზისა!

რა საამოა, თანაც რა
საზარელი და შორი
სიკვდილთან ასე თვალდათვალ
სამწუთიანი ომი!
მოლოდინისგან ყველას
აუფჩენია პირი –
სევდანარევი მზერა...
შიშით წამხდარი ნირი...

ის კი მიიწევს ნელა,
შეუპოვრად და ურჩად,
ამ სიმაღლიდან ყველა
ქონდრისკაცებად უჩანს.

დამზღვევი თოკიც არ ჩანს,
მოდის გაშლილი ხელით,
ოდნავ მარჯვნივ და – მორჩა,
სულს ვერ ჩაიტანს ქვევით!
ოდნავ მარცხნივ და, თუმცა,
რაღას დაიშლის მისას...
ახლა სულ ცოტა დარჩა –
ორი მეოთხედი გზისა!

სოფლის წარმავალ პატივს
ის დასცინოდა მუდამ,
მაგრამ ყოველთვის, ყველგან
მას პირველობა სურდა...
ვერ შემოახვევ ბადეს
სულს, თუ სწყურია მღერა –
აბა, მიდი და სცადე,
ქარს დაეწიო ველად!...
ზეცა ზეიმობს მასში,
არა – შიში და რიდი,
დოლთა აწყვეტილ მარშში
ის ჩვენს ნერვებზე მოდის...

დამზღვევი თოკიც არ ჩანს,
მოდის გაშლილი ხელით...
ოდნავ მარჯვნივ და – მორჩა,
სულს ვერ ჩაიტანს ქვევით!
ოდნავ მარცხნივ და – ახლა
აღარ დაიშლის მისას...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იყუჩეთ! დარჩა მხოლოდ
ერთი მეოთხედი გზისა!

გარინდულ სივრცეს ხედნის
კივილის ცივი ზარი...
რა მკაცრი არის ბედი,
თან რა მარტივი არი! –
თვითდაჯერება? ანდა,
თავგზა აებნა იქნებ?
რა ბედენაა!.. ახლა
რას აქნევ ასეთ ფიქრებს! –
ნაკრები მისხალ-მისხალ
ეს ჰარმონია ფერთა
მწუხარებად და სისხლად
ნახერხში ჩაიღვენთა...

დღეს უკვე მოდის სხვა და
მოჰყვება იმავ გზას,
დამზღვევი ისევ არ ჩანს...
რაღას უშველი, რას!..
მარჯვნივ ან მარცხნივ დახრა და
სულს ვერ ჩაიტანს ძირს!
იგივე სულის მახრა და
იგივე სენი სჭირს..
არც იგი ელტვის დიდებას,
არცა წყალობას ცისას,
რატომღაც მასაც სწყურია
გავლა სანუკვარ გზისა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ მიყვარს

ზურგი ვაქციე ფატალურ ბოლოს,
სიცოცხლეს მტკიცედ ჩავჭიდე ხელი;
ჩემთვის ის წუთი არარა არის,
მხიარულ ჰანგზე თუ არა ვმღერი.

არა, არ მიყვარს ცივი ცინიზმი,
აღფრთოვანების არ მჯერა, თანაც –
მძულს, ქურდულ მზერით როცა ვიღაცა
ცდილობს, თალებით მისწვდეს ჩემს ბარათს.

ბოლომდე მიყვარს სათქმელის თქმა და
მისმინე, ვიდრე ტაბუს დამადებ:
არ მიყვარს, როცა ესვრიან ზურგში,
არც შუბლში ტყვიის დახლას ვღაღადებ.

მე მეზიზღება ჭორების ქარი,
ჩრჩილების ეჭვი, პატივი ეკლის;
უმისამართოდ თავზე ხელის სმა,
მინაზე რკინის გადასმის ხერხი.

ვერ ვიტან მაძღარ თვითდაჯერებას,
იქნება სჯობდეს, რომ მიჰყვე ვნებას;
მაფორიაქებს სინდისის ბედი -
ვერსად გაექცა ცილისწამებას.

გულგრილად ვუმზერ გადამსხვრეულ ფრთებს,
არც უძლურებას, არც ძალას მივდევ;
არ არის ჩემში სხვა თნაგრძნობა –
მე მეცოდება ჯვარცმული ქრისტე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ მიყვარს, როცა სიმხდალეს ვიჩენ,
როცა მართალ კაცს სილას აწნავენ;
მძულს, როცა სულში მოძვრებიან და
არაფრისათვის უღვთოდ დაგწვავენ.

მძულს მანეჟი და არენა, სადაც
ერთი ფასი აქვს მილიონს, მანეთს;
ათას ქარტეხილს გავუძლო იქნებ,
ამათ კი მაინც ვერ შევიყვარებ!

ნიღბები

ვხარხარებ ძალით, ვტაკიმასხარობ –
ასეთი როლი შემომთავაზეს...
მოღუნულ ცხვირებს, დაკრეჭილ კბილებს –
რას არ შეხვდებით ამ კარნავალზე!

შემომეხვია გრძნეულთა ტალღა,
ველარ მოვასწარ უკან დახევა –
უტყუარ ნიღბად მიიღეს, ალბათ,
ჩვეულებრივი ჩემი სახება.

ციალებს ირგვლივ ათასი ფერი,
გვიანღა არის კბენანი ნეკზე;
მიკიჟინებენ – ტაქტს ვერ ავყევი,
რომ პარტნიორებს ვაბიჯებ ფეხზე.

როგორ მოვიქცე? მოვკურცხლო? იქნებ
დავრჩე და მათთან ვიმხიარულო?..
მხეცთა ნიღაბქვეშ, ალბათ, რამდენი
კაცური კაცის სული მარხულობს.

ჩამალულია ნიღბებში ყველა –
ზღაპრებისა თუ იგავთა გმირი...
– ეს არლეკინი, ის კი – ჯალათი,
ყველა მესამე – ნამდვილად ვირი.

ერთი იფერებს ურცხვად თეთრ ფერებს,
სხვამ კი ნიღაბში მალვა არჩია;
ვიღაცამ სხვისი ნიღბისგან მერე
თავისი სახე ვერ გაარჩია...

და მეც ვებმები ფერხულში, თუმცა
არ იქნა, მაინც ვერ მოვისვენე:
რომ მოეწონოს ვინმეს ჯალათის
ნიღაბი და არ მოიხსნას მერე?

არლეკინს მართლა რომ მოეწყინოს
და სამუდამოდ მწუხარე დარჩეს?
ვინმე სულელმა კარნავალს მერეც
რომ დაიტოვოს ჭკვიანის სახე?

კეთილ სახეებს შევიცნობ როგორ?
პატიოსანი ვით გავარჩიო? –
დღეს ხომ ნიღბები ყველამ მოირგო
ნამდვილი სახის გადასარჩენად...

მგონი, გავუგე ნიღბებს მუღამი
და ჩემი დასკვნაც არის უცილო:
ამ გულგრილობის ნიღბით ცდილობენ,
ფურთხი და სილა რომ აიცილონ.

ნადირობა მგლებზე

რა არ ვიღონე, მაგრამ მაინც დავშვერ ამაოდ,
ვერ გავარღვიე, ვერ გავწყვიტე წყეული ალყა!
გუშინდელივით დღესაც ისევ გარს შემომერტყა
დაუნდობელი ეგერთა ტალღა!

ნაძვების მიღმა ორლულიან თოფებს მალავენ,
ავად სისინებს სასიკვდილო ტყვია წყეული,
ყალყზე დგებიან და ღმუიან საბრალო მგლები –
ცოცხალ სამიზნედ გადაქცეულნი.

ხოცავენ მგლებს და ნადირობა აზარტში შედის,
არვინ დაგიდევთ, თუ დედის წინ შვილი გათავდა;
მარეკთა ძახილს მეძებრების ღრიალი ერთვის,
თოვლზე ჩანს სისხლი და ლაქები წითელ ალამთა...

უთანასწორო თამაში აქვთ ეგერებს მგლებთან,
მაგრამ რა მერე...არ უთრთოლავთ წამით ხელები!
თავისუფლება ჯერ ალმებით შემოგვისაზღვრეს,
მერე გვესვრიან თავგამეტებით.

ტრადიციების ერთგულნი ვართ მგლები ოდითგან
და ჩვეულებას ვერ დავარღვევთ, მიწად რომც ვიქცეთ;
დედის ძუძუსთან შევიწოვეთ ჭეშმარიტება:
„არ შეიძლება ალმების იქით!“

ხოცავენ მგლებს და ნადირობა აზარტში შედის,
არვინ დაგიდევთ, თუ დედის წინ შვილი გათავდა;
მარეკთა ძახილს მეძებრების ღრიალი ერთვის,
თოვლზე ჩანს სისხლი დალაქები წითელ ალამთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა გვემართება, რამ მოგვნუსხა, გვითხარ, ბელადო,
ფეხმარდნიც ვართ და ყბებსაც ვიქნევთ, ხომ იცი, ბასრად,
ბრმებივით მაინც რად ვისწრაფვით თოფის ლულისკენ,
აზრად არ მოგვდის ზონიდან გასვლა?!

არ შეუძლია მგელს სხვაგვარად! - ეს კანონია...
აი, თავდება ჩემი წილი წუთისოფელიც!
მან, ვისი წერაც უნდა გავხდე, ჩაიქირქილა
და წამოავლო იარაღს ხელი...

ხოცავენ მგლებს და ნადირობა აზარტში შედის,
არვინ დაგიდევთ, თუ დედის წინ შვილი გათავდა;
მარეკთა ძახილს მეძებრების ღრიალი ერთვის,
თოვლზე ჩანს სისხლი და ლაქები წითელ ალამთა.

მოთმინება და მორჩილება ჩემი გათავდა -
ალმების იქით სანუკვარი სიცოცხლე არი!
ადამიანთა გაოცების მომდევს ძახილი,
მე კი მივქრივარ, ვითარცა ქარი...

მივიწევ წინ და ვეფერები სიცოცხლის წყურვილს,
დღევარდელი დღე გუშინდელს არ გავს!
გარს შემომერტყნენ ეგერები, გარს შემომერტყნენ,
მე გავარღვიე სიკვდილის ალყა!

ხოცავენ მგლებს და ნადირობა აზარტში შედის,
არვინ დაგიდევთ, თუ დედის წინ შვილი გათავდა;
მარეკთა ძახილს მეძებრების ღრიალი ერთვის,
თოვლზე ჩანს სისხლი და ლაქები წითელ ალამთა.

მგლებზე ნადირობის დასასრული, ანუ ნადირობა ვერტმფრენებიდან

მიხეილ შემიაკინს

აისის შუქმა ელვასავით მოგვჭრა თვალი და
მყის ჩახმახებმაც სეზამივით გახსნეს კარები.
„ჭრიჭინობლები“ ცად აფრინდნენ მყრალ მდინარიდან,
თითქოს გამოძვრნენ ჯალათები ავსახსენები –
დაიწყეს სროლა თავგამეტებით.

დაემხეთ პირქვე და დამალეთ თქვენი ეშვები...
ვინც ალმების ქვეშ მიძვრებოდით ჩვეული გეშით,
სამგლე ორმოებს გრძნობთ საკუთარ თათის შეხებით;
და ისიც, ვისაც არ ეწევა ტყიების წვიმა,
შიშმა გატრუნა და დააწვინა.

მგლებს რომ ცხოვრება უღიმოდეთ, ვერ იტყვის ენა, –
ამაოდ ვეტრფით და ვეფერებით.
სიკვდილს კი ახლავს ალესილი კბილების ღრჭენა,
ერთობ ჯანმრთელი მას აქვს კბილები.

> მაშ, გავუღიმოთ მტერს ჩვენებურ მგლური ქილიკით, –
> არ დაგვიგლიჯავს ჯერ ძაღლები, ოღონდ წამიერს
> არ აჰყვეთ ვნებას, თოვლს ატყვია სისხლის სვირინგი:
> ჩვენ აღარა ვართ მგლები ამიერ!

კუდისაკრებით მივცოცავდით, როგორც ძაღლები,
და გაოცებულ სიფათებით ვუმზერდით ზეცას:
ან შურისგებად გადმოგვესხა ცეცხლის ალები,
ან დედამიწა უცაბედად თავზე დაგვექცა, –
„ჭრიჭინებიდან“ უღვთოდ გვესვრიან!

ტყვიის წვიმის ქვეშ სისხლში ვცურავთ, სად არის ღმერთი!
ვნებდებით, რადგან სულერთია, გავაწყობთ ვერას!
ცხელი მუცლებით ვადნობთ თოვლს და შევიგნეთ ერთი:
ამ სასაკლაოს ადამის ძე მოუწყობს ყველას,
ვინც შეეცდება სრბოლას და ფრენას...

ძაღლების ხროვავ, ჩვენ ამაოდ ნუ გვერკინებით,
თანაბარ ჩხუბში წარმატებას ჩვენსას გპირდებით!
ჩვენ მგლები ვართ და მოგვწონს კიდეც მგლური კირთება,
თქვენ – ძაღლები და ძაღლურად კვდებით!

> მაშ, გავუღიმოთ მტერს ჩვენებურ მგლური ქილიკით, –
> არ დაგვიგლიჯავს ჯერ ძაღლები, ოღონდ წამიერს
> არ აჰყვეთ ვნებას, თოვლს ატყვია სისხლის სვირინგი:
> ჩვენ აღარა ვართ მგლები ამიერ!

ვხედავ, თვალებში ვეჩხირებით ნახევრად მთვრალებს,
ვწრიალებ, თანაც ვუხმობ მგლების დაბნეულ სულებს:
ტყისაკენ, მგლებო, მორბენალებს ვეღარ მოკლავენ!
ტყისაკენ – იქნებ გადაურჩეთ ამ ცეცხლის ალებს!
ლეკვებისათვის მოუხმეთ ძალებს!

ცოცხლები უკვე შეეფარნენ იქითა მაღლობს,
რა შემიძლია? მე აქ ვერას გავაწყობ ერთი!
თვალებმა უკვე მიღალატეს, დაჩლუნგდა ალღო...
სადა ხართ, მგლებო, ყვითელთვალა გულადო მგლებო,
სად დაიკარგეთ? თქვენ თქვენი ღმერთი!..

...გადავრჩი, მაგრამ გარს მარტყია ხროვა ძაღლების,
ვისთვისაც მგლური მოძახილი ხილია უცხო;
თუმც კი არიან ჩვენი ძველი ნათესავები,
ჩვენ მათ ნადავლად მივიჩნევთ უფრო.

ვაშიშვლებ ტკივილს და იმედის მსახურად ვდგები –
მტრისთვის ვიმეტებ ჩვენებურ მგლურ ქილიკს წამიერს;
თოვლზე კი ჩვენი წმინდა სისხლით ნასვირინგები
ლღვება წარწერა: აღარ ვართ მგლები ამიერ!

*
* *

ყოველგვარი შესავლის დრო წავიდა, –
არც სიცრუე და არც ყალბი თხრობა:
მე მიხმობენ დიდკაცები თავისთან,
რომ ვუმღერო „მგლებზე ნადირობა“.

ბავშვებისგან გაიგონა მღერა ან
ფანჯრებიდან იქნებ მოისმინა?
რას გაიგებ, – იშოვნიდა, ცხადია
მაგნიტოფონს ვინმე დიდი ძია.

ჯერ საქმეზე იბაასა ოჯახში,
სად ტორშერით ნათდებოდა ბნელი,
მერე ფრთხილად, მეზობლისგან მალულად,
გამშვებ ღილაკს დააჭირა ხელი.

ვერ არჩევდა უკანასკნელ სიტყვებს
ერთობ ცუდი ჩანაწერის ფონზე
და წვალებით, დიდი ვაი-ვაგლახით
მოისმინა „ნადირობა მგლებზე“.

ყური უგდო უკანასკნელ ნოტამდე
და, რადგანაც კარგად ვერ გაიგო,
გაბრაზდა და „ნადირობის“ ავტორი
მეორე დღეს კაბინეტში იხმო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმხნევისთვის არ შემისვამს ღვინო,
არც ყოყმანით ავიშლიდი იარებს;
კარის ზღურბლთან შევჩერდი და ბოლომდე
„ნადირობა მგლებზე“ დავაღრიალე.

უდავოა, შეეხვეწნენ ბავშვები,
ყოფილიყო სულ ღიმილის ცდაში;
ყურადღებით მომისმინა და ბოლოს
მოწონების მომაგება ტაშიც

და ჭიქებზე ბოთლის მიჭახუნებით
დაარხია ზარნარევი ხმები, –
დაიყვირა: „– ეს ხომ მე შემეხება!
ეს ჩვენზეა, რა მგლები, რის მგლები!“

ბოლო სამ წელს დღეში ხუთჯერ რეკავენ, –
ახლა, ალბათ, რაღაც აეწყობა:
დიდკაცები მეძახიან თავისთან,
რომ ვუმღერო „მგლებზე ნადირობა“.

თოხარიკის სრბოლა

გადავუქროლე ქვებსა და ტბორებს,
მაგრამ საჭირო არის გამხელა :
ეს სრბოლა სხვისას არ მოგაგონებს, –
თოხარიკობა ჰქვია სახელად.

ოღონდ მხედარი სულ ზურგზე მაზის
და უზანგებით მირტყამს უგულოდ,
მე კი რემაში ჭენება მწადის
უუნაგიროდ და უაღვიროდ!

ხმალი, ქარქაშში გამომწყვდეული,
ნემსზე ნაკლებად საშიში არი;
მეც უნაგირი მბორკავს წყეული,
პირს კი ლაგამი მივსებს იარით.

ზურგზე წყლულები მაყრია გუნდად,
წყალთან ცახცახსაც აღარ ვთაკილობ;
მე კი რემაში ჭენება მსურდა
უუნაგიროდ და უაღვიროდ!

დოღია! – მე დღეს ვარ ფავორიტი,
ვიცი, ფსონს ყველა ჩემზე რომ ჩავა,
ბრძოლა მომელის, მაგრამ ბოროტი
მხედარი ისევ ხროტინებს ავად!

დეზების სუსხი ნეკნებში ჟონავს,
პირველი რიგი ანგლობს, შაყირობს...
დავთანხმდებოდი რემაში სრბოლას
უუნაგიროდ და უაღვიროდ!

ბედაურები როკავენ სტარტზე,
გულს უხრავთ მხოლოდ ზიზღი და ბრაზი;
გააფთრებულებს, მოსულთ აზარტზე,
მათაც ჩემსავით დორბლები დასდით.

დიდი ფასი აქვს ხალხში ჩემს მხედარს –
მოჯირითეა კარგი უცილოდ...
ოჰ, რას ვირბენდი რემასთან ერთად
უუნაგიროდ და უაღვიროდ!..

არა, ოქროს მთებს ვერ ეღირსება! –
ფირნიშს გადავკვეთ უკანასკნელი,
გადავივიწყებ პირად ღირსებას,
დეზებზე მაშინ დაისვას ხელი!..

ზარის ხმა ისე ახარებს მხედარს,
თითქოს მისია ჯილდო უცილოდ...
როგორ ვირბენდი რემასთან ერთად
უუნაგიროდ და უაღვიროდ!

რა მემართება, რას მითქვამს გული –
მტრის წისქვილზე მსურს, დავასხა წყალი?!
მაგრამ რა ვუყო, ვარ ბედაური,
გამარჯვებაა დღეს ჩემი ვალი!

რა დამრჩენია? ამ ჭენებაში
გადმოვაგდებ და დარჩეს უმიზნოდ!
მერე ვიქროლებ, როგორც რემაში,
აღვირ-უნაგრით, მაგრამ – უმისოდ!..

აი, მოვედი!.. ის საწყალი კი
ქვებზე, ტბორებზე ჩანჩალებს ბოლო...
დღეს არ ვიყავი მე თოხარიკი,
მე გამარჯვება მეწადა მხოლოდ!

ურა ცხენები

უფსკრულის გასწვრივ, ფლატის ნაპირთან,
ჩემს ბედაურებს მივერეკები...
ნისლების ტევრში სუნთქვა გაჭირდა
და ვგრძნობ, უთუოდ დავიღუპები.

– ნელა, რაშებო, მათრახის ნებას
ასე მორჩილად ნუ შეასრულებთ!
მაგრამ ცხენები შემხვდნენ თავნება –
ვკვდები, სიმღერას ვერ დავასრულებ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე დავარწყულებ ჩემს ურა ცხენებს,
ლექსს დავასრულებ და დავამღერებ...

დავიღუპები!.. გრიგალი წამშლის,
მარხილი მიმგვრის ბოლო სავანეს...
ჩორთით, ცხენებო, თუნდ ერთი წამით
გამიხანგრძლივეთ ჩემი სავალი!

– ნელა, რაშებო, შოლტსა და მათრახს
ბრძანებას უხმოდ ნუ შეუსრულებთ!
მეტად თავნება ცხენები მახლავს –
ვკვდები, სიმღერას ვერ დავასრულებ!

მე დავარწყულებ ჩემს ურა ცხენებს,
ლექსს დავასრულებ და დავამღერებ...

და... მოვასწარით: უფალთან მისვლა
არც არასოდეს არის გვიანი, –
მაგრამ, ვაიმე, რატომ გაისმის
ანგელოზთ მღერა ბოროტხმიანი?!

რა ხდება? იქნებ ცოდვიან ზარებს
მწუხარებისგან ცრემლი სდით ღვარად?
თუ მე ვუყვირი თავნება ცხენებს,
არ წაიყვანონ მარხილი ჩქარა?

– ნელა, რაშებო, და დაუნჯებით!
გემუდარებით, ცოტათი ნელა!
მაგრამ ცხენები შემხვდნენ ურჩები...
როგორ მინდოდა ბოლომდე მღერა!...

მე დავარწყულებ ჩემს ურა ცხენებს,
ლექსს დავასრულებ და დავამღერებ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შურიანის სიმღერა

ჩემს მეზობელს მოვლილი აქვს ქვეყანა –
არვინ იცის, რისთვის მიდი-მოდის.
სხვის საქმეში არ ვეჩრები, მაგრამ
ვიბოღმები, ძალზე გული მომდის! –
მის ფანჯრებზე დიბა ატლასს ვხედავ,
მისი ცოლი დაფლატუნობს ხალათში, –
რომ მომცემდნენ მეც მისოდენ ხელფასს,
ურანს ვნახავ მე მოსკოვის ასფალტში!
ტყუილია ხალხის მიეთ-მოეთი, –
ის არასდროს არ ირჯება ამაოდ:
რას დაეძებს? ფულები ხომ შემოსდის –
ღმერთო ჩემო, რა მაყუთში ბანაობს!..
მისი ვაჟიც კარგი ხვითო ვინმეა,
გუშინდელი წაქცევისა არ იყოს –
შეგნებულად დამიმსხვრია სურა და
მეც სამმაგად ვაზღვევინე მამიკოს.
ის შაურზე მანეთს არის ნაჩვევი?
მაშ, მიხადოს თავხედობის ჯარიმა!
არა, მისი კი არა მშურს, ისე –
სიმართლის და კაცურობის ჯავრი მაქვს.
– მე მათ ისეთ სიმყუდროვეს შევუქმნი,
ხვალვე ჩვენი მეზობლობაც მორჩეს, –
მათ ჯიბეში ჩეჩქივით აქვთ ფულები,
ჩვენ არყისთვის ვაკოწიწებთ გროშებს!

*
* *

ვიყავ მფლობელი ორმოცი გვარის,
შვიდი პასპორტი მქონდა;
სამოცდაათი მეტრფოდა ქალი
ორასი მტერის პატრონს. –
მაინც არაფერს ვნანობ!

    რამდენი რა არ ვეცადე,
    რა არ ვიღონე, ღმერთმანი! –
    გამოხტებოდა ვიღაცა,
    დავერეოდით ერთმანეთს...

თუნდ სასახელო ვიარო გზებზე,
ქებით ცად ამიყვანონ –
არ დაბეჭდავენ ნეკროლოგს ჩემზე
გაზეთის ბოლო გვერდზე. –
მაინც არაფერს ვნანობ!

    რამდენი რა არ ვეცადე,
    რა არ ვიღონე, ღმერთმანი! –
    გამოხტებოდა ვიღაცა,
    შევათვრებოდით ერთმანეთს...

თუნდაც მომავლის მქონოდა რწმენა,
გნებავთ – საბჭოთა ხალხის.
არ დამიდგამენ სკვერში ძეგლს, მჯერა,
პეტროვსკის ჭიშკრის ახლოს. –
მაინც არაფერს ვნანობ!

    რამდენი რა არ ვეცადე
    რა არ ვიღონე, ღმერთმანი! –

ვლოთობდი ბოლო წვეთამდე
და ვეშვებოდი ფსკერამდე...

მე ვთხზავ სიმღერებს დრამაზე, თანაც –
ჯიბის ქურდების ბედზე.
თუმცა, ვერ ნახავ ვერსად ჩემს სახელს
ესტრადის რეკლამებზე. –
მაინც არაფერს ვნანობ!

რამდენი რა არ ვეცადე
რა არ ვიღონე, ღმერთმანი! –
ვვარდებოდი და მიჭერდნენ,
მელოდა ციხის საკანი...

თუ ნაგუბარში წყალი ჩადგება
და არასოდეს დავლევ,
ჩემი ფორტუნა შეტრიალდება?
ან ფულზე დამხატავენ? –
მაინც არაფერს ვნანობ!

აბა, მაშ რისთვის ვეცადო?
აბა, მაშ რისთვის ვესწრაფვო?
სულ ამერია დავთრები –
კვლავ ჩემებურად დავთვრები!

*
* *

– ეი, მძღოლო, ბუტირსკისკენ სწრაფად,
იმ ხუტორში ციხე მელოდება!
– შენ ორი წლით დაგვიანდი, ძმაკაც,
ციხე უკვე აგურ–აგურ დნება.

– საწყენია, მე კი სისხამ დილას
ღვიძლ ადგილას გამირბოდა თვალი...
რაღას ვიზამ, წამო „ტაგანკისკენ“, –
ჩემთვის ისიც მშობლიური არი.

– ძველ „ტაგანკას“ ვეღარ ნახავ, უკვე
დაანგრიეს, ეშმაკს წაუღია!
– მაშინ, ძმაო, მოვტრიალდეთ უკან,
არაფერი გამოვიდა, ძიავ!

თუმცა, არა, მოდი, გავაბოლოთ,
ანდა, იქნებ დაგველია ვედრებით:
რომ ბანაკებს მოჰღებოდა ბოლო,
რომ დაინგრეს რუსეთს ციხის კედლები!

*
* *

ასწიეთ ხელი,
ყუთებს ჩასჩარეთ
ბიულეტენი წაუკითხავად! –
მოწყენილობა სიკვდილს ედრება!
ხმის მიცემისას მე ნუ მიმათვლით,
არ ვიზიარებ მე თქვენს წესდებას!

*
* *

სიცივეა,
ყველგან ქარბუქია,
ძილში მცივა,
მცივა ქალის გვერდით,
ნაცნობებთან შეხვედრისას მცივა,
რადგან ირგვლივ მეფობს ყინულეთი.

*
* *

ჩვენ – ყველას, ყველას, ყველას.
მცხოვრებთ მიწასა ზედა –
მფარველი ანგელოზები
ზეცაში დაგვებედა.

შენზეც, რომ ლოთობ მდუმარი,
თავჩაქინდრული ოდეს
ითხოვ შენდობას, შვებას,
იმ წამში შენი მფარველი
უფალს სთხოვს მიტევებას.

*
* *

ამ ჩვენს ცხოვრებას – უსულგულოს, სიკვდილის ბუნაგს –
ხელს თუ დააჭერ, გამოასხამს ნაკადი ჩირქის, –
სიცარიელეს შიშისაგან ყმუილით ვთრგუნავთ
ვინც ბოლოშია და ისიც კი, ვინც თავში მიჰქრის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავალდებულო მსხვერპლშეწირვამ, ჩვენი მამები
არაერთგზის რომ უმღეროდნენ, მოგჭამა ჭირი,
დაღი დაასვა ჩვენს თაობას, დაუხშო გზები,
წაართვა გონი, მახსოვრობა და თვალის ჩინი.

შემთხვევა საბაჟოზე

შერემეტიოვოს
არ სწყალობს ტაროსი,
ნოემბრის სამია, დარდში ვარ, –
ფერდაკარგული და
მოწესრიგებული
საბაჟო შემოწმებას გავდივარ.

არავის ვეჩხირები, – ვიხრები მიწამდე:
ზედმეტი ჩავხეთქე ნეტავ, რადა!
ჩემს წინ ურუგვაელს ჩითავენ,
რომელსაც გააქვს კონტრაბანდა.

ბანჯგვლიან მკერდზე
ჰკიდია ჯვარი –
ბრბო აღელდა და გუგუნებს:
„ფეხებით დაჰკიდეთ,
დაბერტყეთ, ახვარი,
როგორ დაჟღარუნობს, უყურეთ!“

და ზუსტად მიაგნეს! – წელს ქვემოთ
(სასაცილოც და საჯავროც არი!)
მას მეთხუთმეტე საუკუნეში
ნაჭედი ორი ეკიდა ჯვარი...

ო, რარიგ ცხარობდა:
„როგორ მომდიესო,
კანონი სად არის?
დარჩენა არ მინდა!“
და ხუთის ნახევარზე
ჯვარცმული იესო
ბუენოს-აირესში ვერ გაფრინდა.

ჩვენ კი წლიდან წლამდე ვბრძენდებით, ასეა.
უკვე დროა, ვიყოთ ჯვარზე გაკრულნი.
ეს ჯვრები ჩვენი ხალხის განძია,
თუმც, გადმონაშთია წარსულის.

ადრე კი ჩვენ ყველა მხარეში,
საჭირო იყო თუ არ იყო,
ყოველგვარ ხელფასის გარეშე
ლხინი და ცხოვრება ვარიგეთ.

ამ მტვრიან ყუთებში ჩაბარგული,
მორჩილი დაიღალა რადგან
ძველი ხელოვნება აიბარგა,
იყო და გადინდა, – გაქრა!

ექიმმა კბილი რომ გაუბურღა,
თუმც ცრემლებს აფრქვევდა მისტერი,
მებაჟემ ხვრელიდან ოსტატურად
დააძრო ქანდაკება მზისფერი.

თითებით დაშმონეს გაღმელი ბარიგა,
გარინდებით რომ დაიგო მახე;
ჯიბეში უპოვეს ლეღვი, რომელშიც
თესლის ნაცვლად ტრიფტიქი ნახეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისთვის გჭირდებათ, მგზავრებო, საწყობი?
„ბერიოზკაში“ რატომ არ წახვედით?
გეყიდათ „მატრიოშკა“ ან რუსული გარმონი,
სამი მანეთია იქ მათი ფასი!

მან კი არც აცია და არც აცხელა,
იქით შეუტია, ჩასჭიდეს რაკი:
„მშვიდობა, მეგობრობა, ცეცხლის შეწყვეტა,
თხას – ბაიანი, მღვდელს – გარმონი, პაპუასს – ხატი!“

რას გაუგებ ისტებს-კონტრაბანდისტებს!
მან, ვისაც უნახეს სტატუა პაწია,
გახვრეტილი კბილი გამოიჩიჩქნა,
გადააფურთხა და ვაშინგტონს გასწია.

რა კარგია, რომ ჩვენში სიფხიზლეა,
ჩვენი საბაჟო რომ ირჯება სარგოდ, –
რათა შარავანდედს მისხალიც არ აკლდეს,
ჯვარცმის ლურსმანი რომ არ დაიკარგოს!

ვინ კანდელს ათრევს და ვინ კიდევ – ხატებს,
ვინ მრუდე ხელით ჯვარსაც კი მისწვდა
და ასე ჩუმ-ჩუმად ღვთისადმი რწმენა
ჩვენგან წაიღეს სულ მისხალ-მისხალ.

აი, მეც აქ ვარ!..
მარად გზებს ხომ ბევრი ჰყავს მგზავრი,
თუმცა, არიან სხვადასხვა ბედის;
წინასწარმეტყველს აქ არ უმართლებს,
მაგრამ მლიქვნელი ყველა გზას ხედნის.

აი, მეც აქ ვარ!
ოფლი მდის ღვარად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმცა მებაჟე არც კი მიცქერის,
მე კოჭთან ლურჯი ჯვრის ტატუს ვმალავ,
მაგრამ ვიტყვი, რომ არის წითელი.

მოლამ ტრიფტიქი წიგნში დამალა, –
კონტრაბანდისტობაც ხელობა არისო!
მე კი ჯიბეში თითები შევკარი
ბრაწის მაგივრად, რომ არ დავითარსო.

ახალ არაბებს კიცხავენ ჩვენში, –
შეავიწროვესო ევროპა,
თუმცა, იმ უდღეურ „ექვსდღიან ომში“
მხარსაც ვუჭერდით ჩვენ ზორბად.

აბა, დაფიქრდით, განა ტყუილად
დაბრძანდებიან ისინი ჩვენთან! –
მათ მიჰყავთ ქრისტე, რათა მუჰამედს
შეახვედრონ და შეჰყარონ ერთად.

– მე ჯერ აქა ვარ!
რაც შემიქმნია,
ყველა ჩემია! ო, რა გაგებით
შემომცქერიან ეს სიფათები,
რომ აუვსიათ შავი დაფები!

ახლა კი მალე დამესევიან,
გამაშიშვლებენ... ვინ მცეს ნუგეში?
მე მიპოვნიან ტვინში ნისლეულს,
ფეხზე – ჯვრის სვირინგს და ბრაწს – ჯიბეში.

ეს ჯვარი თვითონ ამოვიკაწრე,
ბედს მოვუხმობდი როცა კუპეში, –

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღა ვქნა?.. მაგრამ მოულოდნელად
ჯგუფის უფროსმა მომცა ნუგეში –

ის საქმიანად და მშვიდად ამბობს:
„ნუ გაირჯებით, არ ახლოთ ხელი,
აქ გასაჩხრეკი რა არის, ნეტა?! –
შემოწმებული ამხანაგია,
არაფერი აქვს მას არყის მეტი“.

* * *

ყველაფერი უკვე მადგა ყელზე,
სიმღერებმაც მომაბეზრეს თავი. –
რომ ვერ შეძლონ ჩემი პოვნა, ფსკერზე
დავწვებოდი, ვით წყალქვეშა ნავი.

მეგობარი ჭიქით არაყს მაწვდის,
გაივლისო დარდი, ასე სჯერა.
მთვრალს კი ვერა გამაცნო და ეგონა,
მიშველიდნენ არაყი და ვერა.

ვერ მიშველეს არაყმა და ვერამ:
არყით დავთვერ, ვერასაგან რას ველი!
დავწვებოდი ფსკერზე როგორც ნავი,
რომ დამეთმო ქვეყნად ყველაფერი!..

სმამ და მღერამ მომაბეზრა თავი –
ყველაფერი უკვე ჩავიმღერე.
დავწვებოდი ფსკერზე როგორც ნავი
და ვერავინ მომაგნებდა მერე!

*
* *

დიდი ამბავი – თუ ჩხუბობ ცოლთან,
რა მოხდა – თუ გაქვს ქაოსი თავში!
გაგძარცვეს? – ესეც არ არის ცოდვა,
მადლობა თქვი, რომ ცოცხალი დარჩი!

მერე რა – თუკი გტანჯავს სარკომა,
მერე რა – თუ ხარ დღედაღამ მთვრალი,
თუ გიპინტრიშეს სახლიდან უკვე,
მადლობა თქვი, რომ დარჩი ცოცხალი!

რაა – პარტნიორს მიაკვდა ძაღლი,
თუ მოჩვენებებს ხედავ სიზმარში,
„სოფიაში“ რომ გამტვრიეს კბილი,
მადლობა თქვი, რომ ცოცხალი დარჩი!

რაა – ნახერხში თუ ჩაგეძინა,
ჯანდაბას – წიხლი რომ გგლიჯეს ყბაში,
თუ გაგიტანეს საკაცით გარეთ,
მადლობა თქვი, რომ ცოცხალი დარჩი!

სიმართლეა და არ უნდა ფიცი,
დამნაშავე რომ შენა ხარ მარტო;
ჰო, მართალია, მე კი არ ვიცი,
ცოცხალი რომ ვარ, ვის დავუმადლო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთის ლირიკული

გაქრა ხელებში თრთოლვა, კანკალი,
ახლა კი – ზემოთ!
შიში და ძრწოლა უფსკრულს ჩავყარე
სამარადმჟამოდ!
რა გამაჩერებს, მივსრიალებ
როგორც ღრუბელი...
ქვეყნად მწვერვალი არ არსებობს
დაუპყრობელი!

ფეხდაუდგმელი გზებიდან ხომ
ერთი ჩემია!
აუღებელი მიჯნებიდან
ერთი მე მელის!
იმათ სახელებს, ვინც აქ წვანან,
ინახავს თოვლი...
უვალ გზებიდან ერთი მაინც
მე უნდა მოვვლო!

ფერდობს ეხვევა ყინულების
ცისფერი ალი,
გრანიტქვეშ ყუჩობს საიდუმლო
ნაბიჯის კვალი...
მე ოცნებებში ვიძირები,
მხილველი ყოვლის,
და მტკიცედ მჯერა გულწრფელობა
სიტყვის და თოვლის!

რა დამავიწყებს, თუნდ ჟამთასვლის
დამატყდეს თქეში,
აქ დაეჭვება და ყოყმანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩავკალი ჩემში.
ყურში მესმოდა წყლის ჩურჩული:
„წინსვლა მარადი!..“
დღე კი... ნეტავი, რა დღე იყო?
ჰო, ოთხშაბათი!

დამშვიდობება მთებთან

ვიპყრობთ მწვერვალებს,
მივისწრაფვით ზემოთ და ზემოთ,
მერე კი ისევ ღრიანცელი გვიხმობს ქალაქის
და დაპყრობილი მწვერვალიდან ვეშვებით ქვემოთ,
სხვა წასასვლელი არა გვაქვს რაკი.

მაშ, დაეხსენით
უსარგებლო და ფუჭ ბოდიალს –
მე ჩემდათავად დავამტკიცე და თქვენაც მენდეთ:
ამ მთას, მერწმუნეთ, მარტოდმარტო ის მთა სჯობია,
არ დაგილაშქრავს რომელიც დღემდე!

ვის ენდომება
გასაჭირში მარტო დარჩენა?!
ვის ენდომება
არ უსმინოს გულის ვედრებას?!
მაგრამ ვეშვებით დაპყრობილი მწვერვალებიდან, –
ხომ ეშვებოდნენ თვითონ ღმერთებიც!..

მაშ, დაეხსენით
უსარგებლო და ფუჭ ბოდიალს –
მე ჩემდათავად დავამტკიცე და თქვენაც მენდეთ:
ამ მთას, მერწმუნეთ, მარტოდმარტო ის მთა სჯობია,
არ დაგილაშქრავს რომელიც დღემდე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაოდენ იმედს,
რა სიმღერებს, რა ლექსის თემებს
აღძრავენ მთები და გვიხმობენ მართალთ თუ მრუდეთ,
მაინც ვეშვებით – ვინ ერთი წლით, ვინ – სამუდამოდ, –
რადგან ყოველთვის უნდა დავბრუნდეთ!

მაშ, დაეხსენით
უსარგებლო და ფუჭ ბოდიალს –
მე ჩემდათავად დავამტკიცე და თქვენაც მენდეთ:
ამ მთას, მერწმუნეთ, მარტოდმარტო ის მთა სჯობია,
არ დაგილაშქრავს რომელიც დღემდე.

* * *

ფსკერისაკენ ვისწრაფვი და ბნელეთში
სუნთქვა მიჭირს, მიგუბდება ყურები.
რატომ იყო ჩემთვის ცუდი ხმელეთი?
სიღრმისაკენ რატომ მივეშურები?

იქ, მიწაზე, სახლიც მქონდა, საკვებიც,
იქ ვმღეროდი, არ მწყალობდა ბედი...
და ვცურავდი, თუმცა დიდი წვალებით,
არავისთვის მომიხრია ქედი.

იქ, მთვარის ქვეშ, მიწიერი ვნებები
და ჩვეული წუმპეების კალოა.
გავემიჯნე იმ ცხოვრებას, ვნებდები
სიღრმეს, რადგან უკან ვეღარ ამოვალ.

გაჭირვებით ჩავისუნთქავ პირით,
ისმის ტალღის თუხთუხი და ჩქეფი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე მიწაზე აღარაფერს მივტირი, –
არქიმედეს პიკთან ვიძირები.

ორიენტირს ვკარგავ უკვე, ვიგონებ
სიზმრებს, ზღაპრებს და უძველეს მითებს...
მე ახალი სივრცე აღმოვაჩინე,
ჩავუარე როცა მარჯნის რიფებს.

აი, მარჯნის ქალაქებიც ვიხილე!..
აურაცხელ თევზით, მშვიდი იერით...
მუნჯი არის წყალქვეშეთა სამყარო
ნაირფერი, თანაც – გონიერი.

აქ სად არის საშინელი წყვდიადი,
რომლის გამოც ასე კრთიან დედები?!
აქ სინათლე მეფობს, ვით განთიადი,
თუმც არც მზეა და არცა – ჩირაღდნები.

ამ სიბრძნეს და ამ ფაქიზ სიდიადეს
უჩვეულო ნისლეულიც ხურავს;
რაც აკრძალეს, რასაც ასე დევნიდნენ,
ამ სიღრმეში სრულად შენახულა.

უფლის ნებით, მე მათ მაინც მივაგნებ
და არ მივცემ დიდხანს წოლის ნებას;
ამოვიტან, გამოვამზეურებ,
თუმც, ტალღები მოცურავენ მთებად.

წყალი უკან მაგდებს, თავის ქალიდან
მესმის ცივი სასაფლაოს ხმები;
წნევაც მალე გადამიმტვრევს ხერხემალს,
ჩანს, რომ სიღრმე არ მღებულობს ნებით.

ჩამოვხსენი ბარჯით კარაბინი და
ქვა ავიღე (ნუ დამძრახავთ აწი),
მე ქვევითკენ მივისწრაფვი, მინდა,
რომ შევიცნო სიღრმის დედაარსი.

გადავაგდე დანა – აღარ მჭირდება,
იქ ერთნი ვართ, მტერი არსად არი;
იქ ყოველი, ვინც იარაღს იღებს,
ისე მოჩანს, ვით ლანგარზე – რწყილი.

შეგედრები შენ, წყალქვეშა სოკოვ,
დავივიწყოთ წოდება და რანგი. –
აი, ისევ თევზებად ვიქეცით,
ლაყუჩებად გვშვენის აკვალანგი.

შენ, ნეპტუნო, წვერიანო მყვინთავო,
მიპასუხე, თუკი ღმერთი გწამს:
– ნეტავ, რატომ გამოგემშვიდობეთ,
ხმელეთი რად ვამჯობინეთ წყალს?!

ეჭვები მხრავს, ეშმაკს წაუღია!
ტვინს მიბურღავს ეს ფიქრები ქვენა:
რად ვიქეცით ადამიანებად,
მერე რატომ ამოვიდგით ენა?

ჩვენც ხომ ადრე დავდიოდით ოთხზე,
რატომ, რისთვის გავიმართეთ წელში?
ალბათ, მიტომ – უფალიც ხომ ხედავს –
ქვა და კეტი რომ აგვეღო ხელში.

მოვახერხეთ, რომ გვცოდნოდა ბევრი და
მრუდე საქმეთ შევუკარით ტახტი;

ვუღალატეთ და ჯვარზედაც ვაცვით,
ჩვენი მოდგმის ჯალათებიც გავხდით.

შეგნებულად ვიძირები, ვყვირი:
– იქნებ მაინც იხსნათ ჩვენი სულები!
მეგობრებო, თუ ვერ მივწვდი მიზანს,
ხმელეთი თქვენც მიატოვეთ, ურგები!

სიმღერა ახალ დროზე

ღამის განგაშს მაგონებს ექო მძიმე ნაბიჯთა,
ჩვენი ჯერიც დამდგარა, წავალთ უხმო ვედრებით;
გადათქორეს უვალი ბილიკები ცხენებმა
და ვინ იცის, საითკენ წაიყვანეს მხედრები.

რა მალია ჩვენი დრო! უკან მივდევთ კვალდაკვალ,
მივისწრაფვით მიზნისკენ, აყოლილნი მარულას,
ამ სრბოლაში სწორები სადღაც გადაკარგულან,
ჭენებაში ვერ ვამჩნევთ მეგობართა დაკარგვას.

ნაპერწკალი კარგა ხანს გვეგონება ხანძარი,
ჩექმის ჭრაჭუნს შევიგრძნობთ ბოროტების ზვარაკად;
ომი ბავშვთა თამაშშიც გააღვივებს ტკივილებს
და ხალხს დავყოფთ მტრების და ჩვენიანთა ბანაკად.

როცა ბოლო ქუხილზე დაშრებიან ცრემლები,
როცა დაოკდებიან დაოთხილი ცხენები,
როცა შინელს კაბებით შეიცვლიან ქალები, –
მაშინ გვმართებს სიფხიზლე, გვმართებს არდავიწყება!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმღერა მეგობარზე

ერთ მშვენიერ დღეს თუ შეიცანი,
რომ მეგობარი, ძმაკაცი შენი,
ის არ ყოფილა, რადაც იცანი –
არც მოყვარეა და არცა მტერი,
წაიყოლიე როგორმე მთაში,
დე, გამოსცადონ ზვიადმა მთებმა;
არ მოიშორო გვერდიდან წამით,
მისი ავ-კარგი იქ გამოჩნდება.
თუ მთამ შეაკრთო, შედრკა ჭაბუკი
და, შიშნაჭამი, ქვევითკენ ივლტო,
მყინვარზე ფეხი დაუცდა თუკი
და დიაცივით ღრიალი იწყო,
მიხვდი, რომ უცხო გყოლია გვერდით,
განაგდე, შენთან რაღა ხელი აქვს!
არავის მიჰყავს მხდალები ზევით,
მაგნაირებზე არა მღერიან!
დაუჩივლელად და უდრტვინველად,
თუნდ მოღუშულმა, თუკი იაროს,
კლდიდან რომ მოსწყდე, ამოიკვნესოს,
შენი ტკივილი გაიზიაროს,
შენს გვერდით იგრძნო თანამებრძოლად,
მწვერვალზე იდგეს მუხლჩაუხრელი, –
ენდე, იწამე სიკეთე მისი
და სასოებით ჩასჭიდე ხელი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის არ დაბრუნდა ბრძოლის ველიდან

რად ხდება ასე! ყველაფერი იგივე რჩება:
ის ლაჟვარდი ცა გადმოგვყურებს ისევ ზევიდან;
ისევ ის ტყეა, ის ჰაერი, იგივე წყალი...
ის არ დაბრუნდა ბრძოლის ველიდან!

ახლაც არ ვიცი, ვინ ვიყავით უფრო მართალი,
იმ უძილო და უსასრულო ჩვენი დავიდან;
ყველაზე უფრო მე ის ახლა მოვინაკლისე,
როს არ დაბრუნდა ბრძოლის ველიდან...

ოცნებისა და გარინდების იცოდა ფასი,
გაყუჩდებოდა, თუკი ტაქტში ვეღარ მღეროდა;
არ მაძინებდა, მზის ამოსვლას ეგებებოდა,
გუშინ კი იგი არ დაბრუნდა ბრძოლის ველიდან!

რაც გარდასულა, მასზე როდი ვტირი და მოვთქვამ,
მაგრამ შევნიშნე, სიმარტოვე სადღაც მდევნის და
ქარმა ჩამიქრო ოცნებათა კოცონი, როცა
ის არ დაბრუნდა ბრძოლის ველიდან...

უცებ ავივსე, გამოვცოცხლდი, ვით გაზაფხული,
თავდაღწეული ზამთრის ხელიდან:
„ნუღარ ეწევი, მეგობარო!“ – ირგვლივ სიჩუმე...
ის არ დაბრუნდა ბრძოლის ველიდან!..

მიცვალებულნი არ გვტოვებენ გაჭირვებაში,
ჩვენი სისხლ-ხორცნი, ჩვენი მცველები...
ირეკლებიან ჩვენში, როგორც ტყეები – ცაში
და როგორც წყალში – ლურჯი ხეები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენთვის მიწურიც ვებერთელა იყო დარბაზი,
თითქოს ორივეს ერთნაირი ბედი გველოდა...
ახლა კი... ახლა მარტო დავრჩი და მეჩვენება,
მე არ დავბრუნდი ბრძოლის ველიდან...

გემები

გემები დგანან – მერე ისევ თავის გზით წავლენ,
დაბრუნდებიან, თუნდ ტაროსმა ერთობ იმძლავროს...
მეც დავბრუნდები, ნახევარი წელიც არ გავა,
რათა ისევე ნახევარი წლით გავემგზავრო.

ყველა ბრუნდება – გულითადი მეგობრის გარდა,
ყველა ბრუნდება – უერთგულეს ქალების მეტი;
ყველა ბრუნდება იმათ გარდა, ვინც საჭიროა, –
არც საკუთარი თავის მჯერა და არცა – ბედის!

ო, როგორ მინდა, არ ვიფიქრო და ასე მწამდეს,
რომ ხომალდების ცეცხლში დაწვა მოდიდან გავა!
მე დავბრუნდები მეგობრებში, არ უნდა დავა –
რაღა თქმა უნდა, ავმღერდები ნახევარ წლამდეც.

მე დავბრუნდები მეგობრებთან, არ უნდა დავა –
რაღა თქმა უნდა, ავმღერდები ნახევარ წლამდეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომღერალი მიკროფონთან

ირგვლივ სინათლის მეხვევა ტალღა
და ვიწყებ ჩვეულ მონოლოგს სულის:
მე მიკროფონთან ვდგები, ვით ხატთან...
არა! დღეს იგი ამბრაზურაა!

როგორ მივანდო ჩემი სიმღერა,
როცა, თუნდ ღვთიურ კოცონად ვენთო,
თუ სადმე დამცდა სიყალბე, მჯერა,
გააძლიერებს მასაც უღმერთოდ.

> რამპის სხივები ესობა ნეკნებს
> და პროჟექტორთა სისინებს ცელი;
> თვალი ვერ უძლებს ჩახჩახა ეკლებს
> და ცხელა!.. ცხელა!.. ცხელა!..

დღეს ხმა ძალიან მაქვს ჩახლეჩილი,
მაგრამ არა ვთმობ ძველებურ ტონებს, –
რადგანაც, თუკი გამრუდდა სული,
მიკროფონი მას არ გაასწორებს.

გაიძვერა და მახვილი არი,
სულ არ ადარდებს განწყობა ჩემი;
ალღო და სმენა აქვს უტყუარი,
მაგრამ რა ვუყოთ, მეც ნაღდად ვმღერი!

> რამპის სხივები ესობა ნეკნებს
> და პროჟექტორთა სისინებს ცელი;
> თვალი ვერ უძლებს ჩახჩახა ეკლებს
> და ცხელა!.. ცხელა!.. ცხელა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქნილ კისერზე ეს მიკროფონი
გველივით თავსაც აქანებს მრუდად;
თუ გავჩუმდები, დამგესლავს, მგონი,
გაგიჟებამდე ვიმღერო უნდა!

არ გაბედო მოძრაობა, ბრიყვო!
ვხედავ ნესტარს – არ მსურს გველთან ყოფნა!
თითქოს გველთა შემლოცველი ვიყო:
განა ვმღერი – ვაჯადოებ კობრას!

> რამპის სხივები ესობა ნეკნებს
> და პროჟექტორთა სისინებს ცელი;
> თვალი ვერ უძლებს ჩახჩახა ეკლებს
> და ცხელა!.. ცხელა!.. ცხელა!..

გაუმაძღარი სიხარბით ბარტყის
უტიფრად მტაცებს პირიდან ბგერებს,
შუბლში კი ტყვიის სილაქებს მარტყამს.
გიტარა მბორკავს – ვერა ვშლი ხელებს!

ისევ და ისევ!.. ვერ დამამუნჯა!
ეს მიკროფონი ჩემთვის რა არი?
ახლა ის კანდელს ჩამოგავს, თუმცა
არც მე – წმინდანი, არც ის – ლამპარი!

გამებზე მარტივ ჩემს ხმას და კილოს
ოდნავაც თუკი ვუქციე მხარი,
ვიცი, უმალვე უნდა მამხილოს,
სილა გამაწნას, დაკვესოს თვალი.

> რამპის სხივები ესობა ნეკნებს
> და პროჟექტორთა სისინებს ცელი;
> თვალი ვერ უძლებს ჩახჩახა ეკლებს
> და ცხელა!.. ცხელა!.. ცხელა!..

სიმღერა ვარსკვლავებზე

ამ ბრძოლის გრიგალს რა ამოშლის ჩემი ხსოვნიდან –
ჰაერს სიკვდილის სუნი ედება, –
ძირს მოცვივიან ვარსკვლავები ცის ტატნობიდან
ვით უხმაურო წვიმის წვეთები...

აი, დაეცა კიდევ ერთი და მე ჩავუთქვი
ამ გრიგალიდან ცოცხალი გასვლა, –
და აგრერიგად ნაჩქარევად სიცოცხლე ჩემი
დავუკავშირე უგუნურ ვარსკვლავს.

ვიფიქრე, უკვე დავაღწიე განსაცდელს თავი,
უბედურება დავტოვე უკან...
მაგრამ ანაზდად ციდან მოწყდა ცელქი ვარსკვლავი –
პირდაპირ გულზე გადმომეშუქა.

გვეუბნებოდნენ: „საჭიროა სიმაღლის დაცვა!
შეუწყვეტელი სროლა და სროლა!..“
აი, გაგორდა ის მეორე ვარსკვლავი ანცად
და სამხრეებზე ამიოქროვდა.

ცაზე ვარსკვლავნი, ისე როგორც თევზები ტბორში,
ყველას გვეყოფა, ხელგაშლით არი.
გმირის ვარსკვლავით მეც ამაყად ვივლიდი მაშინ,
სასიკვდილოდ რომ არ დავეჭარი.

მე კი ამ ვარსკვლავს ჩემს ვაჟიშვილს ვუსახსოვრებდი,
ისე, უბრალო სახსოვრის სახით...
ცაზე ჰკიდია, მერე სადღაც ქრება ვარსკვლავი –
ჩამოსავარდნი არა აქვს რაკი.

*
* *

დაკვრა-სიმღერას რომ დავასრულებ,
სად დავასრულებ, რაზე – ვინ ხვდება?
ერთი კი ვიცი: სიკვდილი, ალბათ,
არა და არა, არ მომინდება!

ვზივარ ჩამოსხმულ დიდების ჯაჭვზე
და ეს დიდება კბილსა მჭრის მეტად...
ეჰეი, ვინ ხარ, მუხის კარებზე
ძვლით მოკაკუნე, ვიცოდე ნეტა!..

არსაიდან ხმა... ვიცი, იქ დგანან,
მათთან ძაღლთა შიშს არა აქვს ხელი,
მაგრამ აშკარად ვხედავ, ღობეზე
ისევ ჰკიდია ნაცნობი ცელი...

მე გადავხეხავ ვერცხლის საყელოს,
ოქროს ჯაჭვს დავღრღნი, ღობესაც გზნებით
გადავევლები და იარებით
ჭექა-ქუხილებს შევუერთდები!

*
* *

იყო, ცხოვრობდა კაცი და
მნახველი იყო ბევრისა,
მხოლოდ უფალმა იცოდა,
სად რა პატივი ეღირსა.
ყველაფრისშემძლე და მცოდნე
ფეხს არ ადგამდა ბუზსაც,
ქალებსაც გულს არ აკლებდა,
ჰარემი ჰყავდა, თუმცა.

*
* *

ყველა კითხვას სრულად გავაშუქებ –
ცნობისწადილს დაგიპურებთ უცბად!
დიახ, ფრანგი გახლავთ ჩემი ცოლი,
წარმოშობა რუსული აქვს, თუმცა.

არა, ახლა საყვარლები არ მყავს,
მეყოლება? ჯერ ვერ ვიტყვი ამას.
ორი წელი გავიდა, რაც არ ვსვამ,
ისევ დავლევ? არც ეს ვიცი, ძამა.

არც „სოკოლის“ ახლომახლო ვცხოვრობ...
პარიზამდეც ჯერ ვერ გავაღწიე...
რა გარშემო მივლით, ბოლო-ბოლო
პირდაპირ თქვით, ნუღარ გააციებთ!

ყველა კითხვას სრულად გავაშუქებ –
როგორც მღვდელთან აღსარების თქმისას!
თქვენს ბლოკნოტებს ნერწყვი მორევიათ –
ახლა, ალბათ, საწოლზედაც მკითხავთ...

ჰო, ასეა! ისე წამოწითლდა,
„ღალატობდით ცოლებს?“ – კითხვამ შემძრა –
ისე, თითქოს ფარდის უკან იდგა
ან საწოლქვეშ დიქტოფონით შეძვრა.

არც „სოკოლის“ ახლომახლო ვცხოვრობ...
პარიზამდეც ჯერ ვერ გავაღწიე...
რა გარშემო მივლით, ბოლო-ბოლო
პირდაპირ თქვით, ნუღარ გააციებთ!

„ახლა მთავარს მივუბრუნდე უნდა“ –
ერთმა ტიპმა ფრთხილად გამიბედა –
„ამა და ამ სიმღერაში თქმულით
რას გულისხმობთ, რას გვანიშნებთ, ნეტა?“

„– ეზოპემდე ავაღწიე როდი,
არც ჯიბეში ჩამიდვია ბრაწი, –
ის დავწერე, რასაც ვგულისხმობდი,
აი, ჯიბე – დარწმუნდებით აწი!“

არც „სოკოლის“ ახლომახლო ვცხოვრობ...
პარიზამდეც ჯერ ვერ გავაღწიე...
რა გარშემო მივლით, ბოლო-ბოლო
პირდაპირ თქვით, ნუღარ გააციებთ!

* * *

ვიცი, ჩემი საცოლე დამიტირებს გზნებით,
ჩემს მაგივრად ბიჭები გადიხდიან ვალებს,
ჩემს სიმღერებს ბოლომდე იმღერებენ სხვები
და, ეგების, მტერიც კი შესანდობარს დალევს.

აღარავინ მთავაზობს საოცნებო წიგნებს,
გიტარასაც სიმები დასწყვეტია სრულად;
ზევითაც და ქვევითაც ყველა თითებს მიქნევს,
მზე და მთვარე რა არის – ისიც აკრძალულა.

ჩემთვის თავისუფლება მხოლოდ უცხო ხილია,
კარებიდან კედლამდე ბოლთას უნდა დავჯერდე;
მარჯვნივაც და მარცხნივაც გზები ჩაკეტილია,
ღამით სიზმრის ნება მაქვს, დღისით – ზეცის ნაგლეჯის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვწვები, სიზმრებს ვნახულობ, ბოქლომს როგორ ახსნიან,
როგორ გავალ, გიტარას გადმომცემენ თავისით;
ან იქ ვინ შემომხვდება, როგორ ჩამეკვრებიან,
ანდა როგორ სიმღერებს მიმღერებენ ხალისით...

მარინას[1]

ქვემოთაც და ზემოთაც ყინულია ბასრი, –
გავანგრიო ზემოთ თუ გამოვბურღო ძირში?
უნდა ამოვცურდე, არ წამერთვას სასო,
მერე – რბენა საქმეზე ვიზის მოლოდინში.

ჩემს ზემოთა ყინულო, ჩამოიფხვენ ქვევით!
ვით კავისგან მხვნელი, ოფლის ღვარში ვდნები.
დავბრუნდები შენთან, ვით სიმღერის გემი,
შემომრჩება ხსოვნა ძველი სტრიქონების.

საუკუნის ნახევრის ჯერ არა ვარ სრულად,
ორმოცს გადავაბიჯე, ეს თორმეტი წელი
შენითა და უფლით მიდგას მხოლოდ სული,
აღსასრულის სიმღერაც მაქვს უფლისთვის წრფელი.

[1] ვ. ვისოცკის გარდაცვალების შემდეგ მის არქივში ნახეს მარინა ვლადისადმი მიძღვნილი ეს ლექსი და ბარათი, რომელთა გაგზავნა პარიზში ვეღარ მოასწრო. ეს იყო პოეტის უკანასკნელი ლექსი, დაწერილი 1980 წლის 11 ივნისს.

ღარისა თურმანიძე-გუგუნავა
(1949)

* * *

რა ხშირად გახრჩობენ ცრემლები,
რა ხშირად გინდა, რომ იყვირო,
თუმც, არ თმობ და არა ნებდები, –
არ გსურს, გატანჯული გიხილონ.

ვერავინ გაიგებს შენს წუხილს,
რაც ასე გთუთქავს და გაწამებს;
ვერც სულის ძახილს და იმ ქუხილს,
რომ გრგღნის და გისველებს წამწამებს.

ჰო! ჭრელი ცხოვრება ისეთი
ავია, არ გარჩენს მისხალს;
თუმც ფერი ორი აქვს, ის ერთი –
შავბნელი – გრძელდება დიდხანს...

და მაინც სჯობს, თუკი ვივარგებთ,
დავითმენთ, დადგება ჯერი,
იმ შავ ზოლს თავისას მივაგებთ, –
მოვა სხივოსანი ფერი!

*
* *

ჩემს განვლილ გზებზე ჰოი, რამდენი
ვიყავ დარდის და ურვის მნახველი!
მაგრამ შევძელი,
მაინც შევძელი,
გადამელახა ყველა ნაღველი!

ოღონდ არ იყო სულაც ადვილი! –
გზები ნაკვალევს ტოვებენ ოდით;
გზები ხომ ძნელად
არის სავალი,
როდესაც კარგავ ყველაფერს... შფოთი

მაინც მოაღწევს შენამდე გზებით,
მერე გიტოვებს უღრმეს იარებს...
მაგრამ ჩვენ მაინც
მივაბიჯებდით,
ერთობ ტვირთმძიმედ თუმცა ვიარეთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღაშა გახარია

(1947-2001)



მრუმე ღამე

ამღვრეულ ღამის ჩამქრალ თვალებში
მთვარემ სინათლის ჩაუშვა პეშვი,
გადაივარცხნეს ტყეებმა ნისლი
და აციაგდნენ ვარსკვლავნი ეშხით.
ხიდან კაკალი ჩამოვარდა და
სიპს შეატოვა წენგოს მანტია,
აქეთ მოშხუის ხობისწყალი და
იქით ფშანს ნამი მოუფანტია.
ვით ბაღში კამას, სოფელსაც სძინავს,
ზეცად მზირალი, ვხედავ ბროწეულს,
მწიფე ლეღვის ხეს რომ შესციცინებს,
თანაც უგზავნის ღიმილს ძოწეულს.
მთვარის ლაბადა დამმშვენდა ერთობ,
თვალი მნათობის ნაკვესებს მისდევს...
ეს რა მადლი აქვს ბუნებას, ღმერთო,
ყველაფერს ტურფად რომ აგვირისტებს!
ვხედავ გაბადრულ თხმელებს და იფნებს,
ოჯალეშით რომ მოაქვთ თავები.
მალე მაჭარი ბოდვას დაიწყებს
და იბუტბუტებს გაუთავებლივ...
გაავსეთ ყველა ნუგბარით ხონჩა,
ადექ, შიმშილო, არა შენს ფანდებს!
გაიღვიძეთ, ძმებო, ძილი მორჩა
დამილოცეთ ჩემი ოდაბადე!

სარჩევი

მთარგმნელისაგან 4

ომარ ხაიამი

რობაიები 5

საადი შირაზელი

რობაიები 21

ყაზალი 23

იგავი 24

ჰაფეზი

რობაიები 25

ჯალალ ედ-დინ რუმი

რობაიები 26

შეიხ ბაჰაი

რობაიები 27

სპარსული ხალხური ლექსი

(დუბეითი) 28

ფრანჩესკო პეტრარკა

სონეტი №2 29

სონეტი №4 30

სონეტი №209 30

სონეტი №292 31

სონეტი №343 32

სუ ში

*** იასპის ბანზე 33

ჯოვანი გოკაჩო

სონეტი 34

იოჰან ვოლფანგ გოეთე

მგზავრის ღამეული სიმღერა 35

ვინჩენცო მონტი

*** მუდმივად კარზე მიკაკუნებს 36

ვიქტორ ჰიუგო

სიყვარული 37

*** ხვალვე 37

ჭიამაია 38

*** ეუბნებოდა 39

ემილი დიკინსონი

*** შევძლებთ, გულო 40

გიიომ აპოლინერი

შენი თვალების ტბაში 41

იანკა კუპალა

ნუ ეძებ 42

ვარსკვლავები 43

ბინდისას 44

ჩემი სახლი 45

ჟაკ პრევერი

*** ეს მომღერალი 46

კონსუელო ველასკეს ტორესი

*** მაკოცე 47

ათაოლ ბეჰრამოღლუ

სიყვარული 48
ჰარმონიკა 48
გაზაფხული 49
ყაზალი გასულ ზაფხულზე 50
დილაადრიან 50
მელანქოლია 51
დაბოლოს 52

არზუ ქარადაღი

ქარიანი აივანი 54
ჩიტები, ქუჩები, ადამიანები 55
დავიწყება 56

მაჰზუნ დოღანი

დედაჩემი მკათათვეში 58

გულენთ გულდალი

მოგზაური 59

ჰუსეინ ფერჰადი

იმრი ულ ქაისი 60

იუნუს ემრე

ისმინეთ, მეგობრებო 62

ავნი თემიზი

ჩვენი შავშეთი 63

მაჰსეთი განჯევი

რობაიები 64

მავჯუდა ჰაქიმოვა

იმედის ნიავი 65

მურათჰან მუნგანი

*** ჩემო ძვირფასო 66

ჰასან ჰელიმიში

აი, ცეკვა ლაზური 67
ხოფელებს ისევ ვუმღერ ლაზურად ... 68
არ დავიკარგები 72
ოცი წლით მოვსულვართ 73
ჩვენი სარფი 73
საზღვრის ღელე 74
ექიმო 75
რომ დაგეცეს ქვა და ხე 76
შავო ბიჭო 77
სიძე-პატარძლის დალოცვა 78
ცოლი დასტიროდა ქმარს 79
დალიე ყურძნის წითელი წვენი 79
სიტყვა გქონდეს კაცური 80

ალექსანდრე პუშკინი

მე თქვენ მიყვარდით... 81
*** მოყვასნო ჩემნო 81
*** მახსოვს ის წამი 82

დიმიტრი ვენევიტინოვი

*** სიცოცხლის ველზე 83

მიხეილ ლერმონტოვი

შენ მიმატოვე 84
*** როს იღიმები 85

აპოლონ მაიკოვი

ქრისტე აღდგა! 86

ლევ მეი

შობა 87

იგორ სევერიანინი (ლოტარევი)

ყველა ერთსა და იმავეს უბნობს 88
*** საგაზაფხულო ვნებასა 89

სამუილ მარშაკი

*** კალენდარი ქარმა ააშრიალა 90

რობერტ როჟდესტვენსკი

*** სიყვარულს ჩემში სძინებია 91

კონსტანტინე ბალმონტი

ორი სამყარო 92

ანა ახმატოვა

წარწერა წიგნზე 93

ბოლო სადღეგრძელო 93

ბორის პასტერნაკი

*** მძიმე ჯვარია 94

მარინა ცვეტაევა

*** ვერ მომიხურავ 95

*** მხოლოდ თქვენს გვერდით 95

*** ახალ წელიწადს შევხვდი ეული ... 96

*** ქარაფშუტობავ 96

*** თუ ფრთებით იშვა სული 97

*** მოვკვდები 97

*** მალე დაგტოვებთ 98

*** მზე ერთია 98

სერგეი ესენინი

*** ლურჯი ღამეა 99

*** წახვედი 99

მშვიდობით, მეგობარო! 100

სერგეი ნოვიკი

შემოდგომა 101

ბულატ ოკუჯავა

მეზობელი ქალი 102

აპრილის გოგონა 103

რიმა კაზაკოვა

*** გადაიქროლეთ? 104

*** მოუხელთებელ რაღაც წამში 105

*** ვამბობ არა ბოღმითა 105

*** შევივერცხლები 106

ვალენტინ გაფტი

*** მადლობა ყველას 107

იოსეგ ბროდსკი

შობა 108

ალექსეი კარელინი

სონეტი №0 109

სონეტი №1 110

სონეტი №3 110

სონეტი №62 111

ვლადიმირ ვისოცკი

*** ჯავრით ყვრიმალის ძვლები 112

*** ის გენიოსი არ არისო 113

*** შეუჩერებლად ბუზღუნებს 114

სიმღერა მაბეზღარაზე 115

*** და აი, უცებ გაიყარა სავალი 116

სვირინგი 117

დაჭიმული ბაგირი 118

არ მიყვარს 122

ნიღბები 123

ნადირობა მგლებზე 125

მგლებზე ნადირობის დასასრული,

ანუ ნადირობა ვერტმფრენებიდან ... 127

*** ყოველგვარი შესავლის დრო 129

თოხარიკის სრბოლა 130

ურა ცხენები 132

შურიანის სიმღერა 134

*** ვიყავ მფლობელი ორმოცი 135

*** ეი, მძღოლო 137

*** ასწიეთ ხელი 137

*** სიცივეა 138

*** ჩვენ – ყველას 138

*** ამ ჩვენს ცხოვრებას 138

შემთხვევა საბაჟოზე 139
*** ყველაფერი უკვე მადგა ყელზე ... 143
*** დიდი ამბავი 144
მთის ლირიკული 145
დამშვიდობება მთებთან 146
*** ფსკერისაკენ ვისწრაფვი 147
სიმღერა ახალ დროზე 150
სიმღერა მეგობარზე 151
ის არ დაბრუნდა ბრძოლის
ველიდან 152
გემები 153
მომღერალი მიკროფონთან 154
სიმღერა ვარსკვლავებზე 156
*** დაკვრა-სიმღერას 157
*** იყო, ცხოვრობდა კაცი 157
.*** ყველა კითხვას სრულად 158
*** ვიცი, ჩემი საცოლე 159
მარინას 160

ლარისა თურმანიძე-გუგუნავა

*** რა ხშირად გახრჩობენ 161
*** ჩემს განვლილ გზებზე 162

ლაშა (დაზმირ) გახარია

მრუმე ღამე 163

#კოლორი
ჯგუფი

დაიბეჭდა სტამბა კოლორში
ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ., 3